პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 სექტემბერი **ოთხშაბათი** 2011

№216 (13513) ფასი 80 თეთრი

ბესიკ ჟანგავაძე
ინვერკარგილიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეცბაია 2+2

2

ვიწყებთ!

დღეს 11:30 საქართველო-შოტლანდია

8-9

კალათბურთელები სამშობლოში დაბრუნდნენ

10

7

დრამა კამპ ნოუზე

ეროვნული ნაკრები

ქეცბაიამ კონტრაქტი გააახანგრძლივა

ჭედიას ახალგაზრდული ჩააბარებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს **თემურ ქეცბაიას** კონტრაქტი გაუხანგრძლივა. გუშინ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე, რომლის ჩატარების შესახებ "ლელოს" რატომღაც არ აცნობეს, ქეცბაიამ ფედერაციასთან ახალი ხელშეკრულება 2+2 სისტემით გააფორმა, ანუ გუნდს 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე უხელმძღვანელებს, შემდეგ კი, თუ ფედერაციასთან შეთანხმდება, ნაკრებს ევრო 2016-ის შესარჩევ ჯგუფშიც ავარჯიშებს.

დადასტურდა "ლელოს" ინფორმაცია, რომ შესარჩევი ციკლის ბოლომდე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს **სოსო ჭედია** უხელმძღვანელებს - ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიას ასისტენტი.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** თქმით, საქართველოს 17, 19-წლამდელების და ახალგაზრდული ნაკრებების კოორდინირება ქეცბაიას დაევალა – ის ყველა ასაკობრივი ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნება და ხელშეკრულების პერიოდში მწვრთნელებთან სისტემატურად გამართავს კონსულტაციებს.

ჩვენი ინფორმაციით, ნაკრებში გადატანილი სტრესებისა და იმედგაცრუების შემდეგ ქეცბაიას დარჩენის დიდი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ სიჭინავამ საამისოდ ყველაფერი გააკეთა, ამ ყველაფერს კი ასე ხსნიდა – ლატვია-მალტასთან წარუმატებელი მატჩების შემდეგ ქეცბაიას კრიტიკა გასაგებია, მაგრამ თემურის დასატოვებლად ყველაფერი რომ არ ვიღონო, ამისთვის არანაკლებ ამბავს ატეხენო.

ახალი ციკლიდან ეროვნული ნაკრების განახლება და გაახალგაზრდავება დაიწყება – ეს პრესკონფერენციაზე ქეცბაიამ განაცხადა. თუმცა ისიც თქვა, რომ ვეტერანებს ნაკრებში თამაში კიდევ შეუძლიათო. ფედერაციაში კი მომწიფდა აზრი: რადგან გამოცდილ ვეტერანებს უკვე კარიერის დასრულების დრო უახლოვდებათ, აჯობებს აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადავიდეს. ეს იგივე პოლიტიკაა, რამაც თავის დროზე თავად ქეცბაიას სანაკრებო კარიერა შეიწირა, მაგრამ ასეთი აზრი არსებობს.

ასე რომ, გამორიცხული არ არის, მალე ნაკრებს დაემშვიდობონ 33 წლის **კახა კალაძე**, 34 წლის **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი**. იაშვილმა უკვე განაცხადა კიდეც, რომ წასვლაზე დაფიქრდა. ძნელი სათქმელია, გულშემატკივრის პრეტენზიების მიუხედავად, გამოცდილი ვეტერანების გარეშე ნაკრები უკეთ ათამაშდება თუ არა.

თუმცა, იმედია, როდესაც ეს დრო დადგება, ნაკრების ყოფილ ლიდერებს ძველებურად უმადურად არ გაუშვებენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი თაობის ნაკრებმა ვერაფერს მიაღწია, გუნდს წლების განმავლობაში გულითა და სულით ემსახურნენ და გაცილების მატჩს მაინც იმსახურებენ.

გულშემატკივრები გამსაკუთრებით სამ კანდიდატურას ქომაგობენ და აინტერესებთ, რატომ სოსო ჭედია და არა მაგალითად, აზერბაიჯანიდან წამოსვლის მსურველი, ბაქოს "ინტერის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე**, "დინამო 2"-ისა და 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** და "ზესტაფონის" ყოფილი დამრიგებელი **გია გეგუჩაძე** – გულშემატკივრებში მათ ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდათ. ჩვენი ინფორმაციით, ეს კანდიდატურები არც განხილულა, რადგან ყველა ასაკობრივი ნაკრების კოორდინირება თემურ ქეცბაიას დაევალა. თავად ჭედიამ ბრძანა, ქეცბაიას მოთხოვნებს კარგად რომ ვიცნობ, ალბათ, გუნდის გაწვრთნა ამიტომ შემომთავაზესო.

ქეცბაია და ჭედია წლებია ერთმანეთს იცნობენ, ჯერ კიდევ თბილისის "დინამოში" გამოსვლის დროიდან მეგობრობენ, თემური მას ენდობა, ფამაგუსტას "ანორთოსისშიც" ამიტომ მიიყვანა და გვერდში დაიყენა. ისედაც, ჭედიას წესიერი კაცის და გონიერი მრჩევლის სახელი აქვს.

საკუთარი სურვილით გაბელიას წასვლის დღესვე ცხადი იყო, რომ ლაპარაკი იქნებოდა ჭედიაზე. მაშინ ძალიან გვენიშნა ფედერაციის ერთ-ერთი თანამშრომლის ნათქვამი – ნაკრებს ქართველი გაწვრთნის, რომელიც ნორვეგიელივით გაწონასწორებული იქნებაო. როდესაც კარგად გამოვიკვლიეთ, შევიტყვეთ, რომ ჭედიას კანდიდატურა გაბელიას გადადგომის შემდეგვე განიხილეს.

მისი დანიშვნა იმასაც ნიშნავს, რომ ჭედიას ახალგაზრდების იმ კალაპოტში ჩაყენება დაევალება, რომლითაც თამაშს ეროვნული ნაკრები აპირებს და საჭირო შემთხვევაში გუნდს უპრობლემოდ რომ შეუერთდებიან.

ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია

ადრეც ასე იყო, ოთარ გაბელიაც არ მუშაობდა მხოლოდ ახალგაზრდულის ინტერესებისთვის, ეროვნული მაინც უპირველესი გუნდი იყო და იქნება ყოველთვის. მხოლოდ იმის გამოკლებით, რომ ახალგაზრდულს უფრო მეტი საექსპერიმენტო ფუნქცია დაეკისრება.

საქმე ისაა, რომ შემდეგ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების შანსებზე ლაპარაკიც სასაცილოა, როდესაც მეტოქეებად კენჭისყრამ ესპანეთი, საფრანგეთი, ბელარუსი და ფინეთი გვარგუნა. სიჭინავამ თქვა კიდეც, რომ შემდეგ ციკლს ევროპის 2016 წლის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთო. გაახალგაზრდავებაც ამის გამო გადაწყდა.

მერაბ მამულაშვილი

უეფას საკლუბო რეიტინგი

პოზიციები ისევ გავიმყარეთ

მიმდინარე ევროტურნირებზე წარმატებულმა ასპარეზობამ საგრძნობლად გააუმჯობესა ქართული კლუბების მდგომარეობა უეფას კოეფიციენტების რეიტინგში, რომელსაც IFFHS-ის რეიტინგისგან განსხვავებით, სულაც არ აქვს სიმბოლური დატვირთვა. სწორედ იქ დაკავებული ადგილი განსაზღვრავს ამა თუ იმ კლუბის საევროთასო გზას – რომელი ეტაპიდან ჩაერთვება ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის გათამაშებაში და როგორი სიძლიერის მეტოქეებთან დაიჭერს იქ საქმეს.

ქართული კლუბებიდან საუკეთესო პოზიცია თბილისის "დინამოს" უკავია. დედაქალაქელები დღეისთვის 208-ე ადგილზე არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ჩემპიონობის შემთხვევაში **ალექს გარსიას** გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე განთესილი იქნება; 229-ეა "ზესტაფონი" და თუ ფეროელებმა ქვეყნის ჩემპიონობა შეინარჩუნეს, ამავე რაუნდში განთესვა გარანტირებული არ ექნებათ, მაგრამ დიდი ალბათობით, მაინც მოხვდებიან ამგვარი კლუბების კატეგორიაში; 239-ე პოზიციაზეა რუსთავის "მეტალურგი", რომელსაც ჩემპიონობის შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე განთესვის შანსი ექნება, მაგრამ "ზესტაფონზე" ნაკლები.

თუ მოხდა სასწაული და საქართველოს ჩემპიონი "ვიტ ჯორჯია" გახდა, ჩემპიონთა ლიგაზე განუთესავი იქნება, რადგან 276-ე ადგილზეა, კიდევ უფრო ქვემოთ, 321-ე პოზიციაზეა "გაგრა". ამ რეიტინგში სულ ეს ხუთი ქართული კლუბია წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მათ გარდა ევროსარბიელზე სხვა ქართული კლუბი გავიდა, წილისყრაში ნაკლებად გაუმართლებს.

რეიტინგის საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. **მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)**
2. **ბარსელონა (ესპანეთი)**
3. **ჩელსი (ინგლისი)**
4. **ბაიერნი (გერმანია)**
5. **არსენალი (ინგლისი)**
6. **პორტუ (პორტუგალია)**
7. **რეალი (ესპანეთი)**
8. **ინტერი (იტალია)**
9. **ლივერპული (ინგლისი)**
10. **ლიონი (საფრანგეთი)**

ლევან ჯანეზაშვილი

ფუტსალი

შესარჩევიც კარს მოგვადგა

გუშინ უეფამ მსაჯების და დელეგატების ვინაობა დაასახელა, რომლებიც ფუტსალის ლიგის გათამაშებას მოემსახურებიან. მოგეხსენებათ, ძირითადი ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფს თბილისიც მასპინძლობს და უეფამ საქართველოში ასეთი ბრიგადა მოავლინა: **სერგეი ლისენჩუკი** (დელეგატი, უკრაინა), **კაროლი ტორიკი** (მსაჯთა დამკვირვებელი, უნგრეთი), **სტეფან დერევი** (მსაჯი, ბელგია), **პეტარ მანტევი** (მსაჯი, მაკედონია), **ეპამინონდას სტამულისი** (მსაჯი, საბერძნეთი), **სებასტიან სტავიცკი** (მსაჯი, პოლონეთი).

როგორც ტურნირის დირექტორმა **გიორგი დარჯანიამ** გვითხრა, უეფას წარმომადგენლები თბილისში 26 სექტემბერს ჩამოვლენ და სასტუმრო "რედისონში" დაბინავდებიან, სტუმარი გუნდები კი "ჰოლიდეი ინში" იცხოვრებენ. ამავე დღეს გეესტუმრება "იბერიას" ორი მეტოქე - ბელარუსული "მაპიდი" და შვეიცარიული "ჟენევა". სლოვაკური "სლოვ-მატიკი" კი თბილისში სხვებზე ერთი დღით ადრე, 25 სექტემბერს ჩამოვა.

დარჯანიამ ასევე გვითხრა, რომ უკვე რამდენიმე დღეში სპორტის სასახლეში ფუტსალის მოედანი დაიხაზება, გულშემატკივრებისთვის კი ორგანიზატორებს მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ინფორმაცია აქვთ: საქართველოს ჩემპიონის სამივე მატჩს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს, ხოლო თამაშებზე დასწრება უფასო იქნება. მატჩები 27, 28 და 30 სექტემბერს გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

ტრავმა

ანანიძე ისევ დაშავდა

საბედნიეროდ, პირველადი დაკვირვებით, დაზიანება სერიოზული არ ჩანს, მაგრამ მაინც უსიამოვნოა, **ჯანო ანანიძე** თუნდაც დროებით რომ აღმოჩნდა მოსკოვის "სპარტაკის" ლაზარეთში. რუსეთის ჩემპიონატის გასულ ტურში მან კოჭი დაიზიანა. შეგახსენებთ, ქართველ ტალანტს საკმაო დრო სწორედ ამ პრობლემის გამო გაუცდა.

ანანიძეს გუნდის უახლოესი ვარჯიშები გაუცდება და სავარაუდოდ, ვერც პრემიერლიგის მომდევნო ტურში ითამაშებს.

პრემიერლიგაში უკვე 23 ტური მიილია, ანანიძემ კი ჯანმრთელობის პრობლემების გამო მხოლოდ 10 მატჩში ითამაშა, აქედან ძირითადში 5-ჯერ, შეუცვლელად კი მხოლოდ 2-ჯერ და ერთი გოლი გაიტანა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი

ამისულაშვილს სადებიუტო გოლი დაუფასდა

რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში **ალექსანდრე ამისულაშვილმა** "კრასნოდარის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. "კრასნოდარმა" საკუთარ მოედანზე ყაზანის "რუბინი" 3:1 დაამარცხა, გუნდის კაპიტანმა ამისულაშვილმა კი 61-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველს რუსულმა პრესამ გარჯა დაუფასა და ტურის სიმბოლურ ნაკრებში ერთბაშად ორმა გამოცემამ შეიყვანა. ამისულაშვილი "სპორტ-ექსპრესისა" და "ჩემპიონატ.რუ"-ს რჩეული გახდა.

29 წლის ამისულაშვილს პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში 19 მატჩი აქვს ჩატარებული.

ლევან ჯანეზაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სამწვრთნელო განათლება

საქართველო პრო-ლიცენზიის რეალური კანდიდატია

უეფა მეკარეებზეც ზრუნავს

საქართველოში მწვრთნელთა განათლების საერთაშორისო პროგრამა 2003 წელს დაიწყო. ჩვენს ქვეყანაში სწორედ ამ დროიდან გაიცემა B ლიცენზიები, 2009 წლიდან კი ქართველ მწვრთნელებს საშუალება აქვთ A ლიცენზიას სამშობლოში დაეუფლონ. გარდა ამისა, აქტიურად მუშაობს C ლიცენზიის პროგრამაც, რამაც ბავშვთა მწვრთნელებს შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ამ პროცესში, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი წინა პირობაა, უკვე 600-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება A და B ლიცენზიებს, პირველს საქართველოში უკვე 100-მდე, მეორეს კი 300-მდე სპეციალისტი დაეუფლა.

ეტაპობრივად მივდივართ პრო-ლიცენზიისკენ, რომელიც ყველაზე მაღალი რანგის სამწვრთნელო სერტიფიკატია და დედამიწის ზურგზე ნებისმიერ სამწვრთნელო თანამდებობაზე მუშაობის უფლებას იძლევა. ამ ლიცენზიას სულ რამდენიმე ქართველი სპეციალისტი ფლობს და ყველა მათგანს საზღვარგარეთულ კურსებზე აქვს მიღებული.

მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოში პრო-ლიცენზიის მისაღებ სემინარებს უეფა სულ მალე აუნთებს მწვანე შუქს. აღსანიშნავია, რომ სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე წარიმართება. ამ საკითხით ძალიანაა დაინტერესებული სფფ-ის ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და ფედერაციის მწვრთნელთა განათლების დირექტორი **გაიოზ დარსაძე** მიზნის მიღწევას ყველა შესაძლო გზით ცდილობენ.

მანამდე კი იქნება ტრადიციულად დატვირთული და შინაარსიანი შემოდგომა, სადაც სამივე ლიცენზიის მისაღებ კურსებზე მიღებაა გამოცხადებული და ინტერესიც საკმაოდ დიდია. სხვათა შორის, მსმენელთა შორის მხოლოდ ქართველი კი არა, საზღვარგარეთიდან ჩამოსული სპეციალისტებიც იქნებიან, რადგან უცხოეთის ქვეყნებთან შედარებით აქ დაბალი გადასახადია.

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ აქაური საზომებით სემინარების ფასი არცთუ მცირეა – A ლიცენზიის კურსები 3 000 ლარი ღირს, B – 800 ლარი, ხოლო C – 400 ლარი. ზოგი კლუბი თუ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა მწვრთნელის განათლებას მთლიანად ან ნაწილობრივ კი აფინანსებს, მაგრამ იმ სპეციალისტებისთვის, რომლებიც ამ ფუფუნებას მოკლებულნი არიან, ამ თანხის თავმოყრა იოლი ნამდვილად არ არის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ გადასახადებით იფარება სემინარების მოწყობისთვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც სხვათა შორის, უცხოელი სპეციალისტების მოწვევასაც ითვალისწინებს. ცნობისთვის, ჩვენი უახლოესი სტუმრები ესპანეთის 17-წლამდელთა და 19-წლამდელთა ნაკრებებთან ერთად უამრავი ტიტულის მომგები **ხინეს მელენდესი** და იტალიის მწვრთნელთა განათლების ხელმძღვანელი **ფრანკო ფერარი** იქნებიან.

სულ ცოტა ხნის წინ საქართველო უეფას მიერ ორგანიზებულ კიდევ ერთ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაერთო, რომელიც მეკარეთა მწვრთნელებს ამზადებს. დაგვეთანხმებით, ჩვენი ქვეყნისთვის ეს მეტად პრობლემატური საკითხია. მართალია, ბოლო წლებში უკეთესი მეკარეები გვეზრდებიან, მაგრამ ამ კუთხით მეტი მუშაობაა საჭირო და პროფესიულ კლუბებშიც და ბავშვთა აკადემიებშიც მეკარეების მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ჰაერივით აუცილებელია.

უეფამ ეს პროგრამა ცოტა ხნის წინ შეიმუშავა და ამ ეტაპზე რამდენიმედღიან სემინარებს ატარებს. ქართველთა "დებიუტი" რამდენიმე დღის წინ ბელგიაში შედგა, სადაც სემინარს ორი ახალგაზრდა მწვრთნელი, **ირაკლი ბალაძე** და **დავით მიქავა** დაესწრო. მათ გარდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ ღონისძიებაზე უეფა-ს მოწვევით მწვრთნელთა განათლების მენეჯერი **ვაკო დარსაძე** მიავლინა, **დავით პეტრიაშვილი** კი სემინარზე უშუალოდ უეფას წარმოადგენდა.

ეს პილოტური პროგრამა იყო, სადაც მასპინძელმა ბელგიამ სტუმრებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. სემინარზე ისეთი ცნობილი სპეციალისტები იყვნენ მიწვეულნი, როგორებიც **ლარს ლაგერბაკი, პატ ბონერი, მიშელ საბლონი, ალექსეი პრუდნიკოვი, მიხაილ ვერგეენკო** და სხვები არიან.

"ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ თანამედროვე ტენდენციებს და აქტიურად ვმონაწილეობთ ყველა საგანმანათლებლო პროექტში. ბელგია პრო-ლიცენზიის გამცემი ქვეყანაა და ევროპაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ინტელექტუალური რესურსისა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გამო. შესაბამისად, ჩვენი მივლინება ძალიან საინტერესო იყო. ღონისძიება წარმოდგენილი იყო როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სახით. ყველა თანხმდება, რომ ეს არის დიდებული პროექტი ინფორმაციის გაზიარების მხრივ. ამ ეტაპზე მისი ხანგრძლივობა დიდი არ არის, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია და თავის მიზანს ასი პროცენტით ასრულებს. ამ პროექტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად მონაწილეობს და ასე გაგრძელდება მომავალშიც. ჩვენი მწვრთნელები ძალიან კმაყოფილები არიან, მათთვის ეს კურსები ძალიან საჭირო და დროული იყო, ორივემ საკმაო ცოდნა და გამოცდილება შეიძინა", - გვითხრა ვაკო დარსაძემ.

ბელგიამოვლილი მწვრთნელები გამოცდილებას ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ, უახლოეს მომავალში კი სემინარებზე მეკარეთა სხვა მწვრთნელებიც გაემგზავრებიან, რადგან უეფა ამ პროექტს უაღრესად წარმატებულად მიიჩნევს და გადაწყვეტილი აქვს, მალე პილოტურიდან მუდმივ პროგრამად აქციოს.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა, IV ტური

ა ზონა

მესხეთი-ჭიათურა 0:1

09.09. ახალციხე. „მ. იაძე". 250 მაყურებელი

0:1 დ. ქირია (89)

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, დ. ხანიშვილი, დ. ლეკიშვილი, მ. ლეკიშვილი, ზ. ბარძიმაძე, მ. მურმანიშვილი, კ. ხანიშვილი, დ. ინასარიძე (61. ზ. სუდაძე), გ. წინამძღვრიშვილი (73. ო. დარჩია) დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე

სათადარიგოები: ლ. ოქრომელიძე, გ. მურადაშვილი, გ. გევორქიანი, გ. ქურდაძე

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი. ი. ტყებუჩავა (29. ჯ. ლაშხი, 62. ო. კურტანიძე, 87. ს. გაბაძე), ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, გ. ბრეგვაძე, დ. ქირია, ზ. ნოზაძე, შ. ფირცხალავა, ზ. ხაჭიპერაძე

სათადარიგოები: ა. ბაბლიძე, ლ. მაჩაიძე, გ. მეცხოვრიშვილი, ი. მოცრაძე

გაფრთხილება: დ. ლეკიშვილი

არბიტრი: ბ. ნინუა

ჩხერიმელა-ლოკომოტივი 1:0

08.09. ხარაგაული. „ს. აბაშიძე". 200 მაყურებელი

1:0 დ. კოსტავა (37)

ჩხერიმელა: ი. ორბელაძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, ა. ქაშაკაშვილი, ი. გვარჯალაძე, ლ. მახარაძე (46. გ. ზაქარაშვილი), გ. თურმანიძე, ი. ჭანკვეტაძე (59. გ. ჭაავა), ა. დოლონაძე, დ. კოსტავა (70. ჯ. არევაძე), გ. ბოხუა

სათადარიგოები: მ. ლომსაძე, ბ. ახალაია, გ. ივანიშვილი, ლ. გუმბერიძე

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. გაბაძე, ლ. კვარაცხელია (46. ა. გუგუშვილი) დ. მიქავა, გ. გოროზია, დ. ჯიქია (68. გ. მაისურაძე), მ. ცინცაძე, დ. დარციმელია (62. დ. ბაქრაძე), გ. შარანგია, გ. კაპანაძე, გ. ბაქრაძე

სათადარიგოები: გ. გურეშიძე, ნ. შერაზადიშვილი, დ. საჯაია, ი. ხომერიკი

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

გაფრთხილება: ი. ორბელაძე, ჯ. არევაძე; ლ. კვარაცხელია, დ. მიქავა, გ. შარანგია

გაძევება: მ. ცინცაძე

არბიტრი: კ. ჩაჩუა

მერცხალი-კოლხეთი (ხ) 3:1

09.09. ოზურგეთი. „მეგობრობა". 300 მაყურებელი

1:0 ს. გ. ჩიგოგიძე (24), 2:0 გ. ტყეშელაშვილი (36), 3:0 ლ. კოტრიკაძე (87), 3:1 ო. ფიფია (90, პენალტით)

მერცხალი: გ. გოგუა, თ ვარდუაშვილი, მ. ქობულაძე, ი. ბაჯელიძე (84. ლ. კოტრიკაძე), ზ. ხურციძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, ზ. ტუღუში, გ. ტყეშელაშვილი, ლ. ათუაშვილი (54. ნ. მაჭავარიანი), ლ. კალანდაძე (87. თ. ჩხატარაშვილი)

სათადარიგოები: ი. ხეცურიანი, გ. ყაჭეიშვილი, ი. მურუსიძე, გ. გოგუა

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ც. ბუკია (68. ლ. გოგენია), ვ. ფირცხელავა, გ. ლომაია. ბ. ბუკია (46. კ. ალანია), ლ. მეფიშვილი, ი. კუტალია (68. პ. გაბრავა), მ. ბესარაშვილი, მ. ჭკადუა

სათადარიგოები: ი. გერგაია, დ. ნარსია, ლ. ჩაჩიბაია, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

გაფრთხილება: მ. ქობულაძე, ლ. კალანდაძე, თ. ვარდუაშვილი, ი. ბაჯელიძე; მ. ბესარაშვილი, პ. გაბრავა

არბიტრი: თ. ხუჭუა

ბათუმი-მეშახტე 1:0

09.09. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 თ. ბერიძე (90+4)

ბათუმი: შ. მამინაშვილი, ნ. ხუხია, მ. ფარტენაძე, ლ. რამიშვილი. ა. ბაჯელიძე (58. კ. თოდაძე), ვ. თევდორაძე, ზ. ლობჟანიძე, ნ. ნასუაშვილი (60. ლ. გაბრიჭიძე), მ. ჯორბენაძე (46. ნ. დიასამიძე), თ. ბერიძე, ა. ბაციკაძე

სათადარიგოები: ი. ცანავა, თ. კაკალაძე, მ. ჟვანია, გ. გოგიტიძე

მწვრთნელი: ს. ნასუაშვილი

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ხარებავა, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, კ. ხუჯაძე, ი. ლიბრაძე, ა. მეტონიძე (87. გ. ხეცურიანი), გ. უგლავა (64. გ. გვენცაძე), დ. კუტალია, ჯ. ავალიშვილი (75. ვ. ჭრელაშვილი)

სათადარიგოები: თ. ჯოხაძე, ა. სახელაშვილი, ბ. ჯიშიაშვილი

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაფრთხილება: თ. ბერიძე, ზ. ლობჟანიძე; ზ. ენდელაძე, ჯ. ავალიშვილი, ვ. ჭრელაშვილი

არბიტრი: ა. გუნთაძე

სტუ-სამტრედია 2:1

09.09. თბილისი. „შატილი". 200 მაყურებელი

0:1 ტ. რუხაია (82, პენალტით), 1:1 მ. კოსტავა (85), 2:1 ა. ლაღაძე (90, პენალტით)

სტუ: დ. მეფარიძე, გ. კვახაძე, ლ. თვალავაძე (75. გ. გოგატიშვილი), მ. მაღრაძე, ლ. საბაძე (46. მ. კოსტავა), ა. ლაღაძე, ნ. ბიწკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი (60. ლ. ჭყოიძე), გ. ჯიშკარიანი, ა. ბაგაშვილი, ლ. ჯიქიძე,

სათადარიგოები: ა. აბულაძე, ჯ. კოლუა, ლ. ციკოლია, ზ. ჭავჭავაძე

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

სამტრედია: ი. შენგელია (86. ნ. ბანძავა), დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, შ. კერძევაძე, კ. ბროლაძე, რ. ნინუა (60. ბ. შარვაშიძე), ი. ხვადაგიანი, ტ. რუხაია (79. ს. ლეჟავა), პ. შათირიშვილი

სათადარიგოები: გ. პერტაია, ლ. სუთიძე, ბ. ახობაძე, გ. რუხაძე

მწვრთნელი: კ. მიქაძე

გაფრთხილება: ნ. მაღრაძე, ნ. ბიწკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი, ლ. ჭყოიძე; კ. ბროლაძე, რ. ნინუა, ბ. შერვაშიძე

გაძევება: ბ. შერვაშიძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბათუმი	4	3	0	1	6-4	9
2. სტუ	4	2	2	0	11-7	8
3. მერცხალი	4	2	2	0	8-5	8
4. ჭიათურა	4	2	1	1	3-3	7
5. ჩხერიმელა	4	1	2	1	4-5	5
6. კოლხეთი (ხ)	4	1	1	2	4-6	4
7. მეშახტე	3	1	0	2	2-2	3
8. მესხეთი	3	1	0	2	2-3	3
9. ლოკომოტივი	2	0	1	1	1-2	1
10. სამტრედია	4	0	1	3	2-6	1

ბ ზონა

იმერეთი-ნ. დინამოელი 0:1

09.09. მარტვილი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ვ. ჭანტურიშვილი (38)

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია, დ. ხაბურზანია, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი (53. რ. კეჭეყმაძე), ბ. ჩხეტიანი, თ. დანელია, ნ. ჩიხლაძე (40. დ. სულაბერიძე)

სათადარიგოები: ნ. ჩაჩიბაია, დ. გოდერიძე, გ. გენძეხაძე, ს. მეძველია

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

ნ. დინამოელი: ა. ნონოსი, ა. ჩუენსე, გ. ლომიძე, გ. თანიაშვილი, ზ. ძაგანია, გ. ქვარაია, ი. ჩახვაშვილი (68. ზ. დათუნაშვილი), გ. ოქრუაშვილი (72. ი. ქველაძე), ლ. ლაბარტყავა, ვ. ჭანტურიშვილი, მ. ხოკერაშვილი (46. ზ. კვარაცხელია)

სათადარიგოები: ზ. ქარდავა, ბ. შუბითიძე, ა. ბილიხოძე

მწვრთნელი: რ. ბარამიძე

გაფრთხილება: რ. კაშია, თ. დანელია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

სულორი-გურია 0:6

09.09. ვანი. „გ. ნიკოლაიშვილი". 500 მაყურებელი

0:1 ი. დეისაძე (13), 0:2 ი. დეისაძე (31), 0:3 ი. დეისაძე (42), 0:4 ი. დეისაძე (44), 0:5 ლ. კობახიძე (64), 0:6 ლ. კობახიძე (74)

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე, გ. ბრეგვაძე, პ. ბელთაძე, ს კიკაბიძე (46. ბ. მჭედლიძე), თ. მალლაკელიძე, გ. ორბელაძე, მ. ნაფეტვარიძე (24. ნ. გიორგაძე), ბ. ბელქანია, ბ. სულაბერიძე

სათადარიგოები: კ. გოგაძე, კ. კვიმსაძე, გ. ნიკოლეიშვილი, ნ. ბრეგვაძე, ი. დვალიშვილი

მწვრთნელი: მ. კორძაძე

გურია: მ. გოგუაძე, რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი (64. ს. ფირცხალაიშვილი), გ. ნათენაძე, ზ. რაზმაძე, გ. მელქაძე, ი. კილაძე, გ. კვიტაიშვილი (75. ნ. ებრალიძე), ლ. კობახიძე, გ. კვერენჩხილაძე, ი. დეისაძე (81. გ. შეწირული)

სათადარიგოები: დ. კეკელიძე, ჯ. გოგიბერიძე, ს. ბახია

მწვრთნელი: გ. იმნაძე

გაფრთხილება: პ. ბელთაძე, ნ. გიორგაძე; ი. დეისაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

ზოოვეტი-ადელი 2:1

09.09. თბილისი; სპორტის აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელი

1:0 ი. სვანიძე (45), 1:1 დ. ჯალაღანია (52), 2:1 თ. მოსიაშვილი (62)

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი, თ. ჯიმშელეიშვილ, ი. ალასანია, მ. მახარაძე, თ. მოსიაშვილი (88. ს. ლორთქიფანიძე), უ. მამულაშვილი. ბ. ბარბაქაძე (58. ლ. ლობჟანიძე), ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე (81. ი. ჯოჯიშვილი), ზ. ტიელიძე

სათადარიგოები: ი. მღებრიშვილი, მ. ბაბაიანი, გ. კუხალაშვილი, გ. ხუციშვილი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

ადელი: თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე (73. ნ. დავითაძე), ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, ვ. ხიდეშელი, ლ. კვანტალიანი (81. ნ. წულუკიძე), გ. ფალავანდიშვილი, ლ. მამეიშვილი (69. ზ. მჟავანაძე), ა. ლორია, ა. აბუსელიძე, დ. ჯალაღანია

სათადარიგო: გ. რომანაძე

მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

გაფრთხილება: დ. ჯალაღანია, ზ. მჟავანაძე

არბიტრი: დ. სანოძე

სქური-სამგურალი 1:1

09.09. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 300 მაყურებელი

0:1 ზ. ჩიხლაძე (7), 1:1 ლ. გაბუნია (73)

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ა. მიქენაია (70. გ. შელია), ზ. მოლაშხია, ზ. ჭიაბრიშვილი, ს. გაბუნია, ლ. გაბუნია. ბ. სვანიძე (84. ა. სოხინი), ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი (66. გ. კვირკვია)

სათადარიგოები: გ. ლუკავა, ჯ. ყურუა, თ. ხარჩილავა, ზ. გახარია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, კ. ძაგანია, ზ. ჩიხლაძე, ი. შალიკაშვილი, ლ. ცხადაძე (66. თ. შეყრილაძე), ხ. უგრეხელიძე, გ. გორგოძე, რ. კვერნაძე (80. ზ. კუხალეიშვილი), ზ. ქუთათელაძე (73. გ. ბუხაიძე)

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, გ. გელენიძე, ლ. ნავერიანი, რ. ჩხიკვაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: ლ. გაბუნია, გ კვირკვია; დ. მემარნიშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

აეტი-ჩიხურა 0:2

10.09. თბილისი. „შატილი". 100 მაყურებელი

0:1 ნ. კვასხვაძე (12), 0:2 გ. სალარიძე (84)

აეტი: ლ. ეზიეშვილი, ლ. ბინაძე, ლ. ჯობავა (46. გ. ნიჟარაძე), თ. მეტრეველი, გ. ძაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, ვ. ჭაბუკიანი გ. ნარსია, გ. მალაზონია, თ. ქართლელიშვილი (65. ლ. გაბელაია), გ. გრიგალაშვილი (46. ნ. ზაქარაიძე)

სათადარიგოები: ო. ბეღელური, გ. ბაკურაძე, ლ. ჩუხუა, ლ. ჭეჟია

მწვრთნელი: ო. სოხაძე

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ე. ზივზივაძე, ლ. ჭელიძე, ჯ. ბერიანიძე, გ. სალარიძე, ი. ზაბახიძე (90. ა. ივანიშვილი), ლ. ბაკურაძე (90. ნ. გუშარაშვილი), ლ. ნოზაძე, ლ. ჩიკვაიძე, გ. სილაგავა, ნ. კვასხვაძე (86. გ. ქიმაძე)

სათადარიგოები: გ. ცარციძე, ლ. ვაშაკიძე, ზ. მწყერაშვილი

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	4	4	0	0	10-1	12
2. ზოოვეტი	4	3	0	1	7-6	9
3. გურია	4	2	2	0	10-3	8
4. ნ/დინამოელი	4	2	1	1	5-3	7
5. ადელი	4	1	1	2	6-5	4
6. იმერეთი	4	1	1	2	3-4	4
7. სქური	4	1	1	2	3-6	4
8. აეტი	4	1	0	3	2-5	3
9. სამგურალი	4	0	3	1	2-4	3
10. სულორი	4	0	1	3	0-11	1

მომდევნო ტური

ა ზონა. 20 სექტემბერი

სამტრედია-დინამო (ბ)
ლოკომოტივი-სტუ
კოლხეთი (ხ)-ჩხერიმელა
ჭიათურა-მერცხალი
მეშახტე-მესხეთი

ბ ზონა. 19 სექტემბერი

ჩიხურა-იმერეთი
სამგურალი-აეტი
ადელი-სქური
გურია-ზოოვეტი
20 სექტემბერი
ნ. დინამოელი-სულორი

ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერები

გოჩა ხოჯავა

ვოლგას ჭალღები აიმღვრა

არზიანიც დუბლებში გადაიყვანეს?! ხოჯავა თბილისის დინამოს სურსო

მახაჭყალის "ანჟისთან" 1:2 წაგებული შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მთავარ მწვრთნელ **დმიტრი ჩერიშევს** ჰკითხეს, თუ რატომ მოკვეთა ძირითადი გუნდიდან ქართველი ფეხბურთელები **(გოჩა ხოჯავა, გოგიტა გოგუა, ლაშა სალუქვაძე)**.

პასუხი იყო ძალიან "დამაჯერებელი" – ამ კითხვაზე არ გიპასუხებთო. მოკლედ, და ვითომ თავი დაიძვრინა, მაგრამ ამით კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვი, რომ ქართველებთან დაკავშირებულ ამბებში კლუბი პირნათელი არ არის და საერთოდაც, "ვოლგაში" კარგი არაფერი ხდება.

სხვათა შორის, "სპორტს.რუ" ამტკიცებს, რომ დუბლებში არა ლაშა სალუქვაძე, არამედ ზაფხულში ჩარიცხული **ზურაბ არზიანი** გადაიყვანეს. რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოც იმავეს წერს, თუმცა გარიცხვის მეორე დღეს ძირითადი და დუბლშემადგენლობების შეხვედრა არზიანმა ძირითადში დაიწყო და 20 წუთის შემდეგ გამოცვალეს.

უცნაურია, რომ თავად "ვოლგას" ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველების მოკვეთაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა, მაგრამ გოგუა მოთამაშეთა სიიდან ამოიღეს, ბოლო დღეებში კი ვრცელდება ხმები, თითქოს თბილისის "დინამოს" **გოჩა ხოჯავას** დამატება გადაუწყვეტია. თუმცა ჯერ ამ ხმების რეალობა არ მტკიცდება.

ფაქტია, რომ სამეულის არყოფნით ისევ "ვოლგა" ზარალდება, რაზეც "ჩემპიონატ.რუს" მიმოხილვაც ადასტურებს.

"ნიჟნინოვგოროდულ კლუბში არსებული ვითარება მძიმეა – უცნაური საკადრო პოლიტიკა ჯერ მწვრთნელის შეცვლით დასრულდა, შემდეგ კი მის გზას პრეზიდენტიც გაუყოლეს. ამ ყველაფერმა გუნდი იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ "ვოლგას" ადგილის შენარჩუნებისთვის, ნებისმიერ მეტოქესთან კი თითოეული ქულისთვის ბრძოლა სჭირდება. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან გოგიტა გოგუასა და გოჩა ხოჯავას მოკვეთის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაც. აქამდე მოპოვებულ ქულებს ხომ გუნდი უმთავრესად მათ და სანყარ ტურსუნოვს უნდა უმადლოდეს" – წერს "ჩემპიონატ.რუ".

ამასობაში "სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეების რეიტინგი. სამწუხაროდ, ამ გაზეთის მონაცემებით, ქართველებმა პოზიციები დათმეს და მოწინავეთა შორის არ არიან, მაგრამ "ვოლგაში" საუკეთესოებად მაინც ჩვენი მოთამაშეები რჩებიან – 5-ბალიან სისტემაში გოჩა ხოჯავას საშუალო ქულათა ჯამი 3,45 (11 მატჩი) აქვს, გოგუას - 3,38 (13), ზემოთნახსენებ უზბეკ ტურსუნოვს კი - 3,27 (22).

აქვე გეტყვით: თუ ფეხბურთელმა რეჟიმი დაარღვია და გუნდი არია, ქართველიც რომ იყოს, მას ხელს არ დავაფარებთ, მაგრამ "ვოლგას" ძირითადიდან დათხოვნილი ქართველები მომხდარით გაოგნებულები არიან და ვერ გაუგიათ, რას ერჩოდა გუნდის ხელმძღვანელობა, რამ გამოიწვია მათი დათხოვნა; რადგან დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ რეჟიმი არ დაურღვევიათ და ბოლო დროს გუნდმა ქულები თუ დააგროვა, სწორედ ხოჯავამ და გოგუამ შეიტანეს ამაში დიდი წვლილი.

"სოვეტსკი სპორტის" რეიტინგი ვახსენეთ და გეტყვით, რომ საუკეთესოებში კიდევ რამდენიმე ჩვენიანია: საუკეთესო მარჯვენა ცენტრალურ მცველთა სამეულში 3,47 (19) ქულით მესამე ადგილზეა "კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი**.

"ანჟისა" და საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილს** "ჩემპიონატ.რუ" წყალობს: ოთხჯერ ტურის სიმბოლურში დაასახელა, საერთო მონაცემებით კი - საუკეთესო სამეულში.

მერაბ მამულაშვილი

● საქართველოს თასი. 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები

13 სექტემბერი

ნორჩი დინამო-სიონი 1:1 პენ. 4:5
პირველი მატჩი — 1:1

დილა-აეტი 3:0
პირველი მატჩი — 2:0

მესხეთი-ტორპედო 1:6
პირველი მატჩი — 0:2

კოლხეთი (ფ)-კოლხეთი (ხ) 1:0
პირველი მატჩი — 1:2

სძური-მერანი 0:1
პირველი მატჩი — 0:0

ლოკომოტივი-ჩიხურა 2:2
პირველი მატჩი — 0:5

14 სექტემბერი

ზოოვეტი-სპარტაკი
თბილისი. „ლილოვიანი". 14.00
პირველი მატჩი — 0:4

სტუ-ვიტ ჯორჯია
თბილისი. „შატილი". 15.30
პირველი მატჩი — 1:2

სულორი-სამგორედია
ვანი. 15.30
პირველი მატჩი — 1:1

მერცხალი-ბათუმი
ოზურგეთი. 15.30
პირველი მატჩი — 0:3

ჩხერიმელა-ბაია
ხარაგაული. 15.30
პირველი მატჩი — 1:0

ჟიათურა-გურია
ჟიათურა. 15.30 პირველი მატჩი — 0:0

● რუსეთი. პრემიერლიგა. XXIII ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავაც უცხოელთა ზეობა

ცსკა-დინამო 0:4

გოლები: 0:1 ვორონინი (36), 0:2 კურანი (40), 0:3 ფერნანდესი (69), 0:4 კოკორინი (90)

ლოკომოტივი-ზენიტი 4:2

გოლები: 0:1 ლაზოვიჩი (7), 0:2 ბუხაროვი (30), 1:2 ობინა (46), 2:2 კაისედო (61), 3:2, 4:2 და კოშტა (75, 87)

კრასნოდარი-რუბინი 3:1

გოლები: 1:0 მოვსისიანი (8, პენალტით), 2:0 ამისულაშვილი (61), 2:1 ნათხო (86, პენალტით), 3:1 ჟოაოზინიო (90+3)

ამკარი-სპარტაკი (მ) 0:1

გოლი: 0:1 პარეხა (85)

სპარტაკი (ნ)-როსტოვი 0:1

გოლი: 0:1 კოჩიში (83)
38-ე წუთზე ადამოვმა (როსტოვი) ვერ გამოიყენა პენალტი

კრილია სოვეტოვი-ტომი 2:0

გოლები: 1:0 კორნილენკო (8), 2:0 იაკოვლევი (45)

ანჟი-ვოლგა 1:1

გოლები: 0:1 პლეშანი (4), 1:1 ეტოო (17), 2:1 რობერტო კარლოსი (60)

ტერეკი-ყუბანი 1:2

გოლები: 0:1 ტრაორე (28, პენალტით), 1:1 ალსიდაროვი (32), 1:2 ტრაორე (53)

უკომპრომისო და საინტერესო გამოდგა რუსული პრემიერლიგის XXIII ტური: რვა შეხვედრიდან არც ერთი მატჩი ფრედ არ დამთავრებულა და შედეგიანობის მაჩვენებელიც, ისე როგორც წინა ტურებში, კვლავაც მაღალი იყო. ოღონდ, ამ შემთხვევაში უკვე მერამდენედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რუსეთის ჩემპიონატში გაზრდილი შედეგიანობა, უმეტესწილად, ლეგიონერთა დამსახურებაა და ყოველივე ეს განვლილმა ტურმაც დაადასტურა. თავად განსაჯეთ: ტურში 23 გოლი გავიდა და აქედან 20 ლეგიონერებმა გაიტანეს! გასული ტურის კიდევ ერთი განსაკუთრებული მოვლენა ცსკა-ს სასტიკი მარცხი იყო: თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ცხრილის სათავეში მყოფი არმიელები დედაქალაქურ „დერბიში" მართლაც რომ უსუსურად გამოიყურებოდნენ. თუმცა, გამარჯვებულებსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას: **სერგეი სილკინის** გუნდმა ასეთი ძლიერი მეტოქის ძლევით დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც იმსახურებს და ოქროს მედლების რეალურ კანდიდატადაც შეიძლება მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, არმიელებს სერიოზულზე-სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ (ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების მეკარე **იგორ აკინფეევი** მძიმე ტრავმის გამო, სულ მცირე, ექვსი თვე ვერ ითამაშებს), მაგრამ იმ საღამოს დინამოელთა ლიდერების შეჩერება შეუძლებელი იყო. კვლავაც შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარეს 32 წლის **ანდრეი ვორონინმა** (უკრაინა) და 29 წლის **კევინ კურანიმ** (გერმანია), თანაც ოთხი გოლის გარდა „დინამოს" კიდევ სამი რეალური შანსიც ჰქონდა...

კონკურენტის წაფორხილებით ვერ ისარგებლა „ზენიტმა", არადა **ლუჩანო სპალეტის** გუნდი წარმატების შემთხვევაში ცსკა-ს 3 ქულით ჩამოიტოვებდა. თუმცა, იტალიელმა მწვრთნელმა, ალბათ, ბევრი გააკვირვა, როცა „ლოკომოტივთან" მატჩში სათადარიგოთა შორის დატოვა გუნდის ლიდერები (**ალექსანდრ ანიუკოვი, კონსტანტინ ზირიანოვი**), ხოლო „ზენიტის" საუკეთესო ბომბარდირი **ალექსანდრ კერჟაკოვი** საერთოდ არ წაიყვანა მოსკოვში! ამის მიუხედავად, პირველი ტაიმი პეტერბურგელებმა მოიგეს (2:0), მაგრამ შესვენების მერე „ლოკომოტივის" ახალწვეულმა ლეგიონერებმა მართლაც რომ გაილაღეს და ქვეყნის ჩემპიონის კარში 4 უპასუხო გოლი გაიტანეს! თავი ჯერ 24 წლის ნიგერიელმა **ვიქტორ ობინამ** გამოიჩინა, შემდეგ 23 წლის ეკვადორელმა **ფილიპე კაისედომ** ანგარიში გაათანაბრა, ამის მერე კი პორტუგალიელმა მცველმა, 25 წლის **მანუელ და კოშტამ** ზუსტი თავური დარტყმებით „დუბლი" შეასრულა! იმავე დღეს თამაშობდა ყაზანის „რუბინიც", მაგრამ ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ **ყურბან ბერდიევის** გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის ბრძოლა გაუჭირდება: 24 წლის **იურა მოვსისიანის**, 29 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილის** (საქართველო) და 22 წლის **ჟოაოზინიოს** (ბრაზილია) გოლებს სტუმრებმა ისრაელის ნაკრების ნახევარმცველის, 23 წლის **ბიბრეს ნათხოს** პრესტიჟის გოლით უპასუხეს. არადა, პირველად ამ სეზონში „რუბინი", ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა (სამწუხაროდ, 19 წლის **საბა კვერკველიას** თადარიგში გადანაცვლებამ მოუწია), მაგრამ საქმეს ვერც ამ ფაქტმა უშველა და ვერც ისეთი ფეხბურთელების გამოჩენამ, როგორებიც არიან 24 წლის **რომან ერიომენკო** (ფინეთი), 26 წლის **ობაფემი მარტენსი** (ნიგერია), 27 წლის **ნელსონ ვალდესი** (პარაგვაი)...

სამივე ზემოთ ნახსნები მატჩი შაბათს ჩატარდა, მეორე დღის პირველივე შეხვედრაში კი „სპარტაკმა" სტუმრად შეძლო „ამკარის" დამარცხება. ეს დაპირისპირება ჩვენთვის იმით უფრო იყო მნიშვნელოვანი, რომ რუსების „სახალხო გუნდის" შემადგენლობაში გარკვეული პაუზის მერე კვლავაც გამოჩნდა **ჯანო ანანიძე**, რომელსაც წინა დღეს მოხვდა და „ანჟის" 24 წლის მეკარე **ნუკრი რევიშვილი** ამ ეპიზოდში უძლური იყო. საქართველოს ნაკრების მეკარეს ამ გოლში ვერავინ დაადანაშაულებს — რიკოშეტის შემდეგ ბურთმა ტრაექტორია მკვეთრად შეიცვალა. თუმცა, „ანჟიმ" მალევე შეძლო ანგარიშის გათანაბრება: რუსეთში ჩატარებულ მეორე შეხვედრაში მეორე გოლი გაიტანა მასპინძელთა ძვირადღირებულმა ახალწვეულმა 30 წლის **სამუელ ეტოომ** (კამერუნი). მეორე ტაიმში კი, „ანჟის" კაპიტანმა, 38 წლის **რობერტო კარლოსმა** მახვილი კუთხიდან „საფირმო" საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ამ შემთხვევაშიც მცირე რიკოშეტის შემდეგ ბურთი სტუმართა კარში აღმოჩნდა. დაბოლოს, კიდევ ერთ ფაქტზეც: თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ „ტერეკის" ძირითად შემადგენლობაში 31 წლის **ლევან გვაზავა** გამოჩნდა, მაგრამ გროზნოელთა გუნდი კვლავაც დამარცხდა — „ყუბანის" კოტდივუარელმა ლეგიონერმა, 21 წლის **ლასინა ტრაორემ** „დუბლი" შეასრულა და თავის გუნდს პირველ რვა გუნდში მოხვედრა, ფაქტობრივად, გაუნაღდა.

გია ტუხაშვილი

(10 სექტემბერს) 19 წელი შეუსრულდა! კვირის მატჩებიდან კი ქართველ გულშემატკივართა უდიდეს ინტერესს, რაღა თქმა უნდა, „ანჟისა" და „ვოლგას" შეხვედრა იწვევდა. სამწუხაროდ, ნიჟნინოვგოროდელთა გუნდში ქართველ ფეხბურთელთა რიცხვი ტურიდან-ტურამდე მცირდება. „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ „ანჟისთან" მატჩამდე ორი დღით ადრე „ვოლგას" ხელმძღვანელებმა ძალიან ბევრისთვის (მათ შორის, რუსი ჟურნალისტებისა თუ ნიჟნინოვგოროდელი ქომაგებისათვის) მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს და გუნდს ჩამოაშორეს ქართველ ფეხბურთელთა „ტრიო" (**ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა, გოგიტა გოგუა**). „ანჟისთან" მატჩში არ უთამაშიათ აგრეთვე **ზურაბ არზიანს, გია გრიგალავას** და ჩვენებურთაგან ძირითადში მხოლოდ 22 წლის **მათე ვაწაძე** გახლდათ. ამ წყვილის უდავო ფავორიტი „ანჟი" იყო და რუსული პრემიერლიგის კი არა, ალბათ, ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა კლუბმა მორიგი სამი ქულა მოიპოვა. თუმცა, ანგარიში, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლით გაიხსნა: ვაწაძის აქტიურობის შემდეგ „ვოლგას" რუმინელმა ლეგიონერმა, 28 წლის **მიხეიცე პლეშანმა** შორიდან დაარტყა, ბურთი მასპინძელთა ერთ-ერთ ფეხბურთელს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზენიტი	23	13	7	3	43-19	46
2. ცსკა	23	13	7	3	42-21	46
3. დინამო	23	13	5	5	43-25	44
4. ანჟი	23	11	7	5	27-20	40
5. ლოკომოტივი	23	11	6	6	37-24	39
6. სპარტაკი (მ)	23	11	6	6	31-25	39
7. რუბინი	23	10	8	5	29-21	38
8. ყუბანი	23	11	4	8	31-22	37
9. კრასნოდარი	23	7	8	8	27-33	29
10. ტერეკი	23	6	5	12	21-34	23
11. ამკარი	23	5	8	10	15-29	23
12. როსტოვი	23	5	6	12	24-37	21
13. ვოლგა	23	6	2	15	21-32	20
14. ტომი	23	4	8	11	18-37	20
15. კრილია	23	4	7	12	16-34	19
16. სპარტაკი (ნ)	23	3	8	12	18-30	17

შემდეგი ტური

17 სექტემბერი

ვოლგა-სპარტაკი (ნ)
ტომი-კრასნოდარი

18 სექტემბერი

როსტოვი-ცსკა
ტერეკი-ლოკომოტივი
დინამო-ამკარი
სპარტაკი (მ)-კრილია სოვეტოვი
რუბინი-ზენიტი
ყუბანი-ანჟი

ბომბარდირები: ს. დუმბია (ცსკა)-13, ა. კერჟაკოვი (ზენიტი)-13, დ. ლაზოვიჩი (ზენიტი)-10, ლ. ტრაორე (ყუბანი)-10

ტური, რომელმაც ჩემპიონმა ჩაიმუხლა

ეს საშიში და გედნიერი მალაგა

დავიწყოთ ორშაბათის მატჩით, რომელსაც უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე - რამდენად სერიოზულია „მალაგას“ განაცხადი ამ სეზონში, შეძლებს თუ არა არაბული ფულით მოფრთიანებული კლუბი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას. ბოლობოლო ეს იყო მცირე ანდალუსიური დერბი. მიუხედავად იმისა, რომ „მალაგამ“ მეტოქე 4:0 მოსრა, ჩვენ ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს, სამაგიეროდ უკვე ვიცით, რა ელის „გრანადას“, დებიუტანტი ძალიან სუსტია და პრიმერაში დარჩენა მისთვის ტიტულის მოპოვების ტოლფასი იქნება.

„ლა როსალედაზე“ კი მოვლენები ასე განვითარდა - „მალაგას“ ორმა ფრთამ, ორმა უმთავრესმა შენაძენმა, **სანტი კასორლამ** და **ხოაკინ სანჩესმა** თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს „გრანადას“ გოლკიპერ **რობერტო ფერნანდესს** და საბოლოდ გამოვიდა - 4. ჩილელი **მანუელ პელეგრინი** გუნდს 4-2-3-1 ტაქტიკით ათამაშებს. უტევს ვეტერანი **რუუდ ვან ნისტელროი**, თუმცა ჰოლანდიელი თავს მარტო სულ არ გრძნობს - მას სამი შემტევი ეხმარება, კასორლა, ხოაკინი და არგენტინელი **დიეგო ბუონანოტე**, მათ უკან კი **ტულალანი** და **დუდა** დგანან. არც დაცვას დაეწუნება რამე, ფლანგებზე **გამესი** და **ელიზეუ** მოქმედებენ, ცენტრში **მატეისენი** და **დემიკელისი**. პელეგრინის სხვა ფეხბურთელებითაც შეუძლია თამაშის გაძლიერება, ამისთვის არიან გამოცდილი **მარესკა**, **რონდონი** და **ისკო** (დიახ, ჩვენი ახალგაზრდულის ამწიოკებელი ისკო). წარმოიდგინეთ, ჩილელ თავკაცს ამ თამაშში არ დასჭირვებია **ნაჩო მონრეალისა** და **სება ფერნანდესის** დახმარება. შემადგენლობით „მალაგა“ მართლაც საშიში გუნდია.

ამ შეხვედრაში განსაკუთრებით სანტი კასორლას თამაშს გამოვყოფთ, კლუბის რეკორდულმა შენაძენმა უბრალოდ იფრინა - დუბლს ერთი საგოლე პასიც მოაყოლა. მოკლედ, 30 ათასი მალაგელი ორშაბათს შინ ბედნიერი და იმედიანი წავიდა.

ბარსა-რეალოგა

ესპანური ფეხბურთის ორ გრანდს სად აქვს საფიქრალი და გასაანალიზებელი დრო, „ბარსა“ და „რეალი“ უკვე ჩემპიონთა ლიგის ბატალიებში არიან თავით გადაშვებულნი, მე-2 ტური (რიგით მე-3) მათთვის უკვე წარსულია. შეგახსენებთ, რომ ამ ტურმა „რეალს“ „ბარსასთან“ +2 დაუწერა, უფრო ზუსტად კატალონიელებმა პასივში მინუს ორი მიიღეს.

„რეალ სოსიედადთან“ 2:2-ზე მტკივნეული ჩილელი **ალექსის სანჩესის** ტრავმა გამოდგა - 30-ე წუთზე ალექსისი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, მაგრამ ის ბასკთა მარჯვენა მცველმა **ესტრადამ** შეაჩერა, 22 წლის ფეხბურთელს 8 კვირა უქმობა, ანუ „ბარსას“ 13 მატჩის გამოტოვება დაუდგინეს. კატალონიაში ის ახარებთ, რომ **სესკ ფაბრეგასი** ბრწყინვალედ მოერგო მშობლიურ გუნდს - 179 წუთში მან უკვე 3 გოლი გაიტანა და თავი სხვა მხრივაც გამოიჩინა.

ახლა რა ხდებოდა „რეალის“ ბანაკში - მიუხედავად იმისა, რომ მსაჯი წაეხმარა „სამეფო კლუბს“, მაინც ვერ ვიტყვით, რომ მისი გამარჯვება მცირე მადრიდულ დერბიში (4:2 „ხეტაფესთან“) დაუმსახურებელი, ანაც არადამსაჯერებელი იყო. გამოჩნდა ისიც, რომ „ხეტაფე“ ბევრს გაამწარებს ამ სეზონში. **იკერ კასილიასს** კი „რეალში“ დებიუტის 12 წელი შეუსრულდა.

ლეო VS რონი, დუბლი II

ამ ტურში თანამედროვეობის ორი ვარსკვლავი არათანაბარ პირობებში ჩაყენეს, **გვარდიოლამ** გადაწყვიტა **ლეო მესის** დასვენება და ის მოედანზე მხოლოდ მაშინ შეიყვანა, როცა ძალიან დასჭირდა, **მოურინიომ** კი სრულად დატვირთა **კრიშტიანო რონალდო**. რას გახდა მესი შეზღუდულ დროში - ერთხელ ძალიან მწვავედ დაარტყა, ერთხელაც „რეალ სოსიედადის“ საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მოცელეს თუ წაიქცა. მსაჯი არგენტინელის მხარეს არ დადგა და ლეომაც სეზონში პირველი გაფრთხილება მიიღო... სიმულაციისთვის. რონალდო ჩვეულად აქტიურობდა, მისივე წაქცევისთვის არასწორად დანიშნული პენალტი გოლად (მე-4 სეზონში) აქცია და ამის მერე გააკეთა ფენომენალური 50-მეტრიანი საგოლე პასი, რომლის ადრესატიც **ბენზემა** გახლდათ.

28 წუთში მესიმ 4-ჯერ დაარტყა კარისკენ, 2-ჯერ ზუსტად, 2-ჯერ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, ამდენჯერვე თავად იყო დამნაშავე. კრიშტიანო რონალდომ კარისკენ 9-ჯერ გაისროლა, რომელთაგანაც 4 დარტყმა ზუსტი იყო, რონალდო 2-ჯერ მოცელეს. „გოლის“ შეფასებები: მესი - 5, რონალდო - 7. დუბლი I 1:1 დასრულდა, დღეიდან წინ პორტუგალიელია - 2:1.

ტურის სიმბოლური ნაკრები

goal.com. 3-4-3

მეკარე

რობერტო ხიმენესი (სარაგოსა, 2): გახსოვთ რობერტო პირველ ტურშიც სიმბოლურში მოხვდა, არადა, 6 გოლი გაუშვა. ახლა მან კარი მშრალად შეინახა მეორე მადრიდულ კლუბთან, „რაიო ვალეკანოსთან“ თამაშში. 70-ე წუთზე მან **ხავი ფუეგოს** პენალტი მოიგერია, აუღო **პიტის** და **დელიბაშიჩსაც**.

შეტევაზეა სანტი კასორლა

მადრიდული დერბი

მცველები

ინიგო მარტინესი (რეალ სოსიედადი, 1): თავიდან კი გაუჭირდა „ბარსელონასთან“, მაგრამ ცენტრალურმა მცველმა II ტაიმში დიდებულად ითამაშა. ის კი არა, გვიანი თავურით კინაღამ სამი ქულაც კი მოუტანა ბასკებს.

ალექსისი (სევილია, 1): „სევილიას“ მცველმა თავურით ქულა გადაურჩინა ანდალუსიურ კლუბს, მატჩში, სადაც რიცხობრივ უპირატესობაში მოთამაშე სტუმრები ამას სულაც არ იმსახურებდნენ.

კატა დიასი (ხეტაფე, 1): მიუხედავად იმისა, რომ „ხეტაფემ“ „ბერნაბეუზე“ 4 გოლი გაუშვა, ის ძლიერი იყო „მეორე სართულზე“ და კარგად იწყებდა გუნდის შეტევებსაც.

ნახევარმცველები

კრიშტიანო რონალდო (რეალი, 2): საეჭვო პენალტი და მსოფლიო კლასის საგოლე პასი „ხეტაფესთან“ მატჩში.

მესუთ იოზილი (რეალი, 1): გერმანელის „მკვლელი პასები“ უკვე საარაკო თემაა მადრიდში.

ასიერ ილარამენდი (რეალ სოსიედადი, 1): მას გრძელი ბასკური გვარი აქვს, ძნელად დასამახსოვრებელი, მაგრამ მისი თამაში „ბარსასთან“ (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში) შთამბეჭდავი გახლდათ.

ხესუს ნავასი (სევილია, 1): ძველი ხესუს ნავასის დაბრუნება ამ მატჩში მოხდა.

თავდამსხმელები

იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი, 1): კიდევ ერთი ბასკი სიმბოლურში, კვლავ დამსახურებულად, გაიტანა ერთი გოლი და მეორეშიც ლომის წილი დაიდო, არ დაგავიწყდეთ - „ბარსას“ კარში.

სერხიო გარსია (ესპანიოლი, 1): დავიდ და ლუის გარსიების წასვლის შემდეგ, „ესპანიოლში“ მხოლოდ სერხიო დარჩა, „ბილბაოსთან“ მან დუბლი შეასრულა.

მიკუ (ხეტაფე, 1): ორი გოლი „რეალის“ კარში.

ჩვენი მხრიდან: სიმართლე ვთქვათ, „გოლის“ სიმბოლური ნაკრები ძალიან არ მოგვწონს. გაუგებარია, რატომ ვერ მოხვდა რჩეულთა გუნდში სანტი კასორლა, ქარიმ ბენზემა, სესკ ფაბრეგასი და **ჯუზეპე როსი**.

ტურის გმირი

როგერტო სოლდადო (ვალენსია). დიახ, ისევ რობერტო სოლდადო, რადგან ისევ „გენერალ-კაპიტანმა“ მოაგებინა „ღამურებს“. ამჯერად, მისი გოლი არა მარტო გამარჯვებისა იყო, არამედ, ერთადერთიც „ატლეტიკოს“ კარში.

ტურის ფრაზები

ხოსეპ გვარდიოლა: *„ეს სამომავლო გაკვეთილია - უკვე ცხადია, რომ შარშანდელი თამაშით ჩემპიონობას ვეღარ შევინარჩუნებთ“* - „რეალ სოსიედადთან“ 2:2-ის შემდეგ.

ჟოზე მოურინიო: *„პენალტი, რა თქმა უნდა, არ იყო, მაგრამ რონალდო სიმულანტი არ არის ზოგიერთი ცნობილი გუნდის ფეხბურთელებივით“*, - „ხეტაფესთან“ საეჭვო პენალტის შესახებ.

სერხიო ბუსკეტსი: *„გასულ წელსაც ცუდად დავიწყეთ სეზონი. თუ გახსოვთ, სულაც წავაგეთ „ერკულესთან“. მთავარია შეცდომები გავაანალიზოთ და აღარ დავუშვათ. სანერვიულო სულ არაფერია“.*

მანუელ პელეგრინი: *„ისინი რომელთაც ჩვენი შესაძლებლებისა არ სწამდათ, ღირსეულ პასუხს მალაგაში ვიზიტისას მიიღებენ“.*

მარსელინო: *„ეს ქულა არ გვეკუთვნოდა, რადგან „ვილიარეალმა“ აშკარად გვაჯობა“*, - „სევილიას“ თავკაცი ვალენსიაში 2:2-ის შემდეგ.

მარსელო ბიელსა: *„არასწორი გადაწყვეტილება მივიღე, ამიტომაც წავაგეთ“*, - „ბილბაოს“ თავკაცი კატალონიურ მარცხზე.

ექტორ კუპერი: *„წინ თუ გავიხედავთ, უნდა გვეშინოდეს მომავლის“*, - პესიმისტია საქართველოს ნაკრების ყოფილი მესაჭე „რასინგის“ პერსპექტივების შეფასებისას.

როგერტო სოლდადო: *„არავის დაგუთმობთ ტიტულს“*, - დიდ გულზეა „ვალენსიას“ ლიდერი.

ტურის მსხვერპლნი

ტრავმები მიიღეს: ალექსის სანჩესმა (ბარსელონა, 8 კვირა), **ანდერ ერერამ** (ბილბაო, 4-6 კვირა), **ხუან ალბინმა** (ესპანიოლი).

ტურის კურიოზი

ხორხე მოლინა (ბეტისი)

არა, ეს უნდა გენახათ, აღწერა ძნელია - I ტაიმში „ბეტისი“ უტევდა „მალიორკას“, როცა 29 წლის ხორხე მოლინას თანაგუნდელის დარტყმული ძელმა მოიგერია და წინ მქროლ მოლინას, ბურთი კარის ხაზიდან 3 მეტრში თავში მოხვდა, მაგრამ არ გავიდა - მოლინამ ხარიხას გაარტყა, სანამ **დუდუ ავატე** უკან დაბრუნდებოდა, მოლინამ ნახევარი მეტრიდან ფეხით დამატება მოასწრო, მაგრამ ბურთი ისევ ხარიხას გაარტყა. 23 წლის ასაკამდე ცენტრფორვარდი ტერსერა დივიზიონში თამაშობდა, შემდეგ დაანინაურეს სეგუნდაში. 29 წლის მოლინა „მალიორკასთან“ პირველად თამაშობდა ლა ლიგის მატჩში ძირითადში და შეეძლო (ვალდებულიც იყო) ეს გოლით აღენიშნა.

ტურის სტატისტიკა

26 გოლი (2,6 მატჩში). მასპინძლებმა მოიგეს 6, 4 მატჩი დასრულდა ფრით, სტუმრებს არ მოუგიათ. მსაჯებმა 48 ყვითელი ბარათი და 2 წითელი (დიეგო ლოპესი, პაპე დიოპი) აჩვენეს.

დუბლი: სერხიო გარსია (ესპანიოლი), ქარიმ ბენზემა (რეალი), ხოაკინი (მალაგა), სანტი კასორლა (მალაგა), მიკუ (ხეტაფე).

გაცუდებული პენალტები: ალვარო ნეგრედო (სევილია), ხავი ფუეგო (რაიო ვალეკანო).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: ალვარო ვადილიო (ბეტისი, 21 წუთი შეცვლაზე) - 16 წლისა და 364 დღის (მეორე დღეს გახდა 17 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: 76 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 8 900 - „ტერესა რივერო“

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 25 - რეალი

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 10 - რეალი

ყველაზე მეტი ჯარიმა: 21 - ბილბაო

ყველაზე მეტი კუთხური: 8 - სპორტინგი

ყველაზე მეტი თამაშგარე: 7 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 74% - ბარსელონა

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ქოლესტერინის საზომი აპარატი

69 ლარი

35 ლარი

გლუკომეტრები

35-99 ლარი



შპს „კონტრასტი“

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55

ჩააბარე ძველი, დაამატე 27 ლარი და მიიღე

ახალი გლუკომეტრი + 10 ტესტ-ფურცელი

ქარხნული ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი ზაგრებში ჟოზეს გარეშე!

ბაიერნი მიუნხენისკენ გეზს ვილიარეალიდან აიღებს

დღევანდელი მატჩებიდან „ბარსა“-„მილანის“ რანგის არც ერთი არ არის, მაგრამ რამდენიმე შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. მაგალითად, „ვილიარეალი“-„ბაიერნი“ ან იმავე ჯგუფის მეორე მატჩი, რომელშიც „მანჩესტერ სიტი“ „ნაპოლის“ მასპინძლობს. საინტერესო იქნება „ბენფიკასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაპირისპირება „ესტადიო და ლუჟზე“, ასევე „აიაქსისა“ და „ლიონის“ დუელი „ამსტერდამ არენაზე“.

ესპანური პრესის ცნობით, ჟოზე მოურინიო რეალის თამაშს ამ 5-ვარსკვლავიან სასტუმროში უყურებს და ასისტენტ აიტორ კარანკას რჩევა-დარიგებებს მისცემს

სერხიო აგუერო

A ჯგუფი

22:45 ვილიარეალი-ბაიერნი

„ბაიერნისთვის“ პროექტი „მიუნხენი 2012“ დღეს „ვილიარეალთან“ გასვლითი მატჩით იწყება. პროექტი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას გულისხმობს – ბავარიელებს სწორედ ასეთი მიზანი აქვთ დასახული, რაც რთული შესასრულებელი იქნება, მაგრამ რაკი ფინალი „ბაიერნის“ სტადიონზე უნდა გაიმართოს, მიუნხენში ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ ფინალში გასვლა უნდათ. რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** თქმით, ეს ფაქტორი მისი გუნდისთვის საუკეთესო მოტივატორია.

„მართალია, სიკვდილის ჯგუფში მოვხვდით და ესეც რომ არ იყოს, ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტები „ბარსელონა“, „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ არიან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს გუნდს ნებისმიერი მათგანის დამარცხება შეუძლია,“ - აცხადებს მიუნხენელთა მთავარი მწვრთნელი.

ამრიგად, „ბაიერნისთვის“ კარგი სტარტის აღება ძალიან მნიშვნელოვანია. ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** თქმით, „ვილიარეალთან“ გასვლით შეხვედრაში მხოლოდ ნაგება არ ჩაითვლება კარგ სტარტად, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერი ფრეზეც-თანახმაა. ჰაინკესი მთავარ ფეხბურთელს, **არიენ რობენს** დღესაც ვერ გამოიყენებს – ჰოლანდიელმა გარემარბმა ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო. მას შეტევის მარჯვენა ფლანგზე **თომას მიულერი** შეცვლის, ამ უკანასკნელის ადგილს კი, ცენტრალური შემტევი ნახევარმცველის ადგილზე **ტონი კროოსი** დაიკავებს.

„ვილიარეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატში მოღვაწეობა „ბარსელონასთან“ განცდილი კრახით (0:5) დაიწყო, თუმცა გასულ უქმეებზე გუნდმა „სევილიასთან“ მიღწეული ფრით (2:2) თავდაჯერება დაიბრუნა. **როსი** და კომპანია „ბაიერნთან“ შეხვედრისთვის უაღრესად მოტივირებულები არიან.

საეჭვოების შემადგენლობები

ვილიარეალი (4-4-2): დიეგო ლოპესი – ანჩელი, საპატა, გონსალო როდრიგესი, ორიოლი – კამუნასი, სენა, ბორხა ვალერო, კანი – ნილმარი, როსი.

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი – რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი – გომესი.

არბიტრი: ჩუნეით ჩაქირი (თურქეთი)

22:45 მანჩესტერ სიტი-ნაპოლი

სიკვდილის ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი ერთმანეთს „მანჩესტერ სიტი“ და „ნაპოლი“ დაუპირისპირდებიან. ექსპერტები ამ ჯგუფში ფავორიტად „ბაიერნთან“ ერთად „სიტის“ ნათლავენ, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ **რობერტო მანჩინის** სამწყსო იტალიურ „ნაპოლისთან“ საშინაო შეხვედრაშიც ფავორიტია. ამასთან, „სიტი“ ინგლისის ჩემპიონატში შესანიშნავად ასპარეზობს, გასულ უქმეებზე „უიგანი“ 3:0 დაამარცხა და თანაქალაქელ „იუნაიტედთან“ ერთად, პრემიერლიგაში ჯერჯერობით ქულები არ დაუკარგავს.

აღსანიშნავია, რომ სეზონი ნეაპოლელებმაც კარგად დაიწყეს: **ვალტერ მაძარის** გუნდმა შაბათს „ჩეზენას“ სტუმრად დამაჯერებლად, 3:1 მოუგო. ფაქტია, რომ **კავანი, ლავეცი** და კომპანია „სიტის“ იოლად არაფერს დაუთმობენ.

საეჭვოების შემადგენლობები

მანჩესტერ სიტი (4-2-3-1): ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კლიში – იაია ტურე, ბერი – ნასრი, სილვა, მილნერი – აგუერო.

ნაპოლი (3-4-3): დე სანკტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო, ინლერი, ჯემაილი, დოსენა – ჰამშიკი, კავანი, ლავეცი.

არბიტრი: იონას ერიკსონი (შვედეთი)

B ჯგუფი

22:45 ინტერი-ტრაბზონი

„ნაპოლისგან“ განსხვავებით, მილანის „ინტერმა“ იტალიის ჩემპიონატი ნაგებით დაიწყო: „ნერაძური“ კვირას პალერმოში 3:4 დამარცხდა – მილანელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ სიცილიელებმა საბოლოოდ თამაში შეატრიალეს. „ინტერის“ **ახალწვეულმა დიეგო ფორლანმა** სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა, დღეს კი, ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში „ტრაბზონსპორთან“ ვერ ითამაშებს. ურუგვაელმა ამ სეზონში „ატლეტიკოს“ ფორმით უკვე იასპარეზა ევროპის ლიგაში, რის გამოც „ინტერს“ ევროსარბიელზე 2012 წლამდე ვერ დაეხმარება.

რაც შეეხება მილანელთა მეტოქეს: „ტრაბზონს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე წესით არ უნდა ეთამაშა, რადგან თურქეთის ვიცე-ჩემპიონი საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე რაუნდში დამარცხდა. მაგრამ „ტრაბზონი“ უეფამ ჯგუფურ ეტაპზე მაინც მოახვედრა და კერძოდ თურქეთის ჩემპიონ „ფენერბაჰჩეს“ ნაცვლად – შეგახსენებთ, რომ „ფენერი“ მანიპულირებული მატჩების სკანდალს შეეწირა. თუმცა სანამ უეფა ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ტრაბზონელებმა ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბილბაოს „ატლეტიკთან“ თამაშის ჩატარება მოასწრეს, საიდანაც მთავარი მწვრთნელის, **შენოლ გიუნეშისა** და ტოპგოლეადორ **ბურაკ ილმაზის** დისკვალიფიკაციები გადმოჰყვათ. შესაბამისად, ილმაზი „ინტერთან“ ვერ ითამაშებს, გიუნეში კი გუნდს ვერ უხელმძღვანელებს.

საეჭვოების შემადგენლობები

ინტერი (3-4-1-2): ჟულიო სეზარი – ლუსიო, სამუელი, ხ. ძანეტი – ჯონათანი, სტანკოვიჩი, კამბიასო, ნაგატომო – სნეიდერი – მილიტო, პაციო.

ტრაბზონი (4-4-2): ზენგინი – გლოვაცკი, კაჩარი, ჩელუსტკა, ბალჩი – ზოკორა, კოლმანი, ალანზინიო, აკგიუნი – ბრომეკი, ალთინთოფი.

არბიტრი: შტეფან იუჰანსონი (შვედეთი)

22:45 ლილი-ცსკა

„ინტერის“ გულშემატკივრებს ფორლანის ევრო-ამბავი მაინცდამაინც არ სწყენიათ, რადგან მილანური კლუბი არც თუ ისე რთულ ჯგუფში მოხვდა. პარალელურ შეხვედრაში „ლილი“ მოსკოვის ცსკა-ს მასპინძლობს. ფრანგებმა გასულ უქმეებზე „სენტ ეტიენს“ 3:1 მოუგეს, ცსკა კი თანაქალაქელ „დინამოსთან“ 0:4 განადგურდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მოსკოველებს ახლაც და კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში არ ეყოლებათ ძირითადი მეკარე **იგორ აკინფეევი** და იაპონელი **კეიშუკე ჰონდა**.

არბიტრი: ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

C ჯგუფი

22:45 ბენფიკა-მანჩესტერ იუნ.

ამ ჯგუფს წინა სეზონის ფინალისტ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახით გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს და სასწაული უნდა მოხდეს, **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდმა პირველი ადგილი რომ ვერ დაიკავოს. ერთადერთი გუნდი, რომელსაც „იუნაიტედისთვის“ კონკურენციის გაწევა შეუძლია, პორტუგალიის ვიცე-ჩემპიონი „ბენფიკაა“ და დღეს მანჩესტერელები სწორედ ლისაბონში ითამაშებენ.

გასულ უქმეებზე ინგლისურმა გრანდმა „ბოლტონთან“ მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა – ფერგის ბიჭებმა 5:0 მოიგეს, **უეინ რუნიმ** კი კიდევ ერთი ჰეთ-თრიკი შეასრულა. ამ უკანასკნელს „მანჩესტერში“ უკვე შვიდი ჰეთ-თრიკი აქვს შესრულებული, რითიც ლეგენდარული **სერ ბობი ჩარლტონის** რეკორდი გაიმეორა. წესით, მანჩესტერელებს „ესტადიო და ლუჟზე“ მოგება უნდა გაუჭირდეთ, რადგან ამ არენაზე ყოველთვის გრანდიოზული ატმოსფერაა და თანაც, „ბენფიკა“ ცუდ ფორმაში არ არის. ლისაბონელებმა უიქენდზე „გიმარაეშე“ 2:1 დაამარცხეს და ოთხი ტურის შემდეგ წაუგებლები არიან, ცხრილში კი მხოლოდ „პორტუს“ ჩამორჩებიან.

საეჭვოების შემადგენლობები

ბენფიკა (4-1-3-2): არტური – პერეირა, ლუიზაო, გარაი, ემერსონი – გარსია – ვიტსელი, გაიტანი, ნოლიტო – სავიოლა, კარდოსო.

მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2): დე ხეა – ჯონსი, სმოლინგი, ფერდინანდი, ფაბიო – ნანი, ქერიკი, ანდერსონი, იანგი – რუნი, ჩიჩარიტო.

არბიტრი: დამირ სკომინა (სლოვენია)

22:45 ბაზელი-ოცელული

შვეიცარიული „ბაზელი“ და რუმინული „ოცელული“ კი ჯგუფის აშკარა აუტსაიდერები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის გასამართი პირველი პაექრობა საკმაოდ პრინციპულია იმ თვალსაზრისით, რომ ორივე მათგანმა მესამე ადგილისთვის უნდა იბრძოლოს. „ბაზელმა“ შვეიცარიის ჩემპიონატში „სერვეტი“ 4:0 გაანადგურა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი მატჩისთვის სრულ მზადყოფნაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ შვეიცარიის ჩემპიონს დაცვის ხაზში სამი ახალწვეული ჰყავს და სამივე სასტარტო შემადგენლობაში თამაშობს: **იუ-ჰუ პარკი, ალეკსანდარ დრაგოვიჩი** და **მარკუს შტაინჰიოფერი**.

რაც შეეხება „ოცელულს“ - რუმინული კლუბი ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია, გუნდის მთავარი ვარსკვლავი კი მწვრთნელია: „ოცელულს“ რუმინეთის ნაკრების რეკორდსმენი **დორინელ მუნტეანუ** წვრთნის.

საეჭვოების შემადგენლობები

ბაზელი (4-4-2): ზომერი – შტაინჰიოფერი, აბრაამი, დრაგოვიჩი, ი. ჰ. პარკი – ჰუგელი, კაბრალი, ფ. ფრაი, შაქირი – ა. ფრაი, შტრელერი.

ოცელული (4-5-1): გრაჰოვაცი – რაპა, კოსტინი, სარგი, ილიე – ანტალი, გიურგიუ, ფრუნცა, პარაშივი, იბე – პენა.

არბიტრი: ვილიამ კოლუმი (შოტლანდია)

D ჯგუფი

22:45 დინამო (ზ)-რეალი

ორი აზრი არ არსებობს, მადრიდის „რეალი“ D ჯგუფის ფავორიტია და წესით, ევროსარბიელზე ასპარეზობა გამარჯვებით უნდა დაიწყოს, რადგან პირველივე ტურში აუტსაიდერს, ზაგრების „დინამოს“ ხვდება. „რეალმა“ გასულ უქმეებზე „ხეტაფე“ 4:2 დაამარცხა და მეუხედავად გამარჯვებისა, მადრიდელთა დამრიგებელი **ჟოზე მოურინიო** უკმაყოფილო გახლდათ – ცუდად ვითამაშეთო.

მართლაც: „რეალს“ „ხეტაფესთან“ ბევრი ნაკლი ჰქონდა. ეს განსაკუთრებით **ფაბიო კოენტრაოზე** ითქმის, რომელიც ჟოზემ **სამი ხედირას** არყოფნაში საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშა. მოურინიოს წინა სეზონიდან დისკვალიფიკაცია გადმოჰყვა და პორტუგალიელი სპეციალისტი სათადარიგოთა სკამზე ვერ დაჯდება.

გაზეთ AS-ის ცნობით, ჟოზე ზაგრებში წასვლას საერთოდ არ აპირებს და გადაწყვიტა, თავისი გუნდის თამაშს ხუთვარსკვლავიანი სასტუმროდან უყუროს. არადა, „დინამოს“ ხელმძღვანელებმა მოურინიოს სტადიონზე VIP-ლოჟაში დაჯდომა შესთავაზეს. ჩვენი ესპანელი კოლეგების ინფორმაციით, ჟოზემ ზაგრებში წასვლა იმიტომ იუარა, რომ სასტუმროდან თავის ასისტენტ აიტორ კარანკას უპრობლემოდ დაეკონტაქტება და შეხვედრის დროს რჩევებს მისცემს.

რაც შეეხება ზაგრების „დინამოს“: ხორვატებმა ზაფხულში გუნდი **იოზიპ შიმუნიჩითა** და **დომაგოი ვიდათი** გააძლიერეს, მაგრამ დღეს მხოლოდ ამ უკანასკნელს გამოიყენებენ, რადგან შიმუნიჩი დისკვალიფიცირებულია. ზაგრების „დინამომ“ გასულ უქმეებზე ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ, სპლიტის „ჰაიდუკთან“ 1:1 ითამაშა.

საეჭვოების შემადგენლობები

დინამო ზ. (4-4-2): კელავა – ტონელი, ვიდა, კუფრე, იბანიესი – კალელო, ლეკო, სამირი, ბადელი – ბეჩირაი, რუკავინა.

რეალი (4-2-3-1): კასილიასი – სერხიო რამოსი, ჰეპე, კარვალიო, მარსელო – ჩაბი ალონსო, კოენტრაო – დი მარია, იოზილი, რონალდო – ბენზემა.

არბიტრი: სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

22:45 აიაქსი-ლიონი

ლოგიკურად, „რეალმა“ პირველი ადგილი უპრობლემოდ უნდა დაიკავოს, მეორე პოზიციისთვის კი „აიაქსი“ და „ლიონი“ იბრძოლებენ. დღეს ისინი ერთმანეთს „ამსტერდამ არენაზე“ ხვდებიან. ჰოლანდიის ჩემპიონატში „აიაქსი“ „ჰერაკლესის“ დამარცხების შემდეგ (3:2) გალიდერდა, საფრანგეთში კი, „ლიონი“ მეორე ადგილზეა („მონპელიეს“ ჩამორჩება). „ლიონის“ თავკაცი **რემი გარდე** ამსტერდამში კაპიტან **კრისს** და თავდამსხმელ **ლისანდრო ლოპესს** ვერ გამოიყენებს – ორივე ტრავმირებულია.

საეჭვოების შემადგენლობები

აიაქსი (4-3-3): ვერმეერი – ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ბოილესენი – ს. დე იონგი, ერიკსენი, ტ. იანსენი – სულეიმანი, სიგტორსონი, ბურიგტერი.

ლიონი (4-4-2): ლორისი – რევეილერი, ლოვრენი, კონე, სისოხო – პიდი, გონალონსი, კალსტრიომი, ბასტოსი – ბრიანი, გომისი.

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

პირველად იყო პატო...

2011/12 წლებში სეზონის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი გოლი „მილანის“ ფორვარდმა **ალეშანდრე პატომ** გაიტანა. 22 წლის ბრაზილიელმა „კამპ ნოუზე“ პირველივე წუთზე არცთუ მთლად იოლად შესასრულებელი რამ ჩაიდინა - ცენტრში საკუთარ თავს გაუგდო ბურთი და გაოგნებული ცენტრალური მცველების თვალწინ, **ვიქტორ ვალდესს** ბურთი ფეხებს შუა გაუტანა. ამის მერე მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა - „ბარსელონა“, ჯერ **ლეო მესის** გენიალური შეტევა დააგვირგვინა **პედრომ**, შემდეგ კი თავი **დავიდ ვილიამ** საჯარიმო დარტყმით გამოიჩინა. თითქოსდა, საკუთარ ნახევარს მიჯაჭვულმა „მილანმა“ კი ქულა მაინც იხსნა - უკანასკნელ წუთზე სტუმრებმა კუთხურიდან ჩააწოდეს და ყველას თავით „მილანის“ ბრაზილიელმა მცველმა **ტიაგო სილვამ** დაასწრო - 2:2.

პირველი დღის 8 მატჩიდან ნახევარი ფრით დასრულდა. გამარჯვებები იზეიმეს „ჩელსიმ“, „პორტუმ“, „მარსელმა“ და.. აპოელ-მა.

E ჯგუფი

ჩელსი – ლევერკუზენი 2:0

ჩელსი (4-3-3): პ. ჩეხი – ბოსინგვა, ივანოვიჩი, ლუიზი (76. ალექსი), ე. კოული – მალუდა, მიკელი, მეირელეში (63. ლამპარდი) - სტარიჯი (64. ანელკა), ტორესი, მატა.

ლევერკუზენი (4-2-3-1): ლენო – კასტრო, რაინარტცი, ტომრაკი, კადლეცი – ბენდერი (80. ბალიტში), როლფესი – სემი (73. დერდიოკი), ბალაკი (66. აუგუსტო), შიურლე – კისლინგი.

გოლები: 1:0 ლუიზი (67), 2:0 მატა (90)

გაფრთხილება: ლუიზი, ტორესი - ბენდერი, კასტრო

ანგარიში პატომ (მარცხნივ) გახსნა

გოლი: 0:1 ლუჩო გონსალესი (51)

გაფრთხილება: მირალიაში, პაპადოპულოსი - ამალფიტანო, მორელი, აეუ

გაძევება: ფანი (90)

კუთხური: 2-3; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 8-11 (3-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 30 040

არბიტრი: პედრო პროენსა (პორტუგალია)

G ჯგუფი

პორტუ – შახტარი 2:1

პორტუ (4-3-3): ელტონი – მაიკონი, ალვარო პერეირა, ფუსილე, ოტამენდი – ფერნანდო (61. ბელუში), მოუტინიო, დეფური – როდრიგესი, კლებერი (69. ჯალმა), ჰალკი (78. ვარელა).

შახტარი (4-2-3-1): რიბკა – სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი – ფერნანდინიო, მხითარიანი – ედუარდო (41. კუჩერი), ჟადსონი (64. ალექს ტეიშეირა), ვილიანი (82. ჰუბშმანი) – ადრიანო.

გოლები: 0:1 ადრიანო (12), 1:1 ჰალკი (28), 2:1 კლებერი (51)

გაფრთხილება: პერეირა - ადრიანო, ჩიგრინსკი, სრნა

გაძევება: რაკიცკი (40), ჩიგრინსკი (80)

კუთხური: 8-7; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 20-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

მაყურებელი: 36 612

არბიტრი: ფელიქს ბრიხი (გერმანია)

აპოელ – ზენიტი 2:1

აპოელ (4-4-2): ქიოტისი – პურსაიტიდისი (74. სოლომუ), პაულო ჟორჟე, ოლივეირა, ბოავენტურა - მორაიში, მარჩინიო (65. იაჰიჩი), ტრიჩკოვსკი, მანდუკა (89. ალექსანდრუ) – პინტუ, ალმეიდა.

ზენიტი (4-2-3-1): მალაფეევი – ანიუკოვი, ბრუნო ალვეში, ლომბერტსი, კრიშიტო – შიროკოვი (75. ფაიზულინი), დენისოვი – ჰუბოჩანი (89. ბუხაროვი), ზირიანოვი (80. ლაზოვიჩი), დანი – კერჟაკოვი.

გოლები: 0:1 ზირიანოვი (63), 1:1 მანდუკა (73), 2:1 ალმეიდა (75)

გაფრთხილება: ოლივეირა, მორაიში, ჟორჟე, იაჰიჩი - ალვეში, დანი

გაძევება: ბრუნო ალვეში (76)

კუთხური: 2-4; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 8-13 (4-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 21 269

არბიტრი: ედუარდო გონსალესი (ესპანეთი)

H ჯგუფი

ბარსელონა – მილანი 2:2

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი – ალვეში, მასკერანო, აბიდალი, ბუსკეტსი – ჩავი, კეიტა (67. პუიოლი), ინიესტა (39. ფაბრეგასი) – პედრო, მესი, ვილია (84. აფელაი).

მილანი (4-3-1-2): აბიატი – აბატე, ნესტა, სილვა, ძამბროტა – ნოჩერინო, ვან ბომელი (77. აკვილანი), ზეედორფი – ბოატენგი (34. ამბროზინი) – კასანო (62. ემანუელსონი), პატო.

გოლები: 0:1 პატო, 1:1 პედრო (36), 2:1 ვილია (50), 2:2 სილვა (90)

გაფრთხილება: ვილია, ალვეში, პუიოლი - ვან ბომელი, ნესტა

კუთხური: 11-2; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 14-5 (7-3); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

მაყურებელი: 89 861

არბიტრი: მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

ვიქტორია – ბატე 1:1

ვიქტორია (4-2-3-1): ჩეხი – რაიტორალი, ჩისოვსკი, ბისტრონი, ლიმბერსკი (78. ტრაპი) – ირჟაჩეკი, ჰორვატი – პეტრჟელა (69. ძურიში), კოლარი, პილარი (88. ჰორა) – ბაკოში.

ბატე (4-2-3-1): გუტორი – ბაგა, ფილიპენკო, შიმიჩი, ბორდაჩოვი - ოლეხნოვიჩი, რუდიკი - ა. ვოლოდკო, ბრესანი (71. კონცევოი), გორდეიჩუკი (83. მ. ვოლოდკო) - კეჟმანი (75. ალექსი).

გოლები: 1:0 ბაკოში (45), 1:1 შრესანი (68)

გაფრთხილება: კოლარი, პირალი - ოლეხნოვიჩი, ბრესანი

კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-14 (4-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 19 541

არბიტრი: ლორან დუჰამელი (საფრანგეთი)

ნიკოლოზ ნეფარიძე

კუთხური: 6-2; **ჯარიმა:** 25-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19-7 (12-2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

მაყურებელი: 33 820

არბიტრი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

გენკი – ვალენსია 0:0

გენკი (4-3-3): კოტალესი – ნგკონგკა, სიმაეისი, პუდილი, ნადსონი – ბუფელი (85. კამუსი), ტომერი, ჰუბერტი – დუგარი, ვოსენი (79. ბარდა), ნვანგანგა (63. ოგუნჯიმი).

ვალენსია (4-2-3-1): დ. ალვეში – მიგელი, რუისი, რამი, მატო – ბანეგა, ტოპალი – პიატი (79. კანალესი), ფეგული (69. პ. ერნანდესი), პარეხო (74. ადურისი) – სოლდადო.

გაფრთხილება: ბუფელი, პულიდი - ბანეგა

კუთხური: 5-7; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 8-18 (4-6); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

მაყურებელი: 20 218

არბიტრი: ტომას აინვალერი (ავსტრია)

F ჯგუფი

ბორუსია (დ) – არსენალი 1:1

ბორუსია დ. (4-2-3-1): ვაიდენფელერი – პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, კელი (68. ბლაშჩიკოვსკი) – გიოტცე, კაგავა (85. ზიდანი), გროსკროიცი (69. პერიშიჩი) – ლევანდოვსკი.

არსენალი (4-4-2): შჩესნი – სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი – არტეტა, სონგი, ბენაიუნი, უოლკოტი (77. ფრიმპონგი) - ჟერვინიო (86. ანდრე სანტოსი), ვან პერსი (85. შამახი).

გოლები: 0:1 ვან პერსი (42), 1:1 პერიშიჩი (88)

გაფრთხილება: შმელცერი, ბენდერი - სანია

კუთხური: 6-4; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 15-5 (7-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

მაყურებელი: 65 590

არბიტრი: ჯანლუკა როკი (იტალია)

ოლიმპიაკოსი – მარსელი 0:1

ოლიმპიაკოსი (4-2-3-1): კოსტანცო – ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მელბერგი, ჰოლებასი – ფეისა (66. მაკუნი), მოდესტო – ფუსტერი (67. იბაგასა), იესტე (55. ჯებური), აბდუნი – მირალიაში.

მარსელი (4-3-3): მანდანდა – ასპილიკუეტა, დიავარა, ნკულუ, ტრაორე – ლუჩო გონსალესი (76. კაბორე), დიარა, შეირუ (81. ფანი) – ამალფიტანო, მორელი, რემი (68. ჯ. აეუ).



შონ ნიუტონი

ელვის ჰემონდი



გარი ო'კონორი

სკანდალი

ერთვნული ბიბლიოთეკა

ნისლიანი ალბიონი აფეთქების მოლოდინში

პოპულარულმა ბრიტანულმა მაუწყებელმა "მეოთხე არხმა" ორშაბათს საღამოს მაყურებელს სკანდალური საგამოძიებო გადაცემა შესთავაზა. ჟურნალისტებმა საფეხბურთო ასოციაციას ძველი საქმეები ამოუქექეს. აღმოჩნდა, რომ ეს ორგანიზაცია ინგლისში მოთამაშე ათობით ფეხბურთელს, მათ შორის პრემიერლიგელებს, აფარებდა ხელს, როცა არ აქვეყნებდა მათი ტესტების დადებით შედეგებს კოკაინზე, ექსტაზსა და კანაბისზე. სატელევიზიო პროგრამის ავტორებმა რამდენიმე ათეული შემთხვევა დაასახელეს, როცა მსგავსი საქმეები იჩქმალებოდა. ყველას ვინაობა ჟურნალისტებსაც არ დაუსახელებიათ, მაგრამ რამდენიმე სახელი და გვარი კი გაჟღერდა. მაგალითად "ბირმინგემის" ყოფილი და ამჟამად "ჰიბერნიანის" ფეხბურთელი **გარი ო'კონორი**.

2009 წლის ოქტომბერში, როცა ფეხბურთელის დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, მას დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ეს ინფორმაცია ხმამაღლა არავის უთქვამს, რასაც შიდა დოკუმენტებში იმით ასაბუთებდნენ, რომ საჭირო იყო ფეხბურთელის რეაბილიტაციისთვის ხელი შეეწყოთ. კლუბმა საზოგადოებას ო'კონორის "ტრავმის" შესახებ აცნობა, იანვარში კი ის "ბარნსლიში" იჯარით გაუშვა. ამ უკანასკნელის გენერალური მენეჯერი **დენ როულინგი** აღშფოთებულია ბირმინგემელი კოლეგების საქციელით, რადგან მისი თქმით, სიმართლე რომ სცოდნოდა, ო'კონორთან კონტრაქტს არასოდეს გააფორმებდა.

მათ შორის, ვინც ნარკოტიკების მიღებაში ამხილეს, "ფულჰემის" ყოფილი შემტევი ნახევარმცველი, განელი **ელვის ჰემონდიც** იყო. მასზე ფეხბურთის სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ფეხბურთელის სისხლში კოკაინი 2003 წლის სექტემბერში აღმოაჩინეს და 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მას შემდეგ პერსპექტიული ნახევარმცველის კარიერა თავდაღმა დაეშვა. ამჟამად 31 წლის განელი სამხრეთი კონფერენციის კლუბ "ვოკინგის" ღირსებას იცავს. სიაში აღმოჩნდნენ ასევე "ქრიუს" ყოფილი ნახევარმცველი **ლოიდ მაგოუენი**, ვინც 2004 და 2005 წლებში სამჯერ ჩავარდა დოპინგტესტზე, ასევე "როჩდეილის" ყოფილი ფორვარდი **ლი ტორპი**. ამას გარდა 2007/10 წლებში აღმოჩნდა 240 საქმე, როცა ტესტი იმ უბრალო მიზეზის გამო არ ჩატარდა, რომ ფეხბურთელები არ გამოცხადნენ, რაც წესების თანახმად ასევე დისკვალიფიკაციის საფუძველია (თუკი ფეხბურთელი სამჯერ უარს იტყვის ტესტის გავლაზე. რედ). ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს ფეხბურთელების მიმართ არაადეკვატურად მსუბუქი სანქციების დაკისრების ფაქტებიც. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია 2006 წლის ინგლისის თასის ფინალის შემდეგ ტესტზე ჩავარდნილი ვესტჰემელი **შონ ნიუტონი**. ფედერაციამ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ ნევრს 7-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაშინ, როცა წესების თანახმად უშუალოდ მატჩის დღეს ჩავარდნილი ტესტისთვის ფეხბურთელს მინიმუმ 2-წლიანი იძულებითი პაუზა ეკითვნის.

ჟურნალისტების ინფორმაციით, საფეხბურთო ასოციაციას სულ 43 დოპინგტესტის საქმე აქვს გასაიდუმლოებული. ყველას სახელი იურიდიული მოსაზრებებით ვერ გაამხილეს, თუმცა როცა ლაპარაკია "ევერტონის", "ნოტინგემ ფორესტისა" და "ტრანმერ როვერსის" ფეხბურთელებზე, სკანდალი რომ ძალიან ხმამაღალი იქნება, ალბათ ორი აზრი არ არსებობს.

ლევან ბიბილაშვილი

ჩელსი

ჩელსი ბორესის წინააღმდეგ

"ლელემ" გუშინდელ ნომერში შეგიმოგთავაზათ მასალა **ფერნანდო ტორესზე**, სადაც ესპანელმა თქვა: *"ჩვენთან ასაკოვანი და შედარებით ნელი მოთამაშეები არიან. ისინი ბურთის დაჭერას ცდილობენ და სწორედ ამის შეცვლას ცდილობენ ახლა გუნდში"*. შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ ინტერვიუ მოგონილია, მაგრამ წყაროს ხომ გააჩნია? ინტერვიუ მას ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ვებგვერდმა ჩამოართვა, შემდეგ კი ფეხბურთელმა ის საკუთარ გვერდზეც გამოაქვეყნა, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მან მსგავსი ფორმულირება მართლა იხმარა. "ჩელსის" თავკაცმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** პირობა დადო, რომ კლუბი ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებს: *"უნდა დავრწმუნდეთ, ინტერვიუში რაც წერია, შეესაბამება თუ არა იმას, რაც მან განაცხადა. შემდეგ შევხვდებით ფერნანდოს და ამ საკითხზე ვიმსჯელებთ. თუკი მან ინტერვიუ კლუბის ნებართვის გარეშე მისცა, ჩვენ მას დავაჯარიმებთ. ვფიქრობ, გუნდში საკმაოდ დიდი კონკურენციაა, თანაც "ასაკის პრობლემა" ნამდვილად არ გვაწუხებს. შეიძლება ამ თემაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ვიცი, რომ ამის შემდეგ ის ჩვენს აზრს გაიზიარებს"*.

"ჩელსიმ" გუშინ სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა. ლონდონელთა შემტევი **დიდიე დროგბა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისთვის გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს. 33 წლის ფეხბურთელს ტვინის შერყევის შემდეგ თავის ტკივილები ჯერ კიდევ აწუხებს. შეგახსენებთ, რომ ივუარელმა ტრავმა 27 აგვისტოს "ნორვიჩთან" 3:1-ზე მოგებულ შეხვედრაში მეკარე **ჯონ რუდისთან** შეჯახებისას მიიღო.

აქვე გეტყვით, რომ "ჩელსიმ" 4-ნლიანი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა რეზერვის ერთ-ერთ ლიდერს, 19 წლის განაპირა ნახევარმცველს **ბილი კლიფორდს**. ფეხბურთელს ძირითად გუნდში ერთი მატჩიც არ.ჩაუტარებია.

ლევან ბიბილაშვილი

lariwin.com
the better way to play

რეპორტაჟების სპონსორი
ონლაინ კაზინო „ლარივინი"

მეტი, ვიდრე თამაში

ვრცლად ბიბლიოთეკა

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ბესიკ ჯანგავაძე ინვერკარგილიდან

● რაგბი. მსოფლიოს თასი

ბოლო ვარჯიში შოტლანდიასთან მატჩამდე

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასზე შოტლანდიის ნაკრებთან თამაშის წინ ბოლო ვარჯიში გამართა. "ბორჯღალოსნებმა" ასპარეზობის არენაზე - "რაგბი პარკ სთედიუმზე" ივარჯიშეს.

ინვერქარგილში ბოლო სამი დღეა გადაუღებლად წვიმს, ქარი ქრის, ძალიან ცივა, რაც საკმაოდ პირქუშ ქალაქს, კიდევ უფრო ჩაჟამებულ და ულაზათო იერს აძლევს. შეხედულება ინვერქარგილზე ვერც სტადიონის ნახვამ გამოგვიკეთა. "რაგბი პარკ სთედიუმი" ერთი პატარა სოფლის არენას მოგაგონებთ, თუმცა ეს ხომ ასეც არის.

ძნელი სათქმელია, რატომ დათანხმდა IRB მსოფლიოს თასის მატჩების ამ სტადიონზე გამართვას. ჩვენი "ავჭალისა" და "შევარდენის სანაკრებო ბაზის" სტადიონები აქაურს თუ არ სჯობს, არც არაფრით ჩამოუვარდება. ერთი სიტყვით, ამას უკვე აღარაფერი ეშველება. თამაშს მოუთმენლად ველით და ამ ქალაქიდან, რაც შეიძლება მალე გვინდა წავიდეთ.

მორაგბებმა ჩვეულებისამებრ ფიზმომზადების მწვრთნელის, **გარეთ ადამსონის** ხელმძღვანელობით ხუთწუთიანი მოთელვა ჩაატარეს, რის შემდეგაც მოედნის სივრცესთან შესაჩვევად რიჩი დიქსონმა გუნდი ორად გაჰყო, ძირითად შემადგენლობას თეთრი მაისურები გადაცვა და ორმხრივი თამაში გააჩალა.

აშკარად ჩანდა, რომ ვარჯიშის მიზანი შეტევის ორგანიზების დახვეწა იყო. რადგან თუ "თეთრები" ბურთს დაჰკარგავდნენ ან შეტევა ფერხდებოდა, დიქსონი თამაშს აჩერებდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ამის შემდეგ, როგორც მატჩისწინა, ეგრეთ წოდებულ კაპიტნის ვარჯიშზეა მიღებული ჯერ დერეფანში ბურთის აგდების შემდეგ იერიშის წამოწყების რამდენიმე ხერხზე იმუშავეს, მერე კი რაკიდან და შერკინებიდან შეტევის გაგრძელების ასევე რამდენიმე ვარიანტი დახვეწეს. ბოლოს მორკინალებმა მოლიც შეკრეს.

ვარჯიშის დასკვნით ფაზაში აქტიურები უკვე მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები იყვნენ. ისინი წინააღმდეგობის გარეშე ისევ შეტევის ორგანიზებას ცდილობდნენ მიმართულების ხშირი ცვლით და მორაგბეების დროული გადანყობის მეშვეობით. ათიოდე წუთის შემდეგ დიქსონმა სათადარიგოები იხმო და ძირითად შემადგენლობაში პირობითი ცვლილებები მოახდინა.

იმათთან კი, ვისაც შოტლანდიის ნაკრებთან თამაში არ უნევთ, გარეთ ადამსონი მუშაობდა. ცალკე, ინდივიდუალურად ივარჯიშა ტრავმირებულმა **ვასილ კაკოვინმა,** რომელიც წესით ინგლისთან მატჩში, რომელიც 18 სექტემბერს გაიმართება, მწყობრში უნდა ჩადგეს.

დაახლოებით, ერთსაათიანი წვრთნის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა და ნაკრების წევრებმა **თედო ზიბზიბაძემ** და **შალვა სუთიაშვილმა** ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

რიჩი დიქსონი:

"მეტოქემ შერკნება გააძლიერა, ჩვენთვის ეს მოულოდნელი არ იყო. ვცდილობთ, ყველა კომპონენტში თანაბრად კარგად ვითამაშოთ, მნიშვნელობა არ აქვს, შერკინება იქნება ეს თუ უკანა ხაზი.

საქართველოში რაგბი პროგრესს განიცდის, ვითარდება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რაგბის მოთამაშეთა რიცხვი გაორმაგდა. ეს კი, ადრე თუ გვიან აუცილებლად მოიტანს კარგ შედეგს."

თედო ზიბზიბაძე:

"ამ მსოფლიოს თასზე თამაში ჩვენთვის დიდი გამოცდილებაა. ჩვენს მოწინააღმდეგეს კი ეს არ აკლია. ამიტომ შოტლანდიას ისე უნდა ვეთამაშოთ, რომ ერთი შეცდომაც არ დავუშვათ. ვფიქრობ, საამისოდ მზად ვართ."

შალვა სუთიაშვილი:

"მსოფლიოს თასზე პირველად ვთამაშობ, ამისთვის ოთხი წელი ვემზადებოდი. ჩვენს ნაკრებებს შორის დონეთა სხვაობა დიდი არ არის. ჩვენს გუნდს ჰქონდა რამდენიმე სერიოზულ მეტოქესთან შერკინების საშუალება, შოტლანდიის ნაკრებთანაც აქამდე ორჯერ გვითამაშია."

დღე საქართველოს ნაკრებისთვის საინტერესოდ დასრულდა. ის იყო "ბორჯღალოსნები" სავახშმოდ ემზადებოდნენ, რომ სასტუმროს ქართველი გულშემატკივრები მოადგნენ. მართალია, სულ ოთხნი იყვნენ, მაგრამ მათი სტუმრობა ქართველი მორაგბეებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. სამი ქომაგი ინვერქარგილს სიდნეიდან ეწვია, ერთიც თურმე ოქლენდში ცხოვრობს. საქართველოდან 13 წლის წინათ წამოსულა.

"ინვერქარგილი ახალი ზელანდიის მასშტაბითაც კი ქვეყნის დასალიერშია, ვიცოდით, რომ ჩვენს ნაკრებს ქომაგები ვერ ჩამოაკითხავდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ ავსტრალიიდან სწორედ აქ ჩამოვსულიყავით, რათა "ბორჯღალოსნებისთვის" ქომაგობა არ მოგვეკლო. ისე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძალიან ბევრი ახალზელანდიელი ქომაგობს ჩვენს ნაკრებს. სოციალური ქსელების მეშვეობით დავადგინეთ, რომ ინვერქარგილის შემოგარენიდან უამრავი გულშემატკივარი ჩამოვა საქართველოს ნაკრების საქომაგოდ.

ინვერქარგილის შემდეგ გუნდს დანიდინშიც გავყვებით და მერე ავსტრალიაში უნდა დავბრუნდეთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჯგუფიდან გავლენ, რის შემდეგაც ოქლენდში მოუწევთ თამაში და, ამ შემთხვევაში, იქაც ჩავაკითხავთ" – თქვეს ჩვენებურებმა.

შეგახსენებთ, რომ თამაში თბილისის დროით 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

საქართველო-შოტლანდია

საქართველო: **15. რეზო გიგაური, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ვახტანგ მაისურაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმა ბასილაია.**

16. აქვსენტი გიორგაძე, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. გიორგი ჩხაიძე, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ლაშა ხმალაძე, 22. მალხაზ ურჯუკაშვილი.

შოტლანდია: **15. რორი ლამონტი, 14. მაქს ევანსი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. გრემ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. დენ პარქსი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალან იაკობესნი, 2. სკოტ ლაუსონი, 3. ევან მურეი, 4. ნათან ჰაინსი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ალი სტროკოში, 7. როს რენი, 8. კელი ბრაუნი.**

16. როს ფორდი, 17. ჯოფ კროსი, 18. ალასდაირ დიკინსონი, 19. რიჩი გრეი, 20. რიჩი ვერნონი, 21. კრის კაზიტერი, 22. კრის პატერსონი.

მსაჯი: **ჯორჯ კლენსი (ირლანდია).**

14 სექტემბერი

სამოა-ნამიბია 06:30
ტონგა-კანადა 09:00

ავტორის ფოტო

რუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

● მეტროკეები

გონსალო ტიესი

კორტნი ლუისი ორი კვირით მოკვეთეს

კორტნი ლუისი

ინგლისის ნაკრების მეორეხაზელი **კორტნი ლუისი** მსოფლიოს თასის დისციპლინარულმა კომიტეტმა ორკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. შაქმის ვიდეომასალის განხილვისას აღმოჩნდა, რომ ის არგენტინის ნაკრების შერკინების კვაჭ **მარიო ლედესმას** განზრახ ბინძურად ეთამაშა, რის გამოც არგენტინელმა მძიმე ტრავმა მიიღო.

ამრიგად, ინგლისელთა მეორეხაზელი მსოფლიოს თასის გათამაშებაში ორ მატჩს გამოტოვებს. ის "პომებს" საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებთან დაპირისპირებაში ვერ დაეხმარება.

არგენტინას კონტეპომი და ტიესი დააკლდებიან

არგენტინისა და ინგლისის ნაკრების მატჩში "პუმებს" ორი წამყვანი მოარაგე დაუშავდა. გუნდის ცხრა ნომერმა და კაპიტანმა **ფელიპე კონტეპომიმ** ნეკნები დაიზიანა, თუმცა მხოლოდ 17 სექტემბერს რუმინეთის ნაკრებთან გასამართ მატჩს გამოტოვებს.

გაცილებით მძიმე აღმოჩნდა შუამარბ **გონსალო ტიესის** ტრავმა. ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობას ვეღარ შეძლებს და მის ნაცვლად "პუმების" თავკაცმა **სანტიაგო ფელანმა** გამოცდილი **ლუკას ბორხესი** იხმო. ეს ის ბორხესია, 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრებს ორი ლელო რომ გაუტანა. როგორც ჩანს, ლუკასს კიდევ ერთხელ მოუწევს "ბორჯღალოსნებთან" დაპირისპირება.

აღსანიშნავია, რომ ტიესს ტრავმა ინგლისელთა მეორეხაზელმა **კორტნი ლიუსმა** მიაყენა. ის დისკვალიფიცირებულია, თუმცა სრულიად სხვა დანაშაულის გამო.

"ძალიან დიდი შრომა გავწიე, რომ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასზე მოვხვედრილიყავი. სამწუხაროდ, ნაადრევად მომიწია ტურნირიდან გამგზავრებამ. არავის ზე ვბრაზობ, ვფიქრობ, იმ 35 წუთის განმავლობაში, რაც მოედანზე ვიყავი, ყველაფერი გავაკეთე ჩემი გუნდისთვის" - თქვა გონსალო ტიესმა.

ამასობაში კი ფელანმა რუმინეთთან სამატჩო განაცხადი გამოაქვეყნა. გონსალო ტიესის ნაცვლად მან ძირითად შემადგენლობაში **ლუკას გონსალესი** დააყენა. კონტეპომის ადგილს მგეზავის პოზიციაზე სანტიაგო ფერნანდესი დაიკავებს, რომელიც აქამდე შუამარბად თამაშობდა. მის პოზიციას კი **მარსელო ბოსხი** შეავსებს.

არგენტინის ნაკრები: 15. ლუკას გონსალესი, 14. გონსალო კამაჩო, 13. მარტინ როდრიგესი, 12. მარსელო ბოსხი, 11. ორასიო აგუსა, 10. სანტიაგო ფერნანდესი, 9. ნიკოლა ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. მარიო ლედესმა, 3.ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო, 7. ხუან მანუელ ლეგუსამონი, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.

16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. მარიანო გალარსა, 19. ალექსანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლალანე, 21. ნიკოლა სანჩესი, 22. ხუან იმპოფი.

ევრობანკირი დამზადებულია პროექტის – „ადამიანის უფლებების დაცვა ევრ/მიდხის კონტექსტში" ფარგლებში. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი. ევრობანკირის შინაარსზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი". მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ევროკავშირს.

BEMONI PUBLIC UNION

ამაზე ყველას თანაბრად გვათბობს...

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით"

www.aidsrights.ge

ევრობანკირი

ადამიანის უფლებების დაცვა ევრ/მიდხის კონტექსტში

პროექტის ფარგლებში ევრობანკირი ორგანიზებას უწევს ორ ტრენინგს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული მექანიზმების შესახებ. ტრენინგებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ადვოკატებს, ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს, ასევე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ტრენინგების ფარგლებში ევრობანკირი ორგანიზებას უწევს ორ ვიზიტს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოში, სადაც მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადვოკატებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.

ევრობანკირი

ადამიანის უფლებების დაცვა ევრ/მიდხის კონტექსტში

პროექტის ფარგლებში ევრობანკირი ორგანიზებას უწევს ორ ტრენინგს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული მექანიზმების შესახებ. ტრენინგებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ადვოკატებს, ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს, ასევე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ტრენინგების ფარგლებში ევრობანკირი ორგანიზებას უწევს ორ ვიზიტს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოში, სადაც მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადვოკატებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.

გეზგვერდი

გთავაზობთ უფასო კონსულტაციას ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და ჯანმრთელობის საკითხებზე on-line რეჟიმში.

სპეციალისტის კონსულტაციის მიღება შეუძლიათ აივ ინფიცირებულებს, შიდსით დაავადებულებს და ყველას, ვისაც ეს პრობლემა შეეხო.

ფორუმი - შეგიძლიათ გაუზიაროთ ერთმანეთს თქვენი გამოცდილება და შეხედულებები აივ/შიდსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

GH ჯორჯიან ჰაუზი

მომავლის ბინები

იყიდება ბინები და ტომესრული ფასით თბილისში, გუთამიშვილის გამზირზე, იაფად, 12 თვიანი უპროცენტო განვადებით, დაზღვეულ მშენებარე კომპლექსში

მისამართი: გუთამიშვილის გამზირი 12ბ

თბილისი, ვაჟა-ფშაველას №16, ოფისი №1312, ტელ: (995 32) 313208; 313209.

www.ghouse.ge info@ghouse.ge

ქომპანია ალბატროსი

ფირმა COMMERLING-ის და SALAMANDER-ის ოფისიანური დისტრიბუტორი საქართველოში

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

სამმაგი შუშით, მხოლოდ ჩვენთან

თალები, ვიტრაჟები, მინა-პაკეტები

ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მაკაბონი, ჭითელი ხე და კაკალი, NUSSBAUM

ჩვენი პროფილი 5-კამერიანია 76 მმ სამონტაჟო სისქით

მის: წერეთლის 141 (M „დიდუბის" გვერდით)

35 47 47; 34 49 40; 599 90 20 91; 599 30 22 90; ფაქსი: 35 13 13

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

● საქართველოს ნაკრების დაბრუნება

თბილისშიც საყვირებით

საქართველოს ნაკრები ლიტვაში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან სამშობლოში დაბრუნდა, ევრობასკეტიდან, რომელზე მოხვედრასაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არაერთი ნიჭიერი თაობა ცდილობდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. **ზაზა ფაჩულიას** კაპიტნობით კი ეროვნულმა გუნდმა ევროპის უმთავრეს ფორუმზე დებიუტანტის კვალობაზე ბევრისთვის მოულოდნელად პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა და 12 საუკეთესოს შორის მოხვდა.

თვითმფრინავში მეგობარ ჟურნალისტს **გიორგი ცინცაძის** თანდასწრებით ვუთხარი - შემდეგი ევრობასკეტისთვის ისე გავთვალოთ, რომ მესამე ეტაპზეც დავრჩეთ-მეთქი. ცინცაძემ **ლაშა გამყრელიძეს** ხუმრობით უთხრა - ხედავ, ჟურნალისტები მაინც უკმაყოფილოები არიან, მეოთხედფინალში გასვლას გვთხოვდნენო.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების გამოსვლით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. კარგად მახსოვს, თუნდაც შარშან ბევრს არ სჯეროდა, რომ ქართველები შინ პოლონეთს დაამარცხებდნენ. თუმცა ჩვენმა გუნდმა მაშინაც დაამტკიცა, რომ ის დრო დასრულდა, როცა ევროპაში აუტსაიდერად ვითვლებოდით. ჩვენი გუნდი ევრობასკეტზე საბერძნეთთან, მაკედონიასთან, სლოვენიასთან და რუსეთთან ბოლო წუთებზე დამარცხდა, მაგრამ ყველამ დავინახეთ, რომ თითოეულის ძლევის შნო ნამდვილად გვქონდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრები ელიტის ღირსეული ნანილია.

ჰოდა, ლოგიკურია, რომ ევრობასკეტიდან თბილისში დაბრუნებულ გუნდს აეროპორტში უამრავი ქომაგი დახვდა. როგორც ლიტვის დარბაზებს, გულშემატკივრებმა ქართული საყვირებით ჭერი აეროპორტსაც ახადეს. ისინი ესალმებოდნენ კალათბურთელებს, ავტოგრაფებს ართმევდნენ და სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ.

მომქანცველი მარათონიდან დაბრუნებულმა მოთამაშეებმა კიდევ ერთხელ იგრძნეს, რომ საქართველოსთვის დიდი საქმე გააკეთეს. ისინი გულშემატკივრებს მადლობას უხდიდნენ როგორც ლიტვაში ქომაგობისთვის, ასევე დახვედრისთვის.

- რთული იყო ერთმანეთის მიყოლებით რვა მატჩის ჩატარება. ასეთი გრაფიკით ჯერ არ გვითამაშია, მაგრამ ევრობასკეტ ზე გამოვდიოდით და ადრე თუ გვიან ასეთი სისტემით თამაშიც უნდა გამოგვეცადა. რაც მთავარია, არც ერთი მეტოქისთვის მიგვიცია იოლად მოგების შანსი, პირიქით, ნაგებული მატჩების უმეტესობა ბოლო წუთებზე დავთმეთ. დებიუტანტების კვალობაზე ურიგოდ არ გვითამაშია. მთავარია, რომ ახალგაზრდებმაც დაინახეს - ქართველებს ევროპაზე თამაში შეგვიძლია, რაც მათ სტიმულად უნდა გამოადგეთ, - აღნიშნა **მანუჩარ მარკოიშვილმა.**

გიორგი შერმადინი დაგვპირდა, რომ გუნდი ყველაფერს გააკეთებს ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად:

- ლიტვაში ძლიერ გუნდებს ვეთამაშეთ და დიდი გამოცდილება მივიღეთ. ბევრი რამ ვისწავლეთ, რაც მომავლისთვის აუცილებლად წავგადგება. მომავალ წელს შესარჩევი ტურნირია, შემდეგ ევრობასკეტი, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ სლოვენიაში გასამართ ევროპის 2013 წლის ჩემპიონატს არ გამოვაკლდეთ.

აეროპორტიდან გამოსული კალათბურთელები მანქანებში დანაწილდნენ და შინისკენ გასწიეს. საქართველოში მხოლოდ **მარკიზ ჰეინსი, ლაშა ფარლალავა** და **ვლადიმერ ბოისა** არ ჩამოსულან. მარკიზმა ესპანური „გრან კანარიისკენ“ გასწია, ბოისამ - სლოვენიისკენ, ხოლო ფარლალავა ბალტიისპირეთში დარჩა, სადაც მისი „სოხუმი“ შეკრებას გადის.

საქართველოში ჩამოსული ნაკრების წევრები 3-4 დღეში აიღებენ გეზს დასავლეთისკენ და საკუთარ კლუბებს მიაშურებენ. რაც შეეხება გიორგი ცინცაძეს, იგი ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში 18 სექტემბერს გაფრინდება და 20-ში მუხლის ოპერაციას გაიკეთებს.

ვაჟა სიმონიშვილი
ვილნიუსი-თბილისი

● ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

ოთხიდან ექვს თვემდე...

მაკედონიასთან მატჩის მე-17 წუთზე გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** მეტოქის კალათისკენ დაიძრა, თუმცა იგი წესების დარღვევით შეაჩერეს და სერიოზული ტრავმაც მიიღო. გიორგი თანაგუნდელებმა ხელში აყვანილი გაიყვანეს. ექიმებმა კი დაუდგინეს, რომ ოპერაცია სჭირდება.

საქართველოს ნაკრები სერბეთი-თურქეთის მატჩს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. სწორედ ამ დროს ჩავწერეთ გიორგი ცინცაძესთან ინტერვიუ. თავდაპირველად ტრავმის შესახებ ვკითხეთ.

- სერიოზული დაზიანებაა, მუხლის წინა ჯვარედინი მყესი არის გაწყვეტილი, რომლის აღდგენაც ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს. ოპერაციის შემდგომი პერიოდისთვის კი 4-დან 6 თვემდეა საჭირო. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად წარიმართება რეაბილიტაცია.

- ტრავმა მაკედონელთან დაჯახების შედეგია, თუ მანამდეც იყო წინა პირობა?

- მანამდე მუხლზე პრობლემა არ მქონია. უბრალოდ, მატჩისას იმდენად შემიბრუნდა, რომ მყესი გამიწყდა. ვერ ვიტყვი, მეტოქის ბრალი იყო-მეთქი, მუხლზე არ დამჯახებია.

- ოპერაციას ლიტვაში გეგმავ?

- კაუნასში 20 სექტემბერს ცნობილი სპეციალისტი გამიკეთებს ოპერაციას - კლეიზას, მაჩიულისის, კაუკენასისა და სხვა ცნობილი კალათბურთელების ექიმი. საკმაოდ კვალიფიცირებული სპეციალისტია, მირჩიეს და მეც გადავწყვიტე, ოპერაცია ლიტვაში გავიკეთო. რეაბილიტაციის პერიოდსაც აქ გავივლი. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და მადლობას მოვახსენებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელიც ოპერაციისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო ყველა ხარჯს საკუთარ თავზე იღებს.

- ახლა საქართველოს ნაკრების ევრობასკეტზე გამოსვლას შევეხოთ.

- გუნდის მიერ ნაჩვენები თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ნაკრები საუკეთესო 12 გუნდს შორის მოხვდა. ეს დებიუტანტისთვის დიდი მიღწევაა. ვერ ვიტყვი, რომ მეორე ჯგუფურ ეტაპზე შემთხვევით მოვხვდით და ეს სხვისი დამსახურება იყო. პირველ რიგში, ეს ჩვენი დამსახურებაა, ორ მატჩში (უკრაინასთან და ბელგიასთან) ეფექტურად გავიმარჯვეთ. ფავორიტებთან, რუსეთთან და სლოვენიასთან ბოლო წამებამდე ვიომეთ და მეორმოცე წუთამდე ვერავინ იტყოდა, საქართველო წააგებდა თუ მოიგებდა. საერთო ჯამში სპეციალისტებიც ამბობენ, რომ ევრობასკეტზე კარგი კალათბურთი ვითამაშეთ.

- არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე დებიუტანტ გუნდთან გვაქვს.

- ევროპის ჩემპიონატზე პირველად მოვხვდით და შესაძლოა, ცოტას ვნერვიულობდით კიდეც. წლეულს დიდი გამოცდილება მივიღეთ და ვფიქრობ, თუ შემდეგშიც მოვხვდებით მსგავს ფორუმზე, გაცილებით უკეთესად და დამაჯერებლად ვითამაშებთ.

- განსაკუთრებით ეფექტურად უკრაინასთან გაისარჯე...

- იმ მატჩშიცა და საერთოდაც, გუნდური კალათბურთი ვუჩვენეთ და ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მე გამოვირჩეოდი უკრაინასთან. უბრალოდ, მეტი ქულა ჩავაგდე (14).

- თან, იმ მომენტში, როცა მატჩის ბედი წყდებოდა...

- სხვადასხვა დროს სხვადასხვა კალათბურთელს მოჰქონდა სარგებელი. - ხან მანუჩარ მარკოიშვილი იყო საუკეთესო, ხან ზაზა ფაჩულია, ხან ვიქტორ სანიკიძე... სწორედ ესაა გუნდური თამაშის შედეგი. როგორც უკვე ვთქვი, დიდი გამოცდილება მივიღეთ, რაც სამომავლოდ ძალიან გამოგვადგება.

ვაჟა სიმონიშვილი

● სულ ახალი ბაზრობა 11-25 სექტემბერი

ქართული ბრიოს გამარჯვება

სექტემბრის სუპერტურნირს დაუმარცხებლად 6 სუმოისტი ლიდერობს, 3 ფავორიტი და 3 რიგითი მაეგაშირა. მათ შორის ყველაზე დაბალი რანგის **კოკაია** (**ლევან ცაგურია**), რომელიც ახლახან დაბრუნდა უმაღლეს დივიზიონში. 30 წლის „შავი ზღვა“ ჯერაც ბეჭდაუდებელია აკი ბაშოზე. გუშინ მან ხერხით აჯობა **კიმურაიამას**. დღეს კოკაი მე-13 მაეგაშირა **ტამასუკას** (1-2) ხვდება.

გუშინ ჩვენი დღე იყო: კოკაის დაწყებული სერია წარმატებით განაგრძო **გაგამარუმ** (**თეიმურაზ ჯუღელი**) და დაასრულა **ტორინოშინმა** (**ლევან გორგაძე**). მათ ერთნაირი, 2-1 ბალანსი აქვთ. მოკლედ, ყველაფერი სუპერტურნირზე კარგადაა, ქართული ტრიო ყოჩაღობს.

3 დღეში იმდენი მოულოდნელი ორთაბრძოლა ვიხილეთ, რომელი ჩამოვთვალოთ - განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ოქეკის წარუმატებლობა - ესტონელმა **ბარუტომ** უკვე მეორედ წააგო, ბულგარელმა **კოტოოშუმ** კი - მესამედ. ამასობაში, დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** კვლავაც დაუმარცხებელია, მონღოლმა გუშინ ყოჩაღი მაეგაშირა **ოკინოუმი** დაამარცხა.

III დღე

ჰაკუჰო-ოკინოუმი(უვატენაგე), ჰომაშო-კოტოოშუ (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ვაკანოსატო (იორიკირი), იოშიკაძე-ბარუტო (იორიკირი), ტოჩიოძანი-კაკურიუ (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი), კისენოსატო-ტოიოშომა (ცუკიდაში), **ტორინოშინი**-ტაკეკაძე (იორიკირი), ტოკიტენკუ-მიაბიამა (ცუკიოტოში), გოეიდო-ფუჯიაზუმა (ჰიკიოტოში), ვაკაკიოუ-ტაკაიასუ (ჰიკიოტოში), ტამავაში-ტოჩინოვაკა (ცუკიოტოში), კაისეი-საგაცუკასა (ოშიდაში), კიოკუტენშო-ტოიოჰიბიკი (უვატენაგე), კიტატაიკი-მასუნოიამა (უვატენაგე), **გაგამარუ**-ტოსაიუტაკა (იორიკირი), ამინიშიკი-ტამავაში (იორიტაოში), ასასეკირიუ-შოტენრო (უვატეჰინერი), იოშიაზუმა-დაიდო (ცუკიოტოში), ჰორიამა-ტაკანოიამა (იორიკირი), **კოკაი**-კიმურაიამა (ჰატაკიკომი).

საბურნირო მდგომარეობა

3-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), **კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **კისენოსატო** (სეკივაკე), **კიოკუტენჰო** (მაეგაშირა 10), **ამინიშიკი** (მ 12), **კოკაი** (მ 16)... **2-1: ტოჩინოშინი** (მ 4), **გაგამარუ** (მ 11).

IV დღე

ჰაკუჰო-ვაკანოსატო, ჰარუმაფუჯი-ჰომაშო, ბარუტო-ოკინოუმი, კოტოშოგიკუ-იოშიკაძე, კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე, კისენოსატო-არანი, კაკურიუ-ტოიონოშიმა, ტოჩიომძანი-გოეიდო, ტოკიტენკუ-ტაკაიასუ, **ტოჩინოშინი**-ვაკაკიოუ, მიაბიამა-ტოიოჰიბიკი, ტოჩინოვაკა-მასუნოიამა, ფუჯიაზუმა-კაისეი, საგაცუკასა-კიტატაიკი, ტამავაში-კიოკუტენჰო, **გაგამარუ**-იოშიაზუმა, ასასეკირიუ-ტაკანოიამა, ამინიშიკი-დაიდო, შოტენრო-კიმურაიამა, **კოკაი**-ტამაასუკა, ტოსაიუტაკა-ჰორიამა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

კლასიკური ნარუმაჭებლობის დღე

ჩვენი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის თუ პირველი დღე წარმატებული იყო მანუჩარ ცხადაიას (66) მიერ მოპოვებული ვერცხლის მედლის გამო, გუშინდელი სრული კრახით დასრულდა. სამი მოჭიდავისგან ორი პირველივე წრეში დამარცხდა, სანუგეშომდე ვერც ერთი ვერ მივიდა, აღარც მედალი და აღარც ლიცენზია - ასეთი მწარე რეალობა დაფიქსირდა გუშინ სტამბოლის „სინან ერდენ არენაზე“... ჩვენებს რთული წილისყრა კი ერგოთ, მაგრამ მარტივი ჭეშმარიტებაა - ძლიერთან მოგების გარეშე ვერასოდეს გახდები ჩემპიონი.

გუშინ ტურნირზე ქართული გუნდიდან ევროპის ნლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და ახალგაზრდებში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **შოთა გოგისვანიძე** (120) ჭიდაობდნენ. მათგან ბოლო ორი პირველივე წრეში გავარდა - გეგეშიძე ფრანგ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **მელონინ ნოუმონვისთან** ორ პერიოდში დამარცხდა, გოგისვანიძემ კი ირანელ **ბაშირ ასგარ ბაბაჯანზადეჰ დარზისთან** ასევე ძირითად დროში წააგო. ამ დუეტიდან გეგეშიძის საბოლოო ბედი მალევე გაირკვა - ფრანგმა მომდევნო შეხვედრა ხორვატ მსოფლიოს პრიზიორ **ნენად ზუგაისთან** დათმო და ჩვენებურიც დაეშშვიდობა შეჯიბრებას. გოგისვანიძე ერთხანს კი იმედოვნებდა სანუგეშოში გადასვლას, რადგან ირანელი წინ მიიწევდა, მაგრამ მეოთხედფინალში ისიც დამარცხდა შეუჩერებელ კუბელ **მიჯაინ ნუნეს ლოპესთან**. ამ წონებზე საუბარს ერთი შენიშვნით დავამთავრებთ: ნაკრების მწვრთნელმა **ბეგი დარჩიამ** მძიმე წონაში სავსებით ლოგიკური საკადრო ცვლილება განახორციელა გოგისვანიძის დაყენებით, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, იგივე 84-შიც გაეკეთებინა და მსოფლიოზე ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობის კიდევ ერთი გამარჯვებული **რევაზ ნადარეიშვილი** წაეყვანა? იქნებ დიდი შედეგებით არც იმას გავეხარებინეთ, მაგრამ გამოცდილებას მაინც მიიღებდა და საოლიმპიადოდ წონაში ადაპტაციაც გაუადვილდებოდა. გეგეშიძემ თავისი შანსი ვერც წინა წლებში გამოიყენა, ბოლო თვეებში ტრავმებიც ხანგრძლივად სტანჯავდა და ვერც ამ მსოფლიოსთვის მოსამზადებელი ციკლის ტურნირებში გამოიჩინა თავი, ნადარეიშვილმა კი ახალგაზრდულ პირველობაზე კარგად იჭიდავა.

ერთადერთი შეხვედრა ლაშხმა მოიგო, რომელსაც უძნელესი წილისყრა ერგო. პირველ შეხვედრაში ბედმა იაპონელი მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **რუიტარო მაცუმოტო** არგუნა, ვისთანაც შარშან მსოფლიოზე წააგო. ამჯერად ლაშხი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და 4:0; 1:0 იმარჯვა. მეორე წრეში კიდევ უფრო ძლიერი მეტოქე ელოდა - კორეელი **ჯი-ჰიუნ იუნგი** ათენის ოლიმპიადის გამარჯვებული და მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი. თან მაშინ ამ მედლისთვის ბრძოლაში სწორედ ლაშხი დაამარცხა. სიმართლე გითხრათ, თავიდანვე გვეშინოდა, ჩვენებურს ის წაგებები დაუძლეველ ფსიქოლოგიურ ტვირთად არ დასწოლოდა, მაგრამ იაპონელთან გამარჯვებამ მისი მობილიზების იმედი ჩაგვისახა, თუმცა სულ ამაოდ. ოღონდ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენებურმა არ იბრძოლა, პირიქით, 1:4-ზე წაგებული პირველი პერიოდის შემდეგ საკუთარ თავში იპოვა ძალა და მეორე 2:0 მოიგო, რითაც შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. სამწუხაროდ, მეტი ვეღარ შეძლო და გადამწყვეტი ორწუთეული 0:2 დათმო. სანუგეშოში გადასვლის შანსი ლაშხსაც რჩებოდა, რადგან კორეელმა სერბი ევროპის პრიზიორი **დავორ სტეფანეკიც** დაამარცხა (მანამდე სერბმა ევროპის ორი ჩემპიონი გამოთიშა შეჯიბრებიდან - რუმინელი **ეუსებიო დიაკონუ** და ფინელი **იარკკო ტაპანი ალა-ჰუიკუ**) და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ურთულეს სამსეტიან შერკინებაში დამარცხდა გივი კარტოზიას სახელობის წლევანდელი ტურნირის ირანელ გამარჯვებულთან და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ **ომიდ ნოროოზისთან**. ირანელმაც გვარიანი ბადე გაიარა - ნაკლებად ცნობილი უკრაინელის გარდა რუსი **ზაურ კურამაგომედოვი** და ჩინელი **იან ჩენი** დაჯაბნა. ჩინელი ლიდერებს არ მიეკუთვნება, თუმცა მასპინძელ ევროპის პრიზიორ **მუსტაფა საგლამთან** ჩინებულად იბრძოლა - არა მხოლოდ მეტოქესთან, მსაჯებთანაც (აქ მისმა მწვრთნელმაც ფრიად იყოჩაღა) და გამარჯვება ხელიდან წაჰგლიჯა. ირანელმა ფინალიც ჩინებულად ჩაატარა ყაზახ **ალმატ კებისპაიევთან**, მსოფლიოს შარშანდელ ბრინჯაოს მედალოსანთან. ეს შეხვედრა ფრიად საინტერესო და სანახაობრივი აღმოჩნდა დინამიკურობით, სისხარტით და განსაკუთრებით ჩოქბჯენში კარგი ჭიდაობით, სადაც ორივემ სამაგალითო მომზადება გამოავლინა. ყველაზე დრამატული მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელშიც ორი ლამაზი ფანდით ყაზახი 3:0 დაწინაურდა. ირანელმა მალევე გადაიყვანა ჩოქბჯენში, მერე კარგადაც აქაჩა, წრის კიდემდე მიიყვანა და გარეთ მოისროლა - ის 6:3 დაწინაურდა. ნოროოზიმ იმავეს გაკეთება მოგვიანებითაც სცადა, როცა მეტოქე ჩოქბჯენში ჩაუყენეს - მაშინაც ხალიჩის კიდესთან მიიყვანა, მაგრამ გადაგდება ყაზახმა არ დაანება და იქით დაუხურა. მსაჯმა ქულა თავიდან მაინც ირანელს მისცა, მაგრამ ყაზახთა პროტესტი დააკმაყოფილეს და კებისპაიევმა ანგარიში 5:6 გახადა, თუმცა მეტი ვეღარ შეძლო, საამისოდ დრო არ ეყო. ამდენად, წლეულს თბილისში, კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე“ მსოფლიოს მეორე მოჭავალი ჩემპიონის ჭიდაობა გვინახავს - პირველი **საიდ აბდვალი** იყო, რომელმაც ფინალი ცხადაიას მოუგო. საინტერესო იყო ნოროოზის ქცევა, რომელმაც ჯერ პირქვე დამხობილმა ალაჰს მადლობა შესწირა, მერე კი ირანელთა ტრიბუნასთან მივიდა და ეგზალტირებულ ქომაგს დიდხანს ესალმებოდა.

ამ წონაში ვიდრე ბადის აქეთა მხარეს უმთავრესი ლიდერები ერთმანეთის „სისხლს ღვრიდნენ“, მეორე ნახევარში აზერბაიჯანელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **ჰასან ალიევს** თითქოს წითელი ხალიჩა დაუგეს ფინალისკენ მიმავალ გზაზე - იქით ტიტულოვანი მხოლოდ ყაზახი იყო, მაგრამ მთავარი სენსაციაც იქ მოხდა - ალიევი... ვენესუელელ **ლუის იგნასიო ლინდოსთან** დამარცხდა. ვენესუელელი საბოლოოდ მეხუთეზე გავიდა ანუ უმედლოდ დარჩა, მაგრამ ოლიმპიური ლიცენზია კი მოიპოვა, რაც მისთვის დიდი წარმატებაა.

84 კილოგრამში ფინალამდე ძნელი გზა 21 წლის პოლონელმა **დამიან იანიკოვსკიმ** გაიარა - ნახევარფინალში მასპინძელთა ჯილა, ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის გამარჯვებული, ოლიმპიური პრიზიორი **ნაზმი ავლუჯა** დაამარცხა, მანამდე კი რუს **ალან ხუგაევსაც** აჯობა. 36 წლის ავლუჯას შემართება სანაქებოა, მაგრამ მსაჯებმაც გვარიანად წაუკრეს ხელი. მათ შორის, ბრინჯაოსთვის შეხვედრაშიც ხუგაევთან. პოლონელი ფინალშიც ჩინებულად ჭიდაობდა ბელარუს **ალიმ სელიმაუსთან**, მაგრამ დამატებით დროში ბოლო წამზე დამარცხდა - ბელარუსმა მისი დატრიალება წამის მეასედებით დაასწრო საფინალო სასტვენს. ბელარუსს აქამდე ტიტული არ ჰქონდა, ახლა კი ლონდონის ოლიმპიადაზე მსოფლიოს ჩემპიონის რანგში ჩავა.

მძიმე წონის ფინალი დღის მშვენება გამოდგა. კუბელი ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **მიჯაინ ნუნეს ლოპესი** ლეგენდაა, ხოლო მასპინძელთა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **რიზა კაიალააპი** უდაოდ, წონის მომავალი ლიდერია. ის ახლაც მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე და ალალად გახდა ჩემპიონი. კუბელი ფინალში იმდენად ინერტული იყო, ამ შეხვედრას აუცილებლად მოჰყვება ხმები ჩანყობის შესახებ (მით უფრო, კუბელები ორთაბრძოლების გაყიდვით არიან ცნობილები). თუმცა აქ მხოლოდ იმაზე თუ მივიტანთ ეჭვს, რატომ არ იყო აქტიური კუბელი, თორემ თურქს შრომას ვერ დავუკარგავთ - პირველ პერიოდშიც ალალად დაატრიალა ეს ამხელა კაცი და მეორეშიც დამსახურებული ქულები მიითვალა. პირველ პერიოდში იმ დატრიალების სემდეგ კუბელმა მწვრთნელს თვალი კი ჩაუკრა, აქაოდა, მაინც მოვიგებ, ნუ გეშინიაო, მაგრამ მეორეში ფეხში მოჰკიდა ხელი და ქულითაც დაისაჯა. ბრინჯაო დამაჯერებლად მოიპოვეს ირანელმა და ყაზახმა **ნურმახან ტინალიევმა**, რომელიც ზედიზედ მეორედ დაეუფლა ამ სინჯის მედალს.

ღის სტამბოლში ბერძენ-რომაელთა ბოლო წონის - 74-ის ფალავნები იჭიდავებენ. ჩვენი ბოლო იმედი ოლიმპიური, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველიაა**, რომელიც პირველ შეხვედრას ფინელ **ჰენრი ესკო ვალიმაკისთან** გამართავს. ამ წყვილში გამარჯვებული მომდევნო წრეში ხორვატ **ნევენ ზუგაისა** და ჩეხ **ტომაშ სობესკის** შორის მოგებულს შეხვდება. შეგახსენებთ, რომ კვირკველია შარშანდელ მსოფლიოზე ხორვატთან დამარცხდა.

კვარცხლბეკი

60 კგ. 1. ომიდ ნოროოზი (ირანი); 2. ალმატ კებისპაიევი (ყაზახეთი); 3. ზაურ კურამაგომედოვი (რუსეთი), ივო ანგელოვი (ბულგარეთი); **16. რევაზ ლაშხი (საქართველო).**

84 კგ. 1. ალიმ სელიმაუ (ბელარუსი); 2. დამიან იანიკოვსკი (პოლონეთი); 3. ნაზმი ავლუჯა (თურქეთი), რამი ანტერო ჰიტანიემი (ფინეთი). **32. ვლადიმერ გეგეშიძე (საქართველო).**

120 კგ. 1. რიზა კაიალააპი (თურქეთი); 2. მიჯაინ ნუნეს ლოპესი (კუბა); 3. ნურმახან ტინალიევი (ყაზახეთი), ბაშირ ასგარ ბაბაჯანზადეჰ დარზი (ირანი); **27. შოთა გოგისვანიძე (საქართველო).**

ირაკლი თავაძე

● სასტენდო სროლა. მსოფლიოს ჩემპიონატი

მესტვენდურთა მსოფლიო მარცხი

გელგრადში მიმდინარე მესტენდურთა მსოფლიოს პირველობა დასასრულს უახლოვდება, ჩვენთვის კი გუშინ დამთავრდა. სასანგრე სტენდზე სროლაში ჩვენი ვაჟები სამწუხაროდ, წარუმატებლად გამოვიდნენ - სამეულიდან ფინალში ვერც ერთი ვერ მოხვდა. თანაგუნდელებზე უკეთ გივი შენგელიამ ისროლა, რომელმაც 119 ქულა დააგროვა და 64 ადგილზე გავიდა. მან შეჯიბრების პირველი ნახევარი შედარებით სუსტად ჩაატარა - 25-დან 2-2 სამიზნე დააცილა და 23-23 ქულა დააგროვა. მეორე ნახევარში მიზანი შესამჩნევად გამოასწორა - მესამე სერიაში სულაც ქულათა მაქსიმუმი, 25 დაიმსახურა, მომდევნო ორი კი 24-24-ით დაასრულა. დავით ქვათაძე 118 ქულით 79-ზე გავიდა, პავლე ლაკიამ კი 113 ქულა დააგროვა, რაც 122 მონაწილეს შორის 107-ე შედეგი აღმოჩნდა.

მსოფლიოს ჩემპიონი ესპანელი **ხუან ხოსე არანბურუ** გახდა, რომელმაც ჩინებულად ისროლა - მთელ ტურნირზე მხოლოდ ფინალში გაუფუჭდა ერთადერთი გასროლა. მისმა მდევრებმა, ნორვეგიელმა **ტორე ბროვოლდმა** და ქუვეითელმა **ჯაბდულლაჰ ალრაშიდმა** პირიქით, ფინალში მაქსიმალური შედეგი, 25-25 ქულა დააგროვეს, მაგრამ საკვალიფიკაციოში გაფლანგეს თითო გასროლა. საბოლოოდ სამივეს 149 ქულა დაუგროვდა, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ოქრო ესპანელს დარჩა, ვერცხლი - ნორვეგიელს, ბრინჯაო - ქუვეითელს. შეგახსენებთ, რომ ალრაშიდი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია, პირველი ტიტული კი აწ განსვენებული თბილისელი მწვრთნელის - **თენგიზ მატოიანის** დიდი პროფესიონალიზმით მოიპოვა, რომელმაც ტალანტური მონაცემების, მაგრამ თავისნათქვამა და ჯიუტი შეგირდის ნიჭს სწორი განვითარება მისცა.

ირაკლი თავაძე

● ძალოსნობა

20-წლამდელთა ევროპა


გიორგი ლომთათიძე

რუმინეთის დედაქალაქში 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე გუშინ 69 კილოში შესანიშნავად იასპარეზა ჭაბუკებში 2009 წლის ევროპის ჩემპიონმა **გიორგი ლომთათიძემ** (ქუთაისი), რომელმაც შარშან ახალგაზრდებს შორის აკვრაში ბრინჯაო დაიმსახურა. ბუქარესტის ფიცარნაგზე კი გიორგიმ ორი მედალი მოიხვეჭა. რიონისპირელმა ჭაბუკმა 140 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში გამარჯვებულ დანიელ გოდელის კილოგრამით ჩამორჩა, ხოლო მოლდოველ არტიომ პიპასთან ვერცხლი პირადი წონით დათმო (მეტოქეზე 200 გრამით მეტი აღმოჩნდა) და ბრინჯაოს დასჯერდა.

გიორგიმ აკვრაში ორი ცდა გამოიყენა - 164 და 167 კილოგრამი, 170-კილოგრამიანი შტანგა კი ვერ დაიმორჩილა. ორჭიდში პირადი რეკორდით - 307 კილოგრამით დიდი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენებურს ორჭიდში კილოგრამით აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მოლდოველი პიპა. მართალია, მესამე ცდაზე მან 172 კილოგრამი ვერ აკრა, მაგრამ მე-2 ცდაზე დაძლეული 169 კილო (ამ მოძრაობაში მე-3 ადგილი) საბოლოო ჯამში გასამარჯვებლად საკმარისი აღმოჩნდა. 303 კილოგრამით მე-3 ადგილზე გავიდა აზერბაიჯანელი ფირიდუნ გულიევი, რომელსაც აკვრაში (173) მცირე ოქრო ხვდა. 170 კილოთი ვერცხლი ბულგარელ იუნდერ ბეითულას ერგო. ორჭიდში იგი 301 კილოთი მე-4 იყო. რაც შეეხება ტურნირის რეიტინგფავორიტსა და ატაცაში გამარჯვებულ გოდელის, მან აკვრაში საწყისი წონა - 166 კილო ვერ დაძლია და ორჭიდში შეუფასებელი დარჩა.

69 კგ. 1. არტიომ პიპა-308 (მოლდოვა, 140+168), 2. გიორგი ლომთაძე-307 (საქართველო, 140+167), 3. ფირიდუნ გულიევი-303 (აზერბაიჯანი, 130+173).

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

სამი უდანაკარგოდ

ალგენაშე ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე გუშინ მესამე ტურის პარტიები გაიმართა. გათამაშების ცხრილში მესამე გამარჯვება ჩაიწერეს თანატოლებში კონტინენტის სამგზის ჩემპიონმა **მერი არაბიძემ, ზურაბ ჯავახაძემ** და **თამარ ესაძემ**. ჩვენებურთაგან მეტი უდანაკარგოდ არავინ დარჩენილა. გაუწყებთ ქართველთა გუშინდელი შეხვედრების შედეგებს:

8-წლიანები: თამარ ესაძე-დეფნე სეიდი 1:0, ანა საკოტიჩი-ნინო დარჩიაშვილი 0:1, ნიკოლოზ კაჭარავა-მატვეი პაკი 0:1.

10-წლიანები: ელენე კოსტავა-ანდეა ლოპესი 1:0, ემილია-ფიორენტინა კომანი-გვანცა მარგველაშვილი 1:0; ნიკოლოზ პეტრიაშვილი-დან პოლეგი 0:1, მათე თოდაშვილი-ფრანცისკო ორანტესი 0:1, ლუკა ობოლაძე-სერგი ზიკი 1:0.

12-წლიანები: ნატა ჯიბუტი-თეა გუეჩი 1:0, თეა ჭოლაძე-ანდრეა-ბრიანა სტანკიუ 1:0, მატილდე ჩანგი-ნინო დახუნდარიძე 0:1, ნინო ჯალაღონია-ოლგა მულნიკოვა 0:1; ირაკლი ახვლედიანი-ედუარდ არუთინიანი 0:1, ტონი ლაზოვი-ლუკა ლიჩელი 1:0.

14-წლიანები: სესილ პაუსერნოტინინო ხომერიკი 1:0, ანა შნეგი-მარიამ ჭოლაძე 1:0, კატერინა ბრანკო-მაია მუმლაძე 1:0, სენა იოლალი-ანა თედოშვილი 1:0; სამუელ ნავარეტე-ნიკა ღვამბერია 0:1, ნოე თუთისანი-ალექსანდრ კონსტანტინოვი 1:0.

16-წლიანები: ანა შამათავა-მარია ტანციურა 0:1, ნანი უნაფქოშვილი-ბარბარა ჯურარჩი 0:1, დეა გოგიშვილი-ფილიზ ოსმანოჯა 0.5:0.5, ლიკა კობეშავიძე-ალი როი 0:1; ჰოვანეს გაბუზიანი-ირაკლი ბერაძე 1:0, შალვა ნადირაშვილი-ლარს რინდლისბაჩერი 1:0.

18-წლიანები: მერი არაბიძე-კატარზინა ადამოვიჩი 1:0, მარიამ დანელია-ბარბორა კოლომაზნიკოვა 1:0, ზურაბ ჯავახაძე-მაქსიმ ლაგარდი 1:0.

მე-4 ტურის ორთაბრძოლები დღეს გაიმართება.

ვაჟა დანელია

msy.gov.ge

უცხოური ფეხბურთი

იუვენტუსი

ბუფონმა გალიანის მადლობა გადაუხადა

მოჯის ქება ქვეტექსტით

სერია A-ში "იუვენტუსის" სტარტმა გულშემატკივრებთან ერთად ჟურნალისტებიც მოხიბლა. სწორედ ამად არის, რომ სპორტულ პრესაში ტურინული გრანდის ფეერიულ სტარტზე ძალიან ბევრი იწერება. ვრცელდება კომენტარებიც, განსაკუთრებით კი თვითონ ფეხბურთელები აქტიურობენ, რომლებიც "პარმას" განადგურებამ შესანიშნავ ხასიათზე დააყენა. მაგალითად, ბევრისმნახველი **ჯანლუიჯი ბუფონი** ემოციებს ვერ მალავს და "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტთან საუბარში ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს;

"ბედნიერი ვარ, რომ ახალ სტადიონზე სეზონი შესანიშნავი თამაშით გავხსენით და საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ. მართალია, ეს მხოლოდ პირველი შეხვედრა იყო და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ ჩემპიონატის გამარჯვებით დაწყება მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება. დიდი ხანია "იუვენტუსში" ვთამაშობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი შეკრული და ერთსულოვანი გუნდი ჯერ არ გვყოლია. ცალკე სალაპარაკო თემაა შემადგენლობა, რომელიც გაცილებით ძლიერია, ვიდრე გასულ წლებში. მოკლედ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ მიმდინარე სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ".

ჯანლუიჯი ბუფონმა **ანდრეა პირლოს** შესახებ ცალკე ისაუბრა და "იუვეს" ახალწვეული ქებით ცაში აიყვანა: *"როდესაც ანდრეამ მითხრა, რომ "იუვეში" გააგრძელებდა კარიერას, მაშინვე ღმერთს მადლობა შევწირე. შემდეგ ადრიანო გალიანის შევხვდი სრულიად შემთხვევით და მადლობა გადავუხადე, რომ ჩემპიონატი ბევრად უფრო კონკურენტუნარიანი და დაბალანსებული გახადა. როდესაც პირლოს დონის ფეხბურთელს დაიმატებ და თანაც, სრულიად უსასყიდლოდ, შეგიძლია თამამად თქვა, რომ საუკუნის ტრანსფერი გაჩარხე. მადლობა კლუბის მესვეურებს იმისთვის, რომ სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურეს და ძალიან ძლიერ შემადგენლობას მოუყარეს თავი".*

ჩვეულ სტილიაშია **ლუჩანო მოჯი**, რომელიც მუდმივად აკეთებს კომენტარებს "იუვენტუსის" ასპარეზობის შესახებ. ამჯერად, ლუჩანომ თითქოს შეაქო "იუვე" და ცუდი არაფერი უთქვამს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, მის სიტყვებში მავანთა გაღიზიანების მცდელობა მაინც იკითხება – მოვუსმინოთ მოჯის: *"ყოველთვის ვამბობდი, რომ "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე უნდა ყოფილიყო, რომელიც თავისი საქმის უბადლო მცოდნეა. "იუვეს" უკვე ეტყობა მისი ხელი, რაც "პარმასთან" შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა. ჩემი პირადი აზრით, თუ "ბიანკონერიმ" შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინა, გუნდი მეოთხე-მეხუთე ადგილს უთუოდ დაიკავებს. გასული სეზონის შედეგის გათვალისწინებით, ეს უდავოდ წარმატება იქნება".*

მოკლედ, მოჯიმ აქო და ადიდა კონტე, მაგრამ იქვე ისეთი რამ თქვა, არც კლუბის მესვეურებს მოეწონებოდათ, არც ფეხბურთელებს, არც თავად კონტეს და არც გულშემატკივრებს. მართალია, იგივე ანიელები პრესასთან ყოველთვის ფრთხილ კომენტარებს აკეთებენ, მაგრამ მეოთხე-მეხუთე ადგილი რომ მათი საოცნებო შედეგი არ არის, ეს ცხადზე ცხადია.

ლაშა ნიკლაური

ამბები

ერთვინული ბიბლიოთეკა

ეტოოს თამაშის უფლება არ ჰქონია

მახაჩყალის „ანჟის" კამერუნელ ვარსკვლავ **სამუელ ეტოოს** რუსეთის ჩემპიონატის 22-ე ტურში, „როსტოვის" წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონია, რადგან დაღესტნურმა კლუბმა თამაშამდე ვერ მოასწრო სამუელის დარეგისტრირება, როგორც უცხოელი ფეხბურთელის. თუკი ეს ყველაფერი „ანჟის" დაუმტკიცდა, მაშინ კლუბს ფინანსური სასჯელი და 0:3 ტექნიკური მარცხი ელის. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი 27 აგვისტოს გაიმართა და 1:1 დასრულდა, ეტოომ კი დებიუტი გოლით აღნიშნა.

ჰოლანდიამ ურაკოვი და რედისონი აარჩია

ჰოლანდიის ნაკრებმა უკვე გაიაღდა ევროპის ჩემპიონატის საგზური. ჰოლანდიური ფეხბურთის მესვეურები დროს არ კარგავენ და მათ უკვე შეარჩიეს ბაზა პოლონეთში, სადაც ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას ჰოლანდია ივარჯიშებს და იცხოვრებს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი კრაკოვში დაბანაკდება. **ბერტ ვან მარვიკი** კმაყოფილია სტადიონ „ვისლას" მდგომარეობით და მას იდეალურს უწოდებს. ნიდერლანდელები ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „რედისონ ბლუში" იცხოვრებენ.

ავსტრია უმწვრთნელოდ დარჩა

გუშინ თანამდებობიდან გადადგა ავსტრიის ნაკრების თავკაცი **დიტმარ კონსტანტინი**. ჯერ კიდევ გასულ კვირაში გადაწყდა, რომ მწვრთნელს კონტრაქტს არ გაუგრძელებდნენ, მაგრამ მაშინვე ითქვა, რომ კონსტანტინი შესარჩევი ციკლის ბოლომდე უხელმძღვანელებდა გუნდს. თუმცა 56 წლის მწვრთნელმა გადაწყვიტა, დაესწრო მოვლენებისთვის და გადადგა. ორი წლის წინათ, მან ავსტრიის ნაკრებში **კარელ ბრუკნერი** შეცვალა. 23 მატჩში კონსტანტინის გუნდმა 7 თამაში მოიგო, 3 ფრედ დაასრულა და 13 ააგო.

კასილიასი: ჩემპიონობისთვის სხვა კლუბებიც იბრძოლებენ

„რეალის" კაპიტანი **იკერ კასილიასი** მიიჩნევს, რომ ამ სეზონში ჩემპიონის ტიტულისთვის მხოლოდ ორი კლუბი, „ბარსელონა" და „რეალი" არ იბრძოლებს. *„რეალს" ძალიან გაუჭირდება ყოველ ტურში, ჩვენ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ფინალში",* - განუცხადა „მარკას" იკერმა, რომელმაც არ დააკონკრეტა, კიდევ რომელ კლუბს ძალუძს ესპანური ფეხბურთის გრანდებთან ჭიდილი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერი

გასპერინი ტაქტიკას ცვლის

უფრო სწორად, მორატი

სერია A-ს პირველ ტურში, მილანის "ინტერი" უქულოდ დარჩა, დამარცხდა რა უხვგოლიან შეხვედრაში სტუმრად "პალერმოსთან". ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატის კრახს იტალიურ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, სიცილიელებთან განცდილი მარცხის შემდეგ, **მასიმო მორატი** წყობიდან გამოვიდა და **ჯან პიერო გასპერინის** ტაქტიკის შეცვლას აიძულებს – ანუ, "ინტერი" 3-4-3 სქემიდან, 4-3-1-2-ს დაუბრუნდება. სწორედ ამ ტაქტიკით ათამაშებდნენ გუნდს **ჟოზე მოურინიო** და **ლეონარდო**. ბუნებრივია, მორატი კარტებს არ ხსნის და აცხადებს, რომ სწორედ მთავარი მწვრთნელი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ტაქტიკის შეცვლასთან დაკავშირებით: *"გასპერინის გადასაწყვეტია, შეცვლის თუ არა ტაქტიკას. თუ მაინცდამაინც ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ უნდა შეცვალოს სათამაშო ტაქტიკა. ყველა დამწუხრებული ვართ განცდილი მარცხით, მაგრამ მჯერა, გასპერინი ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ გუნდმა მდგომარეობა მალე გამოასწოროს და სეზონი მაღალ დონეზე ჩაატაროს".*

ჯანპიერო გასპერინი

"ნერაძურის" არგენტინელი ჩამშლელი ნახევარმცველი, **ესტებან კამბიასო** "პალერმოსთან" განცდილი მარცხის შემდეგ გაკვირვებული დარჩა. მან მილანური კლუბის ოფიციალურ საიტს კომენტარი მისცა, რომელსაც აქვე გთავაზობთ: *"პირველივე ტურში ქულების დაკარგვა მეტად არასასიამოვნოა, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია, სადაც ყველაფერი ხდება. "პალერმო" მშვენიერ ფორმაშია. ცუდია, რომ სეზონის სტარტზე სწორედ სიცილიელებს შევხვდით. მთავარია, სწრაფად დავივიწყოთ ეს მარცხი და ჩემპიონთა ლიგაზე გადავერთოთ".*

კამბიასო ყველანაირად ეცადა, რომ განცდილი მარცხის პასუხისმგებლობა გასპერინისთვის აერიდებინა: *"ნამდვილად ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ამ მარცხში გასპერინია დამნაშავე. სეზონი ახალი დაწყებულია და გარკვეული დრო გჭირდება იმისთვის, რომ ფორმაში ჩავდგეთ".*

კამბიასოსგან განსხვავებით, "პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** "ინტერის" წარუმატებელ სტარტს სწორედ "ნერაძურის" დამრიგებელ ჯან პიერ გასპერინის უკავშირებს: *"დარწმუნებული ვარ, "ინტერს" მწვრთნელის შეცვლა ძალიან ძვირად დაუჯდება. თითოეულ მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს, ისეთი გრანდისთვის კი როგორიც "ნერაძურია", ახალ საფეხბურთო ფილოსოფიასთან ადაპტირება მარტივი არ იქნება. აქვე აღვნიშნავ, რომ "ინტერი" "პალერმოსგან" ასეთ თამაშს არ ელოდა, მეტოქის შეუფასებლობა კი, როგორც წესი, ისჯება".*

ლაშა ნიკლაური



არსენალი

ვენგერს დახმარება სჭირდება

"არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ოთხეულისთვის იბრძოლებს, თუმცა პირველად ბოლო წლების განმავლობაში დიდი შანსია, აღნიშნული ტურნირის მომდევნო გათამაშებას დააკლდეს. ასეთ დასკვნამდე მივიდა "მეთოფეთა" ლეგენდა პიტერ სტორი, ფეხბურთელი, ვინც ლონდონურ კლუბში 1961/77 წლებში თამაშობდა და 494 მატჩში 17 გოლი გაიტანა. პიტერი ცნობილი ძირითადად იმით იყო, რომ უხეშობის ზღვარზე თამაშობდა და ხშირად ამ ზღვარსაც არად დაგიდევდათ. მან ინტერვიუ "სანდი მირორს" მისცა. სტორის მოსაზრებებს მონოლოგის ფორმით შემოგთავაზებთ.

პიტერ სტორი არსენ ვენგერს რჩევებს აძლევს

– "არსენალმა" ცუდად დაიწყო და მომეჩვენა, რომ ვენგერი პანიკაში ჩავარდა. მას ეს არ სჩვევია, ასე არ არის? თითქოს მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა. ვგულისხმობ რამდენიმე ისეთ მოთამაშეს, რომელიც მან შეიძინა და ვინც არ არის უმაღლესი კლასის. სესკ ფაბრეგასისა და სამირ ნასრის წასვლის შემდეგ უყურებ გუნდს და ფიქრობ, რომ ის ძლიერი უკვე აღარ არის. დანაკლისია ალმას ვერმაელენის ტრავმაც, რადგან ის არის ერთ-ერთი უკანასკნელი მაღალი დონის შემსრულებელთაგან. პრობლემაა ასევე ჯეკ უილშირის კოჭიც.

უკმაყოფილო ვარ მერტეზაკერისა და ჟერვინიოს ტრანსფერებით. გერმანელი ფიზიკურად დიდია და სულაც არ გამოიყურება მობილურ ფეხბურთელად. ის საჭიროზე ნელია. აშკარაა, მან ძალიან ბევრი საქმე აკეთა გერმანიაში, მაგრამ თუკი ექსტრაკლასის არის, რატომ არავინ შეიძინა აქამდე? მიუხედავად "ბაიერნმაც" კი არ მოისურვა მისი გადაბირება. რაც შეეხება ჟერვინიოს, მას შეუძლია მცველებს გვერდი აუაროს, მაგრამ მისი სხვა შტრიხები უკეთესის სურვილს ტოვებს.

ვენგერს სწორედ დაცვაში ჰქონდა წლების განმავლობაში უმთავრესი პრობლემები. ადამიანებმა სცადეს ეს მისთვის ეთქვათ. თუმცა რაც უნდა იყოს, არ მგონია, დაცვის დაწყობა მისი ძლიერი წერტილი იყოს. ფრანგი უფრო ნახევარდაცვით და თავდასხმით ინტერესდება. მან აუცილებლად უნდა მიიყვანოს გუნდში კაცი, ვინც დაცვაში თამაშზე მასზე მეტი იცის. ვეთანხმები ლი დიქსონს, რომელმაც ვენგერს ურჩია – აიყვანე დაცვის მწვრთნელი, მაგალითად ისეთები, როგორებიც არიან სტივ ბოულდი ან მარტინ კიოუნიო. არსენს სჭირდება კარგი, მყარად ფეხზე მდგარი დაცვა, მით უფრო, რომ ვოიცეხ შჩესნი კარგი მეკარეა.

მე ვიყავი ერთ-ერთ სადილზე, რასაც "ემირეიტსზე" ხშირად აწყობენ ხოლმე და ველაპარაკე დონ ჰიუს (მწვრთნელი, ვინც "არსენალს" 1971 წელს დუბლი, ლიგისა და ასოციაციების თასი მოაგებინა). ის "არსენალის" ბაზასთან ახლოს ცხოვრობს. დავინტერესდი, მისთვის ოდესმე ვინმეს რამე რჩევა თუ უკითხავს. მან ამაზე უარყოფითად მიპასუხა. მერე რა, რომ 70-იანების მწვრთნელია, მას დახმარება მაინც შეეძლებოდა, თუნდაც მინიმალური დატვირთვით ემუშავა.

არ ვარ მომხრე, რომ ვენგერს უნდობლობა გამოვუცხადოთ. მის ნაცვლად ვის მოვიყვანთ? ეს სერიოზული პრობლემა იქნება ხელმძღვანელობისთვის, ასე არ არის? თუკი ისინი არასწორ გათვლას გააკეთებენ, თავს დიდი ხნით გამოუვალ სიტუაციაში ჩაიგდებენ.

დებიუტი

გერმანული გამონაკლისი

პერ მერტეზაკერის დებიუტით ემირეიტსზე კმაყოფილნი დარჩნენ

"არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა გულწრფელად განაცხადა, რომ 26 წლის გერმანელი **პერ მერტეზაკერისთვის** გამონაკლისი დაუშვა, როცა ის აგვისტოს მიწურულს შეიძინა. ჩვეულებრივ შემთხვევაში ფრანგი არ შეიძენდა ფეხბურთელს, ვისი სიმაღლეც 2 მეტრამდეა (ფეხბურთელი 1,98 სმ-ია. რედ.), თუმცა მოძალებულმა საკადრო პრობლემებმა სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. "არსენალმა" "ვერდერს" ფეხბურთელში 10 მილიონი ფუნტი (11,6 მლნ ევრო) გადაუხადა. *"ფეხბურთელში უპირველესად მისი კლასი მაინტერესებს და არა გაბარიტები, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი სათამაშო სტილი ბურთთან ტექნიკურ მუშაობას მოითხოვს, უპირატესობას არცთუ ისე დიდებს ვანიჭებ. მერტე ზაკერისთვის გამონაკლისი დავუშვი, რადგან მას ზღვა გამოცდილება უმაგრებს ზურგს. მის ანგარიშზე ნაკრებში 76 შეხვედრაა, თანაც ჯერ 26 წლისაა და ხალხს ეს რატომღაც ავიწყდება. ვფიქრობდი, იმისთვის, რომ ჩვენს სტილს შეეწყოს, სიჩქარეებს უნდა მოუმატოს-თქო, მაგრამ მან გამაკვირვა. გერმანელმა დაამტკიცა, რომ გუნდში დასამკვიდრებლად ყველა საჭირო მონაცემი აქვს. ის მშვენივრად კითხულობს თამაშს, ესმის თანაგუნდელების და ისიც იცის, რა მნიშვნელობა აქვს კიდევ უკეთ მათთან საერთო ენის გამონახვას. წელს მას ჩემს გუნდში მნიშვნელოვანი როლის თამაში მოუწევს,"* – განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა.

თავად გერმანელი ვარსკვლავი აღფრთოვანებულია ვენგერთან მუშაობით. *"ფეხბურთის სამშობლოში ვითამაშე... ეს ხომ დაუჯერებელია. ვენგერი არაჩვეულებრივი ადამიანია. ვგრძნობ, რომ ბოლომდე მენდობა. ერთმანეთთან დალაპარაკება ჯერ მცირე ხნით მოვახერხეთ. უკვე ვიგრძენი, რომ პრემიერლიგაში ყველაფერი განსხვავებულია, ბურთის ართმევა, მოძრაობა, თამაშის ტემპი,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "ბილდს".

ახალი თანაგუნდელით კმაყოფილია "არსენალის" რუსი ნახევარმცველი **ანდრეი არშავინიც**. აი, რა განუცხადა მან სპორტ ექსპრესს": *"მომწონს ჩვენი ახალწვეულები. მათ კარგად ეხერხებათ პასებით თამაშიც და სწრაფებიც არიან. მერტე ზაკერმა ჩვენი დაცვა აშკარად გააძლიერა. ვწუხვარ, რომ ვერმაელენი ისევ ტრავმირებულია, ამ წყვილს გუნდისთვის ბევრი პრობლემის მოგვარება შეუძლია".*

ტოტენჰემი

რედნაპის კოშმარი

ჰარი რედნაპის თქმით, ევროპის ლიგის თამაშებმა მას თავის ტკივილი დაუმატა. "ტოტენჰემში" ხომ ამჟამად ტრავმების გამო კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი. ლონდონელებს ხვალ სალონიკის პაოკ-თან ელით მატჩი ევროთასზე, უქმეებზე კი "ლივერპულთან" პრემიერლიგის მე-5 ტურის შეხვედრა. რედნაპმა განაცხადა, რომ ის ევროპის ლიგაზე შემადგენლობას იმის მიხედვით დააყენებს, რამდენად რთული შეხვედრა ექნება გუნდს ჩემპიონატში. შესაბამისად, თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნებთან ლონდონელები შესუსტებული შემადგენლობით იქნებიან. "დეზებს" ტრავმის გამო ნამდვილად ვერ დაეხმარებიან **ვილიამ გალასი, მაიკლ დოსონი, ვედრან ჩორლუკა, სტივენ პიენაარი, ტომ ჰადლსტოუნი** და **აარონ ლენონი, რაფაელ ვან დერ ვაარტი** კი ამ ტურნირის განაცხადში უბრალოდ არ არის. "ამას მძიმე სიტუაცია კი არა კოშმარი ჰქვია. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ გუნდს წავიყვან საბერძნეთში. გადაწყვეტილებას ალბათ სამშაბათს მივიღებ. თავის გამოჩენის შანსი შეიძლება ბევრ რეზერვისტს მიეცეს," – თქვა მან და ამის დასტურად გეტყვით, რომ უეფასთვის გაგზავნილ სიაში **ჰარი კეინი, ტომ კეროლი** და **ჯეიკ ლივერმენის** გვარებია შეყვანილი. ამ ფეხბურთელებზე სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ.



რედნაპმა ვან დერ ვაარტი ევროპის ლიგის განაცხადს მილმა დატოვა

"ტოტენჰემის" ჰოლანდიელ შუახაზელს **რაფაელ ვან დერ ვაარტს** გაუკვირდა ჰარი რედნაპის საქციელი, ვინც ის ევროპის ლიგის განაცხადს მილმა დატოვა. ფეხბურთელის თქმით, მწვრთნელი არც კი დაინტერესებულა ფეხბურთელის აზრით, მით უფრო, რომ "მანჩესტერ სიტისთან" მიღებული ტრავმა უფრო მსუბუქი აღმოჩნდა ვიდრე ამას ექიმები ელოდნენ. ჰოლანდიელს 1,5 თვე დასვენებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ის უკვე მზადაა მომავალ უქმეებზე "ლივერპულთან" სათამაშოდ. "ტოტენჰემს" შეეძლება პლეი ოფში გასვლის შემთხვევაში განაცხადში სამი ფეხბურთელი დაამატოს. იმედია, ამ სამ ფეხბურთელში ჰოლანდიელი აუცილებლად მოხვდება.

ამბები

ერთვნული ბიბლიოთეკა



მონაპოს ახალი მწვრთნელი

გუშინწინ გვიან ღამით "მონაკოს" მთავარ მწვრთნელად იტალიელი **მარკო სიმონე** დაინიშნა. აღნიშნული ინფორმაცია პირველად კლუბის ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა. იტალიელმა სპეციალისტმა უკვე გადაწყვიტა, რომ მისი ასისტენტი **ჟან პეტი** იქნება. კლუბი ქვედა ლიგაშიც კი უმძიმეს მდგომარეობაშია, რადგან 6 ტურის შემდეგ 4 ფრე და 2 წაგება აქვს. 4 ქულით მონეგასკები 20 გუნდში მე-18 ადგილზე არიან. შეგახსენებთ, რომ აქამდე გუნდს სათავეში მოვალეობების შემსრულებლის სტატუსით **ლორან ბანიდე** ედგა. მიუხედავად კრიზისისა მრავლის მნახველი მწვრთნელის ნაცვლად სიმონეს დანიშვნამ ფრანგული პრესა გააოცა, რადგან იტალიელს აქამდე სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონია. 2006 წელს კარიერის დასრულების შემდეგ ერთადერთი, რასაც ის საქმიანობდა ორგანიზაცია "სპორტი და მშვიდობის" აქტივისტობა იყო.

სიტი ბრიჯს ეთხოვება

"ნოტინგემ ფორესტმა" "მანჩესტერ სიტისგან" შეიძლება იჯარით **უეინ ბრიჯი** აიყვანოს, – გვამცნო "სანმა". შეგახსენებთ, რომ 31 წლის მცველი გასულ სეზონში ასევე იჯარით "ვესტ ჰემში" თამაშობდა. სეზონის დაწყებამდე მისი აყვანა რამდენიმე პრემიერლიგურმა კლუბმა მოინდომა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა.

ევრო-2012

მილიარდები ჩემპიონატისთვის

უკრაინამ ევროპის მომავალ ჩემპიონატს უმაღლეს დონეზე უნდა უმასპინძლოსო, განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა **ვიქტორ იანუკოვიჩმა**. მისი თქმით, ეს უპირველესად ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე იმოქმედებს. უკრაინა ვალდებულია მასზე დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად გაართვას თავი. წლის ბოლომდე ჩემპიონატის საორგანიზაციოდ მთავრობის მიერ 35 მილიარდი გრივნაა გამოყოფილი.

შეგახსენებთ, რომ ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით უკრაინელებმა უეფას სპეციალურ კომისიას ანგარიში უნდა ჩააბარონ. ოქტომბერში გაიხსნება საფეხბურთო არენები კიევსა და ლვოვში, დეკემბერში კი ყველაფერი მორჩება - ბოლო ობიექტები, რომლის რეაბილიტაციასაც ქვეყანაში აპირებენ, კიევის, ლვოვისა და დონეცკის აეროპორტებია.

გვერდი მოამზადა
ლევან გიგილაშვილმა

უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. რეიტინგი

როდიკი ოცეულში დაბრუნდა

ამერიკის ღია პირველობის ახალმა ჩემპიონმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გაიმყარა ლიდერობა ახალი რეიტინგის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ქულები ვერ დაიცვა, მან შეინარჩუნა მეორე პოზიცია. კვლავაც სამეულშია შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

ათეულში ახალი წევრია ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელმაც შეავიწროვა ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო**. ოცეულში დაბრუნდა ამერიკელი **ენდი როდიკი**, რომელმაც შვიდი საფეხურით აიწია - 21-დან 14-მდე. ასევე შვიდი ადგილით ზემოთ ავიდა სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** - 20-დან 13-მდე.

ყველაზე დიდი ვარდნა განიცადა რუსმა **მიხაილ იუჟნიმ** - ამერიკის ღიას შარშანდელმა ნახევარფინალისტმა წელს პირველივე წრეში წააგო და მე-17 პოზიციდან 32-მდე დაქვეითდა.

ATP	
1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	14 720
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	10 620
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 380
4(4). ენდი მიურეი (გრიტ)	7 165
5(5). დავიდ ფერერი (ესპ)	4 200
6(6). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	3 785
7(7). გაელ მონფილსი (საფ)	2 850
8(8). მარდი ფიში (აშშ)	2 820
9(9). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	2 770
10(11). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	2 710
11(12). ჟილ სიმონი (საფ)	2 415
12(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 300
13(20). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	2 010
14(21). ენდი როდიკი (აშშ)	1 995
15(13). რიშარ გასკე (საფ)	1 945
16(16). ვიქტორ ტროიცკი (სერ)	1 935
17(18). ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	1 890
18(22). ჯონ ისნერი (აშშ)	1 815
19(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	1 720
20(23). ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 700

ATP. ფულადი პრიზები	
1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	8 309 318
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	5 351 514
3. ენდი მიურეი (გრიტ)	3 012 141
4. როჯერ ფედერერი (შვეიც)	2 597 362
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 775 970
6. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	1 323 473
7. მარდი ფიში (აშშ)	1 213 426
8. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 182 423
9. ტომას ბერდიხი (ჩეხ)	1 171 489
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 162 581
11. ჟილ სიმონი (საფ)	985 853
12. ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	879 014
13. ბობ ბრაიანი (აშშ)	867 189
14. მაიკ ბრაიანი (აშშ)	867 189
15. მიკაელ ლოდრა (საფ)	847 038
16. გაელ მონფილსი (საფ)	824 423
17. რიშარ გასკე (საფ)	814 605
18. ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	789 273
19. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	773 151
20. იურგენ მელცერი (ავსტრია)	739 827

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

ჯოკოვიჩის ჰეთ-თრიკი

ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელმაც ამ სეზონში თითქმის ყველაფერი მოიგო, ამერიკის ღია პირველობის ფინალს ფავორიტის სტატუსით შეხვდა. თანაც მას ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა **რაფაელ ნადალზე**, რადგან წელს ესპანელს ხუთიდან ხუთი ფინალი მოუგო, მათ შორის ორჯერ ამერიკულ ჰარდზე.

ორივეს ამერიკის ღიაზე საშუალო სირთულის ბადე ჰქონდა. რაფაელმა მეტი დრო გაატარა კორტზე, ნოვაკმა კი მეტი პარტია ჩაატარა. უნდა ითქვას, რომ თუ ნოვაკი საწყის სტადიებზე ანადგურებდა მეტოქეებს, ნადალი თავიდან ვერ ბრწყინავდა, სამაგიეროდ, მეორე კვირის შუაში მოუმატა და სასტიკი დღე აყარა **ენდი როდიკს**, რის შემდეგაც, მისივე თქმით, ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა **ენდი მიურეის** წინააღმდეგ. სერბმა ბევრი ინვალა **ტიპსარევიჩის** წინააღმდეგ და რომ არა იანკოს ცუდი ფიზიკური ფორმა, მატჩი შეიძლება თრილერად გადაქცეულიყო. თუმცა ნოვაკს ჰქონდა ერთი ასეთი მატჩი, როცა **როჯერ ფედერერის** წინააღმდეგ ორი მატჩბოლი გადაარჩინა.

ფინალზე ჯოკოვიჩი FDNY-ის (სახანძრო დაცვის დეპარტამენტი) ლოგოტიპიანი კეპით გავიდა, რითაც 11 სექტემბრის ტერაქტისას დალუპული მეხანძრეები გაიხსენა. გადამწყვეტ მატჩში თავიდანვე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ნადალი პირველივე წუთებიდან უფრო ზუსტი და აქტიური იყო შეტევაში და 2:0 დაწინაურდა. ნოვაკზე ნაადრევმა ბრეიკმა ცივი შხაპივით იმოქმედა და ის მაშინვე შევიდა თამაშში. ჩოგბურთელები ხანგრძლივად ათამაშებდნენ ბურთს უკანა ხაზზე. ორი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ნოვაკი ასეთ ჩოგბურთში სტაბილურად მოუგებდა ესპანელს, მაგრამ ახლა, სერბი თითქმის ყველა ბურთს იგერიებს და თითქმის მთელ კორტს მოიცავს. 11-წუთიანი გეიმი მხოლოდ მოთელვა იყო - ასეთი დაძაბული გათამაშებები მატჩში საკმარისად იყო. შარშანდელი ფინალის ანალოგიურად, რაფაელმა 2:0 წაიყვანა ანგარიში და იქვე დათმო უპირატესობა.

პირველი სეტის ანგარიში - 6:2 არ ასახავს კორტზე განვითარებულ მოვლენებს. ჯოკოვიჩს, რა თქმა უნდა, ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ ნებისმიერი გეიმი (ბოლოს გარდა) შეიძლებოდა საპირისპირო შედეგით დასრულებულიყო. სწორედ „მეტი-ნაკლების“ თამაშისას გამოჩნდა ჯოკოვიჩის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა, რადგან ის არაფერს ჩუქნიდა მეტოქეს, ნადალი კი ყოველთვის ზუსტი არ იყო გადამწყვეტ მომენტებში. რვაგეიმიანი სეტი თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. ესპანელს არ მისდიოდა მოწოდება - მან 26-დან მხოლოდ 11 ქულა აიღო თავის გეიმებში.

ესპანელმა 2:0-დან ზედიზედ ექვსი გეიმი წააგო და შეეცადა სწრაფად დაევიწყებინა ეს საშინელი სერია. ის კვლავ 2:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც ძალიან დაძაბულ და ლამაზ 18-წუთიან გეიმში ყველაზე უხეში შეცდომა დაუშვა მატჩში. რაფამ ბრეიკ-პოინტზე „სმეში“ ბადეს გაარტყა და გეიმი ნოვაკს აჩუქა. მეორე სეტი პირველი ასლი შეიძლებოდა გამხდარიყო - 0:2-ის შემდეგ ტაბლოზე 4:2 ეწერა. მაგრამ ნადალმა ხელები არ ჩამოუშვა და ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, აქ გამოჩნდა „ახალი ჯოკოვიჩის“ კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება - ნაგებული საკუთარი გეიმის გამო ის დიდად არ განაწყენებულა და თავისი საქმის კეთება გააგრძელა. ნადალმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და სერბმა მას ეს არ აპატია - 6:4.

ნოვაკი თითქმის მუდმივად ცდილობდა ესპანელს ბექჰენდით ეთამაშა, რითაც რაფას შეტევის საშუალებას არ აძლევდა. პირველი ორი სეტისა და ორი საათის განმავლობაში ნადალმა ამ პრობლემას ვერაფერი მოუხერხა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ჯოკოვიჩი დამაჯერებლად მოიგებდა - ნადალმა ისევ წააგო საკუთარი მონოდება და ნოვაკს ამერიკის ღიაზე პირველი ტიტულისკენ გაუხსნა გზა, მაგრამ გარდატეხა მაინც მოხდა. ესპანელი მიხვდა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა და უფრო მეტად შეუტია, მოკლე დარტყმებსა და სხვადასხვა კომბინაციას მიმართა. სეტის მონაკვეთი 3:3-დან ტაი-ბრეიკამდე ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა - ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა, ჩოგბურთელები ბოლომდე იხარჯებოდნენ და ყოველ გეიმში ისეთ გათამაშებებს ჩუქნიდნენ მაყურებელს, რომლებიც მთელი ტურნირის ტოპ-მომენტებში მოხვედრის ღირსი იყო. პუბლიკა აღფთოვანებული იყო და ნადალს გულშემატკივრობდა, რათა ეს ლამაზი სპექტაკლი, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. მოთამაშეები უკვე 3.5 საათი იყვნენ კორტზე და ჯოკოვიჩს სულაც არ სურდა სარეკორდო ფინალის თამაში. 5:5-ზე მან ბრწყინვალე გეიმი წარმართა და მორიგი ბრეიკის შემდეგ მატჩზე ჩასაწოდებლად გავიდა. მაგრამ სერბმა მე-12 გეიმში ორი უხეში შეცდომა დაუშვა, ნადალს კარგი დარტყმები გამოუვიდა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. მათ ურთიერთშეხვედრებში „შემოკლებულ გეიმებს“ უკეთ ნადალი თამაშობს და ამჯერადაც ესპანელი იყო უფრო ძლიერი - 7:3.

სერბმა ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო. მეოთხე სეტის დასაწყისში ნადალი უფრო მხნედ გამოიყურებოდა, მას უკეთ გამოსდიოდა დარტყმები, ბექჰენდებიც სულ უფრო ხშირად ჯდებოდა ხაზზე - მოკლედ, ესპანელმა პირველ ნომრად თამაში დაიწყო. ჯოკოვიჩის მოწოდება მთლად დასუსტდა და სერბი სულ უფრო ხშირად იკიდებდა ხელს ზურგზე. გასაკვირია, მაგრამ ნადალმა ვერ შეძლო ამ მომენტის გამოყენება. შესაძლოა, ესპანელმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რადგან ძველ ტაქტიკას დაუბრუნდა - ეგონა, რომ ნოვაკი ველარ გაუძლებდა ხანგრძლივ გათამაშებებს. როგორც აღმოჩნდა, ნადალს არ უნდა შეეცვალა ტაქტიკა. ჯოკოვიჩმა სიამოვნებით გადაიბარა ინიციატივა, რისკსა და წინ გასვლებს უმატა, თავად ნადალი კი მეოთხე საათის გასვლის შემდეგ დაღლილობა დაეტყო. ესპანელი ველარ ეწეოდა ყველა ბურთს და თუ ეწეოდა, მკვეთრად არ პასუხობდა და უბრალოდ აგდებდა ბურთს მეორე მხარეს. ესპანელმა ბოლომდე ვერ დაალაგა თავისი საკუთარ მოწოდებაზე - მან 11 ბრეიკის საშუალება მისცა ჯოკოვიჩს. საპასუხო კროსი მარჯვნიდან ამ ბრწყინვალე ფინალის ლამაზი დასასრული იყო - 6:2, 6:4, 6:7(3), 6:1.

ჯოკოვიჩი აგრძელებს ბრწყინვალე სეზონს - ეს მისი მესამე „სლემი“ და ჯამში მეათე ტიტულია. როგორც უნდა დასრულდეს სეზონის დასკვნითი ნაწილი, ნოვაკმა უკვე ჩაატარა ფანტასტიკური წელი - მისი დომინირება ნებისმიერ საფარსა და ნებისმიერი დონის ტურნირზე აშკარა იყო.

სხვათა შორის ჯოკოვიჩი მეექვსე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც ერთ სეზონში სამი „მეიჯორის“ მოგება შეძლო. პირველი ასეთი მოთამაშე იყო **როდ ლეივერი**, რომელმაც 1969 წელს ოთხივე დიდი ტურნირი მოიგო. ამის შემდეგ სამ-სამ ტურნირზე იმარჯვებს **ჯიმი კონორსმა** (1974), **მატს ვილანდერმა** (1988), **როჯერ ფედერერმა** (2004, 2006, 2007) და **რაფაელ ნადალმა** (2010).

ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:2, 6:4, 6:7(3), 6:1.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ნოვაკ ჯოკოვიჩი

ამბები

კრიზი

კლიჩკოს მორმეკი ერგო

როგორც ჩანს, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** ახალი მეტოქე იპოვა. სავარაუდოდ, WBA-ს, WBO-სა და IBF-ის ჩემპიონი ფრანგ **ჟან-მარკ მორმეკს** შეხვდება.

როგორც ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი წერს, პრაქტიკულად მიღწეულია შეთანხმება 39 წლის მორმეკთან შესახვედრად. ასევე იტყობინებიან, რომ შეხვედრა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება. თარიღის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

ავტოსპორტი

ზრაგელია ლონდონში

2010 წლის ლე მანის 24-საათიანი რბოლის მონაწილე, დანიელი **კრისტიან ბაკერუდი** ლონდონში საავტომობილო ავარიის დროს მიღებული ტრავმების შემდეგ გარდაიცვალა. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ დანიელმა ტვინის დაზიანება მიიღო.

ბაკერუდი წელს არ მონაწილეობდა მსხვილ სარბოლო სერიებში. ბოლოს ის სტარტზე შარშან, ლე მანის 24-საათიან რბოლაში გამოვიდა - გუნდ Kolles Audi-ის ღირსებას იცავდა. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში დანიელი „აუდის“ ღირსებას იცავდა DTM-ის სერიაში.

2002-08 წლებში ბაკერუდი „ფორმულა-BMW“-ში, „ფორმულა 3“-ში და GP2-ის სერიაში მონაწილეობდა. „ფორმულა-BMW“-ის სერიაში ორჯერ ავიდა პოდიუმზე, აგრეთვე მოიგო ერთი ეტაპი „ფორმულა 3“-ში.

ქალათბურთი

ლიგვაში ჟურნალისტებს სცემენ

ვილნიუსში რუსული გაზეთის „სოვეტსკი სპორტის“ საკალათბურთო მიმომხილველი **დმიტრი აბარენოვი** სცემეს.

გასართობ ცენტრ „ჰელიოსის“ ახლოს მომხდარი ჩხუბის შესახებ პოლიციას ტაქსის მძღოლმა შეატყობინა. ინციდენტის ადგილას პატრულის თანამშრომლებმა მხოლოდ დაზარალებული რუსი ჟურნალისტი აღმოაჩინეს, რომელმაც თავი ჰქონდა გატეხილი. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციის ინფორმაციით, აბარენოვი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ მომენტში დგინდება მომხდარი კონფლიქტის მიზეზები.

ფორმულა 1

მაკლარენი ძლიერდება

ბრიტანულმა საჯინიბო „მაკლარენმა“ დაადასტურა „უილიამსის“ ამჟამინდელი ტექნიკური დირექტორის **სემ მაიკლის** სპორტულ დირექტორად დანიშვნა. მაიკლმა „უილიამსიდან“ წასვლის შესახებ წლევანდელი სეზონის დაწყებამდე განაცხადა, მაგრამ კონტრაქტის მიხედვით ამ გუნდში კორეის გრანპრიმდე დარჩება, მომავალი წლის იანვრიდან კი „მაკლარენის“ შტატში ჩაირიცხება.

„ძალიან აღელვებული ვარ „მაკლარენთან“ კონტრაქტის გაფორმებით. მთელმა ჩემმა ცხოვრებამ რბოლებში გაიარა, „მაკლარენი“ კი ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ლეგენდაა. ამ გუნდის რამდენიმე ხელმძღვანელს ვიცნობ და ამ კოლექტივის წევრობის პერსპექტივა გახდა ამ გარიგების გაფორმების ერთ-ერთი მიზეზი. დიდი ხანი ვადევნებდი თვალს და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი ჰემილტონისა და ბატონის გამოსვლით. ასეთ პილოტებთან მუშაობა პრივილეგიაა.

„უილიამსში“ 11 სეზონი გავატარე, ბევრი პოზიტიური მოგონება დამრჩა ამ გუნდში მუშაობისგან. ახლა, მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. მაგრამ უახლოეს მომავალში ასი პროცენტით „მაკლარენში“ მუშაობაზე ვიქნები კონცენტრირებული და ყველაფერი გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდის წევრებმა, რაც შეიძლება ხშირად ჩაიცვან გამარჯვების წითელი მაისურები“, - განაცხადა სემ მაიკლმა.

ერთი მოგებაც საკმარისია

ჩემპიონატის დასრულებიდან ექვსი რბოლით ადრე ტიტულის მაძიებელთა რიცხვი კვლავინდებურად ხუთია: **სებასტიან ფეტელი, ფერნანდო ალონსო, მარკ უებერი, ჯენსონ ბატონი** და **ლუის ჰემილტონი**.

ფეტელისთვის საკმარისია მოიგოს ერთი რბოლა და ერთში მინიმუმ მეშვიდე ადგილი დაიკავოს და მაშინ გერმანელი ზედიზედ მეორედ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. არის სხვა ვარიანტები. მაგალითად, საკმარისია ორი მეორე და ერთი მეცხრე ადგილი. ან უბრალოდ მეშვიდე ადგილი ყოველ რბოლაში, ერთის გარდა, რომელშიც მეექვსე პოზიცია იქნება საჭირო.

გარდა ამისა, ფეტელი შეიძლება სინგაპურში ვადაზე ადრე გახდეს ჩემპიონი, თუ:

- მოიგებს რბოლას და ამასთან, ალონსო მეოთხე ადგილზე ზემოთ ვერ ავა, ბატონი და უებერი - მესამეზე ზემოთ.
- მეორე მივა ფინიშთან და ამასთან, ალონსო მერვე ადგილზე მაღალ შედეგს ვერ დაიკავებს, ბატონი და უებერი - მეხუთეზე ზემოთ, ხოლო ჰემილტონი არ გაიმარჯვებს.
- მესამე მივა ფინიშთან და ამასთან, ალონსო მეცხრე ადგილზე ზემოთ ვერ ავა, ბატონი და უებერი - მეშვიდეზე ზემოთ, ხოლო ჰემილტონი - მეოთხეზე ზემოთ.

ფერნანდო ალონსომ უნდა მოიგოს ყველა დარჩენილი რბოლა და ამასთან იმედი ჰქონდეს, რომ ფეტელი მეშვიდეზე მაღალ ადგილს ვერ დაიკავებს.

ჯენსონ ბატონსა და მარკ უებერს ერთნაირი შანსები აქვთ - თითოეულს სჭირდება ყოველ რბოლაში გამარჯვება და თან ფეტელმა მაქსიმუმ მეშვიდე ადგილი უნდა დაიკავოს, ორჯერ კი მაქსიმუმ - მერვე.

ლუის ჰემილტონს ყველაზე რთული ამოცანა აქვს. მანაც ყველა რბოლა უნდა მოიგოს და თან მისთვის აუცილებელია, რომ ფეტელი ხუთ რბოლაში მერვე ადგილზე მაღლა არ უნდა ავიდეს, ერთში - მეცხრეზე მაღლა.

იტალიის გრანპრი: საინტერესო სტატისტიკა

მონცაში გამართული რბოლის შემდეგ Forix-ის ენციკლოპედიურმა ბაზამ რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მონაცემი მოგვაწოდა...

კვალიფიკაცია

- **სებასტიან ფეტელმა** 25-ედ აიღო სტარტი პოულიდან (75 სტარტიდან) - სტატისტიკის მიხედვით, ის ყოველ მესამე რბოლას იწყებდა პირველი პოზიციიდან. მონცაში პოული ამ სეზონში მეათეა გერმანელისთვის. ამდენივე ჰქონდა მას გასულ სეზონშიც. ერთ სეზონში პოულების მიხედვით რეკორდსმენია **ნაიჯელ მენსელი**, რომელმაც 1992 წელს 14-ჯერ მოიგო კვალიფიკაცია.
- ზედიზედ მეოთხედ **ლუის ჰემილტონმა** პირველი რიგიდან აიღო სტარტი.

რბოლა

- სებასტიან ფეტელის გამარჯვება მონცაზე პირველი იყო „რენოს“ ძრავებისთვის 16-წლიანი შესვენების შემდეგ. ბოლოს „რენოს“ ძრავით აღჭურვილი ბოლიდით იტალიაში 1995 წელს **ჯონი ჰერბერტმა** გაიმარჯვა.
- მონცაზე გამარჯვება პირველი იყო „რედ ბულის“ ისტორიაში. მანამდე ავსტრიულ გუნდს იტალიაში არც პოული და არც პოდიუმი არ ჰქონია და უფრო მეტიც - ერთი წრეც არ ყოფილა ლიდერი.
- სებასტიან ფეტელმა კარიერაში მე-18 გრანპრი მოიგო და ამ მაჩვენებლით **კიმი რაიკონენს** გაუთანაბრდა - ეს პილოტები მე-13 ადგილს იყოფენ საერთო რეიტინგში. პოდიუმების რაოდენობით ფეტელი გაუთანაბრდა **ჯეკ ბრებემს**, რომელიც 28-ე ადგილზეა.

1.	მიხაელ შუმახერი	91
2.	ალენ პროსტი	51
3.	აირტონ სენა	41
4.	ნაიჯელ მენსელი	31
5.	ფერნანდო ალონსო	27
5.	ჯეკი სტიუარტი	27
7.	ჯიმ კლარკი	25
7.	ნიკი ლაუდა	25
9.	ხუან-მანუელ ფანხიო	24
10.	ნელსონ პიკე	23
11.	დეიმონ ჰილი	22
12.	მიკა ჰაკინენი	20
13.	კიმი რაიკონენი	18
13.	სებასტიან ფეტელი	18

- „რედ ბულის“ 23-ე ტრიუმფმა ავსტრიელებს მერვე ადგილზე მყოფ „ტირელთან“ გათანაბრების საშუალება მისცა. მონცაში ამ გუნდის პილოტები მეორმოცედ ავიდნენ პოდიუმზე.

1.	ფერარი	216
2.	მაკლარენი	173
3.	უილიამსი	113
4.	ლოტუსი	79
5.	ბრებემი	35
5.	რენო	35
7.	ბენეტონი	27
8.	ტირელი	23
8.	რედ ბული	23

- **ფერნანდო ალონსოს** პოდიუმი 70-ე იყო ესპანელი პილოტის კარიერაში და 650-ე „ფერარის“ ისტორიაში.
- ხუთი სხვადასხვა გუნდი იგებდა მონცას რბოლას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში - „მაკლარენი“, „ტორო როსო“, „ბრაუნ გრანპრი“, „ფერარი“ და „რედ ბული“.
- მონცაზე **მარკ უებერის** გავარდნით შეწყდა „რედ ბულის“ ბრწყინვალე სერია - ეს გუნდი ერთადერთი იყო ამ სეზონში, რომლის ორივე პილოტი განვლილ რბოლებში უდანაკარგოდ მიდიოდა ფინიშთან.
- პირველად ბოლო 14 რბოლის განმავლობაში (ეს სერია შარშან ბრაზილიაში დაიწყო), „რედ ბულის“ ერთ-ერთმა პილოტმა ქულის მოპოვება ვერ შეძლო.
- უებერი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მხოლოდ მესამედ გამოეთიშა რბოლას. შარშან ასეთი რამ ვალენსიასა და კორეაში მოხდა. სამივეჯერ მიზეზი ავარია იყო.
- **ჯენსონ ბატონმა** ზედიზედ მესამედ დაასრულა მონცაზე რბოლა მეორე ადგილზე. მხოლოდ ორ პილოტს აქვს ასეთი რაოდენობის მეორე ადგილები გამარჯვების გარეშე - **რიჩი გინტერსა** და **ჟან ალეზის**.
- **ხაიმე ალგერსუარიმ** მონცაში მე-17 პოზიციიდან აიღო სტარტი და ამის მიუხედავად, კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - მეშვიდე ადგილი.
- პირველად 2006 წლის ბრაზილიის რბოლის შემდეგ, **ნიკო როსბერგი** პირველივე წრეში გამოეთიშა რბოლას.
- ზედიზედ 55-ე რბოლაში „რენოს“ ძრავებით აღჭურვილმა მანქანებმა ქულების მოპოვება შეძლეს. ამით ფრანგებმა გაიმეორეს „ფერარის“ სერია (1999-2003). თუმცა დღეს ეს მიღწევა ნაკლებად ღირებულია ქულათა ზონის გაზრდის გამო. აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის „ფორდის“ ძრავებს - ზედიზედ 228 შედეგიანი რბოლა იმ პერიოდში, როცა ქულებს მხოლოდ ექვსი საუკეთესო პილოტი იღებდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები	
კონკორდია-ჰამბურგი	0:7

ინგლისი

I ლიგა	
ბრენტფორდი-კოლჩესტერი	1:1
ჩესტერფილდი-ბერი	1:0
ექსეტერი-ნოტსი	1:1
ლეიტონი-ბორნმუთი	1:3
როჩდეილი-სკანთორფი	1:0
შეფილდი-ჰადერსფილდი	0:3
სტევენეიჯი-უენსდი	5:1
ტრანმერი-კარლაილი	1:2
უოლსოლი-ოლდჰემი	0:1
იეოვილი-უიკომბი	1:0

II ლიგა	
აკრინგტონი-როტერჰემი	1:1
უიმბლდონი-ნორთჰემპტონი	0:3
ბარნეტი-პლიმუტი	2:0
ბრ. როვერსი-შრიუსბერი	1:0
ბარტონი-ქრიუ	1:0
ქროული-სუინდონი	0:3
დაგენჰემი-ოქსფორდი	0:1
ჰერეფორდი-ალდერშოტი	0:2
მაკლსფილდი-მორეკამბი	1:1
პორტ ვეილი-ბრედფორდი	3:2
საუთენდი-ჯილინგემი	1:0
ტორკი-ჩელტენემი	2:2

კონფერენსი	
ტელფორდი-ლუტონი	0:2
იორკი-ბეტი	1:0

ინგლისი

ლიგის თასი	
ჩარლტონი-პრესტონი	0:2
კრ. პალასი-უიგანი	2:1

გერმანია

III ბუნდესლიგა	
ერფურტი-ვეენი	2:2
ბურგჰაუზენი-არმინია	2:2
ჰაიდენჰაიმი-ოსნაბრიუკი	0:2
მიუნსტერი-აალენი	1:0
ზაარბრიუკენი-დარმშტადტი	4:0
ზანდჰაუზენი-რეგენსბურგი	2:1

დანიის თასი	
ფინი-სილკებორგი	2:8

ლატვია	
მეტალურგსი-გულბენე	6:2

ლიტვა	
კლაიპედა-სუდუვა	0:1

ესტონეთი	
ტრანსი-ვილიანდი	5:0
აიაქსი-ლევადია	0:7
კურესაარე-კალევი	1:2
პაიდე-ტამეკა	2:1
ფლორა-კალიუ	1:0

ჰოკეი

კჰლ	
სიბირი-ამური	5:2
აკ ბარსი-დინამო (რ)	5:2
ნეფტეხიმიკი-სკა	1:3

ნორვეგია	
სპარტა-რუსენბორგი	2:1
ლორენსკოგი-სტორჰამარი	3:4

შვეიცარია	
ციურიხი-ბერნი	0:3

ჩოგბურთი

WTA. ტაშკენტი	
კუდრიავცევა-დოლონცი	6:2, 7:5
ნამიგატა-**ბირნეროვა**	4:6, 1:6
შარიპოვა-გეორგატუ	6:4, 6:1
ჩეპელოვა-**უ. რადვანსკა**	1:6, 4:6
კუკოვა-**ლარიერი**	6:3, 4:6, 1:6
ამანმურადოვა-რეზაი	6:4, 6:3
კრუნიჩი-ფარშადი	6:0, 6:1
პარმენტიე-**დანილიდუ**	5:7, 1:6
პერვაკი-ვოსკობოევა	6:2, 7:5
აბდურაიმოვა-**რიბარიკოვა**	7:6, 4:6, 3:6

WTA. კვებეკი	
ბ. ზახვალოვა-ჟანგი	6:4, 6:2
საფაროვა-კრეიბასი	6:2, 6:1
ტატიშვილი-**კუანი**	7:5, 4:6, 4:6
ჰანტუხოვა-ტომლიანოვიჩი	6:0, 2:6, 6:4
ლუჩიჩი-ჰემპტონი	6:4, 6:2
პაჩეკი-ვეინჰოლდი	6:0, 4:6, 6:2

TV პროგრამა

14 სექტემბერი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ვოლფსბურგი-შალკე.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. II ტური. იუვენტუსი-პარმა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტური. მარსელი-რენი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. III ტური. რეალი-ხეტაფე.
00:00 სუპერმატჩი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ბარსელონა.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჟო ვილფრიდ ცონგა-რობინ სიოდერლინგი. როტერდამი. ჰოლანდია.
16:15 მძლეოსნობა. IAAF-ის სერია - World Challenge. რიეტი. იტალია.
18:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰერტა.
20:40 კალათბურთი . ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი. ბარსელონა. ესპანეთი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
23:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.

I არხი

11:20 რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. საქართველო-შოტლანდია. ახალი ზელანდია (LIVE).
18:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ესპანეთი-სლოვენია. ლიტვა (LIVE).
21:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ლიტვა-მაკედონია. ლიტვა (LIVE).

რუსთავი 2

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ სიტი-ნაპოლი (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბენფიკა-მანჩესტერ იუნ (LIVE).

НТВ-პლუსი (სპორტი)

15:05 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესტაფეტა. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
17:25 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. პლეი ოფი. ბულგარეთი-ესტონეთი. ჩეხეთი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ სიტი-ნაპოლი (LIVE).

НТВ-პლუსი (ონლაინი)

16:55 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. პლეი ოფი. ჩეხეთი-პოლონეთი. ჩეხეთი (LIVE).
20:25 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 74, 48, 51 კგ. ფინალები. თურქეთი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ON-LINE-ტრანსლიაცია. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. აიაქსი-ლიონი (LIVE).

НТВ-პლუსი (კალათბურთი)

18:55 ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ესპანეთი-სლოვენია. ლიტვა (LIVE).
21:55 ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ლიტვა-მაკედონია. ლიტვა (LIVE).

SPORT+

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლილი-ცსკა (LIVE).

EUROSPORT-2

14:30 ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სუვონი (ს. კორეა)-ზობაჰანი (ირანი) (LIVE).

● ავტოსპორტი

ყოფილი ცოლ-ქმარი

რალფი და კორა იყრებიან

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **რალფ შუმახერმა** მეუღლესთან - **კორა ბრინკმანთან** გაყრა გადაწყვიტა.

დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, DTM-ის სერიაში მონაწილე პილოტმა განქორწინებაზე განცხადება გაზეთ „ბილდში“ გამოქვეყნებული ფოტოების შემდეგ გადაწყვიტა. ამ სურათებში კორა რეპერ **მარსეტრიას** კოცნის ბერლინის ერთ-ერთი სასტუმროს აივანზე.

ბოლო თვეებში რალფი და კორა ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. თავდაპირველად მათ განქორწინებაზე უარი თავიანთი ცხრა წლის ვაჟის - **დევიდის** გამო თქვეს. მაგრამ ახლა, უმცროსი შუმახერის გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

რალფი და კორა ბრინკმანი 2001 წლის 5 ოქტომბერს დაქორწინდნენ. კორა - ყოფილი მოდელია, ამჟამად კი გერმანიის ტელევიზიის წამყვანი და რბოლების მონაწილეა.

● კალათბურთი

დერონ უილიამსი თურქეთში

დერონი თურქეთში ათამაშდა

„იუტა ჯაზის“ ვარსკვლავი **დერონ უილიამსი** თურქეთში ჩავიდა და თავის ახალ კლუბთან - „ბეშიქთაშთან“ ერთად ვარჯიში დაიწყო.

ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა უკვე ჩაატარა პირველი საკონტროლო შეხვედრა სტამბოლური კლუბის რიგებში. „მონტეპასკის“ წინააღმდეგ დერონმა 18 წუთი დაყო მოედანზე, 14 ქულა, 8 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. „ბეშიქთაშმა“ მოიგო მატჩი - 93:91.

■ ■ ■

ESPN-ის ინფორმაციით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ 100 ათასი დოლარით დააჯარიმა ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი**. მიზეზი გახდა აგვისტოში ლოკაუტის შესახებ გაკეთებული კომენტარები.

მაშინ ჯორდანმა ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აუცილებელია მოგების სწორად განაწილება. გარდა ამისა, მან „მილუოკის“ ცენტრის ენდრიუ ბოგუტის გვარი ახსენა.

ლიგის წესების თანახმად, ლოკაუტის დროს კლუბების მფლობელებსა და სხვა თანამშრომლებს არ აქვთ უფლება განიხილონ ლოკაუტის გარშემო შექმნილი სიტუაცია.

■ ■ ■

პოლონეთის „პროკომმა“ კონტრაქტი გააფორმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილ ჩემპიონთან **დევინ ბრაუნთან**. 32 წლის კალათბურთელთან ერთწლიანი ხელშეკრულება დაიდო.

ბრაუნმა შარშანდელი სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა, ხოლო, როცა გამოჯანმრთელდა, NBA-ის კლუბებიდან შეთავაზება არ მიუღია.

2005 წელს ბრაუნი „სან ანტონიო სპურსში“ გახდა NBA-ის ჩემპიონი. სულ მის ანგარიშზე რეგულარულ ჩემპიონატში 465 მატჩია. კარიერაში საშუალოდ 7.2 ქულას, 2.8 მოხსნასა და 1.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

საინტერესო განცხადება გააკეთა ბრაზილიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **კარლოს ნუნიესმა**.

მისი თქმით, ვარსკვლავმა ბრაზილიელებმა - **ნენე ილარიომ** და **ლეანდრო ბარბოზამ**, შესაძლოა, არ ითამაშონ გაისად ლონდონის ოლიმპიადაზე. თუმცა ფედერაციის პრეზიდენტმა არ დაასახელა მიზეზი, რატომ შეიძლება გამოტოვონ NBA-ის ლეგიონერებმა 2012 წლის ზაფხულის თამაშები.

● კალათბურთი

რა საჭიროა NBA?!

18-წლამდე ბავშვები არ დაიშვებიან

თითქმის ორი თვეა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი გრძელდება და სანამ ლიგის ხელმძღვანელობა და მოთამაშეთა პროფკავშირი კომპრომისის ძიებაში არიან, ჩრდილოეთ ამერიკაში გაჩნდა სრულიად ახალი და უნიკალური საკალათბურთო პროდუქტი, რომელმაც გულშემატკივართა ყურადღება მიიპყრო.

აგვისტოს ბოლოს სტარტი აიღო ე. წ. Lingerie Basketball League-ის პირველმა ტურნირმა, ანუ სიტყვასიტყვით რომ გადავთარგმნოთ - „ქვედა საცვლების საკალათბურთო ლიგა“. როგორც დასახელებიდან მიხვდით, ამ ტურნირში მხოლოდ გოგონები იღებენ მონაწილეობას, თანაც განსაკუთრებული სათამაშო ფორმით.

გოგონების სტრიპტიზიორების ფორმაში გამოწყობისა და მათთვის რაიმე მამაკაცური საქმის დავალების იდეა ძალიან ძველია და არაერთხელ გამოყენებულა სხვადასხვა სარეკლამო რგოლში. და რადგან სპორტულ სფეროში მამაკაცობის ეტალონად ამერიკული ფეხბურთი მიიჩნევა, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ადრე თუ გვიან ვინმეს მოუვიდოდა თავში ნახევრად შიშველი გოგონებისთვის ოვალური ბურთი მიცემა.

ასეც მოიქცნენ და ბიკინიანი გოგონების ამერიკული ფეხბურთი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ნამდვილი პროფესიული ლიგა ჩამოყალიბდა. გაიხსნა 2003 წელს და ახლა მასში 12 გუნდი შედის. თუმცა პროგრესი გრძელდება და უკვე მომავალ წელს ოკეანის გაღმა გადაბარგებას გეგმავენ - თავიდან ავსტრალიაში, შემდეგ კი ევროპაში. 2014 წელს დაგეგმილია პირველი საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება საცვლების ამერიკულ ფეხბურთში.

■ ■ ■

წელს კი ანალოგიური ლიგა შეიქმნა კალათბურთში. ჯერჯერობით მასში მხოლოდ ოთხი კლუბია გაერთიანებული (ოთხივე ლოს ანჯელესიდანაა), სამაგიეროდ მას გარკვეული უპირატესობა აქვს ამერიკული ფეხბურთის ანალოგიურ ლიგასთან. ჯერ ერთი, გოგონები აქ არ იცვამენ დამცავ ჩაფხუტებს, გარდა ამისა, მოედნის ზომა კალათბურთში პატარაა, ტრიბუნებიც უფრო ახლოსაა მოედანთან. და რაც მთავარია - ლოკაუტის ფონზე კალათბურთის გულშემატკივრებს არაფერი რჩებათ იმის გარდა, რომ თავიანთი ინტერესი „ქვედა საცვლების ლიგას“ მიაპყრონ.

LBL-მ პირველი სეზონის პრეზენტაცია ლოს ანჯელესის ერთ-ერთ ღამის კლუბში მოაწყო. რთული მისახვედრი არ არის, რომ პროგრამის მთავარი ნაწილი გახდა კალათბურთელთა ფორმის პრეზენტაცია, რომელზეც მხოლოდ სათამაშო ნომერი წერია. ლიგის ლოგოტიპის, კლუბის დასახელებისა და მოთამაშის გვარისთვის იქ ადგილი აღარ რჩება.

გოგონები სულაც არ გრძნობენ უხერხულობას პუბლიკის წინაშე ასეთი ტანსაცმლით გამოსვლის გამო. ისინი გულწრფელად ამბობენ, რომ მათთვის მთავარი არა გარეგნული მხარე, არამედ კალათბურთის თამაშია. ერთმა კალათბურთელმა კითხვაზე - *„როგორია იმ ტანსაცმლით თამაში, რომელშიც ღამე გძინავთ?“* - ასე უპასუხა: *„საიდან მოიტანეთ, რომ ღამით საცვლებში მძინავს?!“*.

სიტყვები - „გამარჯვებისთვის, გუნდისთვის, მწვრთნელისთვის ბრძოლა“ - ამ ლამაზმანებისთვის ცარიელი ფრაზები არ არის. მათთვის უცხო არაა ურთულესი საკალათბურთო ელემენტები. მოკლედ, აქ ყველაფერი ნამდვილია. ამ სანახაობის ნახვა მხოლოდ იმ მაყურებელს შეუძლია, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა.

ლიგას თავისი რეგლამენტი აქვს, გააჩნია საკუთარი სამსაჯო კორპუსი და თავისი წესები, რომელიც სტუდენტური ლიგის - NCAA-ის წესებს ჰგავს (შეტევისთვის 35 წამი, სამწამიანის ხაზის რადიუსი - 6,01 მეტრი, ორი ტაიმი თითო 20 წუთით, დაცვაში არ არსებობს სამი წამის წესი და ასე შემდეგ). ჰყავთ თავიანთი ვარსკვლავები, რომლებიც პერიოდულად ჩნდებიან მამაკაცთა ჟურნალების პირველ გვერდებზე. მატჩები პარასკეობით იმართება. ერთ მატჩზე ბილეთი 20 დოლარი ღირს, ორზე - 30, ხოლო 40 დოლარად შესაძლებელია ერთ საღამოს ორივე მატჩის ხილვა პარტერიდან, თამაშის შემდეგ კი კალათბურთელებთან ფოტოების გადაღება. მოკლედ, არც ისე ძვირი სიამოვნებაა. ყოველ შემთხვევაში, NBA-ის მატჩებზე ასეთი ფუფუნება გამორიცხულია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილ[ი]